

# ენციკლოპედია საქართველო



განმომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, 1988

კრებულში შესულია ანტიკური ლირიკის ნიმუშები, — კალპინეს, ტირტეოსის, ილკეოსის, საფოს, თეოგნიდეს, პლატონის, ჰეროდოსის, კატულუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის და სხვა ძველი ბერძენი და რომაელი პოეტების ლექსები.

ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნა  
წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო.

ზიგლა სარიშვილმა

4704000000—070  
A  $\frac{M 601 (08)—88}{323—88}$

ISBN 5-529-00044-4

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,  
თბილისი, 1988

## ანტიკური ლირის სიმები

როცა სიხარულის მომნაქებელი გაზაფხული დგება და საღეთო ქელიკონის ტყიანი ფერღობი მწვეანით იმოსება, იქ გამოჩნდება ნათელი ღმერთი ცხრა მშვენიერი ასულის თანხლებით და როკვას იწყებს. ეს ღმერთი აპოლონია, ცხრა ასული კი — ცხრა მუზა, ცხრა ქალწულ-ქალღმერთი. ეს უტურფესი ქალღმერთნი ასე არიან სახელრქმეულნი: პოლიჰიმნია — საღეთო საგალობელთა მუზა, კალიოპე — ეპიკური პოეზიას, ტერფსიაჰორე — ტეკვის, ერატო — სატრფიალო სიმღერების, მელპომენე — ტრაგედიის, თალია — კომედიის, კლიო — ისტორიის, ურანია — ასტრონომიისა და ეეტერპე — ლირიკის მუზა, რომელსაც ლირა უკირავს ხელში. ამ ღვთიურ ლირაზე მღეროდნენ ძველი მგოსნება და ღირაკასაც ამით დაედო დასაბამი.

მუზას შესთხოვდნენ შთაგონებას პოეტები უძველესი დროიდან. მათ შორის პირველთაგანი იყო ჰომეროსიც. და თუმცა მუზა მითიური ქალღმერთია, მის ქეშმარიტ არსებობას ადასტურებენ გენიალური „ილიადა“ და „ოდისეა“. მაგრამ ბერძნული პოეზია ჰომეროსით არ იწყება. მას უსათუოდ ეყოლებოდა წინამორბედნი. ამის საბუთად ორფევის მითიც გამოდგება. ალბათ, სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ჰომეროსთ მთავრდება ბერძნული პოეზიის არქაული ხანა და იწყება ახალი — ანტიკური პერიოდი, თუმცა ეს ბოლო ფრაზა არც ისე ზუსტია, რადგან სატყვა „ანტიკური“ უკვე თავისთავად „ძველს“ აღნიშნავს.

ჰომეროსისა და შემდგომ ჰესიოდეს პოეტიზირებულმა მითოსმა საუკუნეთა მანძილზე ასაზრდოვა ლიტერატურისა და ხელოვნების თათქმის ყველა დარგი — პოეზია და მუსიკა, ქანდაკება და ფერწერა, დრამა და არქიტექტურა.

ძველი ბერძნული მელოსის თავიწყარო ელადის ფოლკლორია, ხოლო მისი ინტელექტუალური წინაპარი — ბერძნული ეპოსა, უპირველესად — ჰომეროსი. ელინური ტომების გაფანტულობამ საბერძნეთის აზურა ნაწილის მრავალრიცხოვან კუნძულებზე, ამ ტომების მრავალფეროვანმა და მდიდარმა ზეპირსიტყვიერებამ, საბრძოლო სიმღერებმა, სანადიმო, ხაწესჩვეულებო, საქორწინო, სამგლოვიარო-საზარო თრენებმა, სამომთაბარეო ბუკოლიკებმა, საკრალურმა და სახობო ლოცვა-პიმნებმა უთუოდ განაპირობეს ბერძნული ლირიკის ნაირსახეობა და განრობრივე სრუხვე.

ბერძნული საკოლფხეჯაყფი. მუბრაოდეს წიაღში იშვა ელეგია და იამბი.

ელეგიას უპირველესა წარმომადგენლები არიან კალინე და ტირტოსი (VII—I სს. ძვ. წ.). ელეგიური სალექსო საზომებო მრავალ ბერძენ მგოსანს გაუწყვია ლექსი, მათ შორის, სახელგანთქმულ ფილოსოფოსებს — პლატონსა და არისტოტელეს.

იამბიკში თავიდანვე დამცინავი, საკვიმაცო-სახუმარო პოეზია იგულისხმებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი გამოსახვის შინაარსი თანდათან შეიცვალა. მომდევნო ხანებში იამბს ბერძენები იყენებდნენ ტრაგედიებში. იამბური ლირიკა გაწყობოდა იამბურ-ტროქეული საზომების შერევით, გარკვეულ მარცვალთა რაოდენობის დაკვირვებით, რაც კმნიდა იამბური ლექსის კანონს, ოღონდ მარცვალთა რაოდენობას კანონი მეტად პირობითია ბერძნულ ლექსში, რამდენადაც იგი მუსიკალურ-კვანტიტურია. მარცვალთა მუსიკალურ ტონზეა აგებული და არა მათ რაოდენობაზე.

ანტიკურმა ლირიკამ მრავალი იამბოგრაფოსი იცის. მათ შორის უსაჩინოესნი არიან არქილოქე, სიმონადე ამორგოსელი, ჰიპონაქტე, ბაბრიუსი.

სრულად თავისებური და განსაკუთრებული მოვლენა ბერძნულ პოეზიაში ეოლიური მელიკაა. ელეგია-იამბიკოსაგან განსხვავებით, რომელიც ეყრდნობოდა სალექსო ტრაფარეტის კანონიკას, მელიკა ეფუძნებოდა ნაირმეხლიან, ტონურად მრავალფერ, თავისუფლად ცვლადს და მეტრთა თავისუფალ შენაცვლებით შექმნილ სალექსო კომპოზიციას. გარდა ამისა, მელიკური ლექსები აგებული იყო არა ტაეპიკანი, არამედ სტროფული სალექსო სახტემით.

მელიკურმა პოეზიამ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ადამიანთა ინტიმური განცდები და უპირველესი ადგილი მიუეჭრება პოეტისეული სამყაროს სუბიექტურ აღქმას. ეოლიური მელიკის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან ალკეოსი, საფო, ანაკრეონტი.

მელიკასთან მჭიდრო კავშირშია საგუნდო-საფერხულ პოეზია ახუ დორიულა ქორაია. იგი მიიჩნევა ეოლიური მელიკიდან მომდინარედ ემყარებოდა ეოლიური სტროფის სალექსო-სამუსიკო ბაზისს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას ასრულებდა არა პოეტი-პიროვნება, არამედ გუნდი ცეკვს თანხლებით. ქორიკაში გამოირჩეოდა დიონისური ღითიარმები, აპოლონის სადიდებელი პეანები და ჰიმორქემები, ასევე ადამიანთა სადიდებელი სიმღერები, გმირთა მკებარი ეპინიკები ან დასატირებელი თრენები.

ქორიკული მელიკის ცნობილი წარმომადგენლები არიან ძვ. წ. VII—VI სს. პოეტება სტესიქორე, იბაკოსი, სიმონიდე კეოსელი, ჰაბილიდე, პინდარე.

ჩვენამდე ბერძნული ლირიკის მკირემა ნაწილმა მოაღწია. ზოგა რამ ეგვიპტის მიწამ შემოგვინახა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მაკედონელის ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად ბერძნული კულტურა ელადის მიჭნებს გასცდა და აფრაქამდე განიერყო, სადაც ალექსანდრეს ქალაქი იქცა „სხუად ათინად“. იქ კრებდნენ და გამოსცემდნენ სახელგანთქმულ ელინთა თხზულებებს, რომელთა უდიდესი ნაწილი ალექსანდრიის ბაბ-



ლიოთეაში იყო დატეული და ამ ბიბლიოთეკასთან ერთად ცეცხლში დაინთა. მათ შორის ფერფლად იქცა ბერძნული ლირიკის კრებულები. მიუხედავად ამისა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვეკაპტეში წარმოებულ არქეოლოგიური ძეგბას წყალბით არაერთი ლირიკოსის სტრიქონებს კვლავ დახედა მუშმ და გზა გაუნათა მკითხველისაკენ. ახალი ფრაგმენტებით შეივსო საფოს, ალკეოსის, ანაკრონტის, სპონანდე კეოსელისა და სხვა პოეტთა მეტად დანაკლულებული კრებულება. გამოჩნდნენ ანონიმებიც (უცნობი ავტორები). მაგრამ ბერძნული ლირიკის მოზაიკა მაინც უაღრესად დარღვეულია და მისი მთლიანობის აღქმა, რა თქმა უნდა, ქირს. როგორც რუსი მეცნიერი ს. შერუანსკი ამბობს, ჩვენ მხოლოდ პურის აღების შემდეგ ნაყანევი დარჩენილ თავთავემდე ვსოვლობთ. ჩვენი მხრივ, ამ ნათქვამს დავემატებდით, რომ ეს ნარჩენებიც გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ბერძნული პოეზიის სიდიადებზე, მის მარად შრალა მწვანე ყანაზე, სიბრძნითა და სიტურფით ავსებულ მწიფე თავთავეებზე.

ბერძნულ საძირებზე იყო დამყნლი რომაული ლირიკა. რომელმაც პოეტებმა ლათინურ ენაზე გადმონერგეს თითქმის ყველა ლირიკული ეანრი (ელეგია, იმბი, მელიკა, საფოური სტროფიკა) და თავიანთ ლექსებში დაურიდებლად მიმართავენ ბერძნულ პოეტურ თემატიკას. ბევრი მათი ლექსი უბრალოდ თარგმანია ბერძნულიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არ არის პოეტური კულტურის მხოლოდ ტრანსპლანტაცია. ლათინიზებულ ბერძნულ პოეტურ ფორმებში ახალი, უახუერი ენერგიით, ვნებითა და ტემპერამენტით დატვირთული პოეზია გახშიანდა. ამის მაგალითად კმარა თუნდაც კატულუსის, ოვიდისის, პორაციუსისა და ვერგილიუსის განუმეორებელი, რომაული სისხლჭარბობითა და ფერხორკოვნებით გამორჩეული ეპიკური თუ ლირიკული შედეკრები.

პირველი საუკუნის რომაელ პოეტებს მერად რათელ სოციალურ და ფსიქოლოგიურ გარემოში მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. სამოქალაქო ომებში დამარცხდა რომის რესპუბლიკა და გაიმარჩვა იმპერიამ იულიუს კეისრის იმპერატორობით, რომელაც საბოლოოდ განმტკიცდა ოქტავიანე ავგუსტუსის „ოქროს ხანით“. რომაული დიქტატურის (პრინციპატის) დამკვიდრებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა თაობაზე, რომელიც რესპუბლიკურ იდეალებზე იყო აღზრდილი. პირრვენების როლის დაქვეითებამ პრინციპატის ეპოქაში გამოიწვია პოეტთა განდგომა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისაკენ. მაგრამ მათი პასიური თუ აქტიური პროტესტი თანდათან რამდენადმე შემრიგებლურ-შემწყნარებლური გახდა, თუმცა მათ პოეზიაში მაინც აშკარად იჩინა თავი არსებული რეალობიდან თავდაღწევის რომანტიკულმა ოცნებებმა.

რეალურა სინამდვილიდან ცხადლაცი თუ ოცნებითი განაპარების იდეალი რამდენადმე სხვადასხვა კუთხით აისახა რომაელ პოეტთა შემოქმედებაში, თუმცადა ეს იდეალი საერთოა მათთვის. ეს სხვადასხვა კუთხეა — ფილოსოფია (პირველ საუკუნეში თავი იჩინა ელინური ფილოსოფიით გატაცებამ), წარსული (ისტორიის პოეტიზაცია), სიყვარული (ვენერას კულტი) და ბუნება (სოფლური იდილია). პირველი საუკუნის

რომელ პოეტთა განწყობა რომანტიკულია და ამ პერიოდს პირობითად შეიძლება ეწოდოს კიდევ ანტიკური რომანტიზმი (ამ დროის პოეტებს შემთხვევით არ მოუხდენიათ გავლენა ევროპულ რომანტიზმზე).

რომისა და მთელი მსოფლიოს დიდებაა პოეტი-ფილოსოფოსი ტიტუს ლუკრეციუს გარუსი (ძვ. წ. 97—54 წწ). მისი დიდი პოემა „საგანთა ბუნებისათვის“ რთული ფილოსოფიური სიღრმისა და ამავე დროს პოეტური უბრალოების იზვიათი ნიმუშია, ამ მშვენიერ პოემაში ლამის ბავშვისათვის გასაგებ ენაზეა გადმოცემული ელინური მატერიალისტური ფილოსოფია და ფიზიკა.

ლუკრეციუსის მატერიალიზმი, რომელიც ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს მოძღვრებას ემყარებოდა და ფაქტიურად ამ მოძღვრებას პოეტურ გადმოცემას წარმოადგენს, ამავე დროს გარკვეული პროტესტიცაა იმპერატორის რომისა და მისი რელიგიის წინააღმდეგ. ღმერთთაგან ახლოდ სიყვარულის ქალღმერთს ვენუსს (ვენერას) ეთაყვანება პოეტი და მისდამი მიმართებით იწყებს თავის პოემას („უნე, ენადათა წინაპარო, დედაო ვენუს, კაცთა და ღმერთთა სანატრელო...“).

ფილოსოფია და სიყვარული იყო უხეში რეალობისაგან დევნილი პოეტის თავშესაფარი.

უშუალოდ პიროვნული ღირსების პირველი წარმომადგენლები იყვნენ კატულუსი, ტიბულუსი და პროპერციუსი. რომელთა შემოქმედებაში სიყვარულს უმთავრესი ადგილი უპირავს, როგორც პოეტური შთაგონების ძალას, ასევე პირადი ბედნიერების წყაროს.

ვალერაუს კატულუსი (ძვ. წ. 87—54 წწ.) რომელიც ღირსების მშვენიერებას, ლათინურ პოეზიაში მან პირველმა უმთავრესი ადგილი დაუთმო ადამიანის პიროვნულ განცდებსა და იღუმალ იმპულსებს. იგი უმბურვალესი გულის პოეტია და უწყააწყობამდე წრფელი რჩეული სიყვარულში, ასევე სიძულვილში. კატულუსი მტანჯველი სიყვარულით იყო გატაცებული ულამაზესი რომელიც ასულისადმი, რომელსაც თავის ლექსებში ეძახის ლესბიას (სანამღვილეში კი ამ ქალს სულ სხვა სახელი ერქვა — კლოდია). ლესბია გარკვეული ლიტერატურული პერსონაჟია პოეტის შემოქმედებაში, ხოლო ცხოვრებაში — სიყვარულის ქალღმერთის ამქვეყნიური ორეული.

ტიბულუსისათვის ასეთი ქალი გასლდათ დელია, ხოლო პროპერციუსისათვის — ენთია.

ვერგილიუსის (პუბლიუს ვერგილიუს მარონი — ძვ. წ. 70—19 წწ.) პოეტური შემოქმედება თემატურად მრავალმხრივია. „ენეიდას“ სახელგანთქმულ ავტორს ამავე დროს შექმნილი აქვს წმინდა ლირიული შედეგები. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა მისი „ბუკოლიკები“ („სამწყემსო სიმღერები“), რომელთა გარკვეული ნაწილი თეოკრიტეს „იდილიების“ მოტივებზეა შექმნილი (ღირსების სფეროში ბერძნულ გავლენას ვერცერთი რომელიც პოეტი ვერ აღწევს თავს), ლექსების დიდი წილი კი უშუალოდ რომელც ცხოვრებას ასახავს. ვერგილიუსი თავის „ბუკოლიკებში“ შესტრფის და შეჰხარავს სოფლის უბრალო ადამიანებს, ბუნების შვილთა იღალ სიყვარულსა და პირველქმნილ უშუალო გრძნობებს.

მოფლის შრომა-გარჯას, ადამ-წესებსა და მეურნეობას მიუძღვნა პოეტმა თავისი, ასე ვთქვათ, „აგრონომიული“ პოემა „გეორგია“.

ვერგილიუსს ოქტავიანე ავგუსტუსის „ოქროს ხანაში“ მოუხდა მოღვაწეობა და უკვე არამც თუ შერიგებულია დაკანონებულ სოციალურ გარემოსთან, არამედ იმპერიული რომის მეზობტეცაა და ახალ დროში იგი რამდენადმე გვაგონებს ინგლისური იმპერიის აპოლოგეტს — რედინგს. მეორე მხრით, მისი პოეზია მკვეთრად რომანტიკული ხასიათისაა და მისი ოცნების იდეალია წარსულის ისტორიული შორეთი („ენეიდა“), სოფლის ბუნებაში განმარტობა და სიყვარული („ბუკოლიკები“ და „გეორგია“).

ავგუსტუსის ხანის დიდი პოეტი პორაციუსი (ვერტუს პორაციუს ფლაკუსი — ძვ. წ. 65—8 წწ.) უშუალოდ ათენში ბერძნულად განსწავლული ლათინი პოეტია. მან ლექსების წერა ბერძნულ ენაზე დაიწყო და ელინურად გაწაფული დაუბრუნდა მშობლიურ ლათინურს, მაგრამ ბერძნული პოეზიის, კერძოდ, ეოლიური მელიკის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ თავის ერთ-ერთ ლექსში („ძეგლი“) სიამაყით მიიწინეს თავს ეოლიური ლირიკის ლათინურ ენაზე გადამლექსავად:

„იტყვიან ჩემზე, — სად მოქუხსო აუფილუსი  
და სად დაენუსი წყალდარბი მუქულებდაო  
ველურ ტომებზე, — აღზედაო არაჩაისგან,  
ვინაც პირველად გარდასთქვაო იტალიურად  
ვოლთ სიმღერა“.

პორაციუსის ლირიკული შემკვიდრებობა „ოდები“, „ეპოდები“ და „სატირები“. საინტერესოა აგრეთვე მისი ლექსად გაწყობილი ტრაქტატი „პოეტური ხელოვნების შესახებ“.

რომაული პოეზიის პანთეონში ეპიკური თხრობის სიდიადითა და ლარიკოსის ბრწყინვალე ოსტატობით გამოირჩევა მსოფლიო რანგის პოეტი პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (ძვ. წ. 43 წ. — ახ. წ. 17 წ.) ვერგილიუსის შსგავსად, ეპიკურ-ისტორიულ ტილოსთან ერთად („მეტამორფოზები“ — „გარდასახვანი“), კმნის იშვიათი ხელოვნებით შესრულებულ სატრფიალო ლირიკულ ციკლებს, როგორცაა „სიყვარულის ხელოვნება“, „ტრფიზანი“, „სიყვარულის წამლი“. ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო ოვიდიუსი გადაასახლეს ღუნაის შესართავთან (ქალაქ ტომეში) ავგუსტუსის ბრძანებით, სადაც განლია პოეტმა სიცოცხლის ბოლო წლები. ამ მწარე გაძევების ეამს დაწერა მან „ლექსნი მწუხარებისა“ და „წერალები პონტოდან“.

რომაული პოეზია ახ. წ. I საუკუნეშიც ანტიკური ინერციით განაგრძობს არსებობას. ამ დროს მოღვაწეობდნენ: ფილოსოფოსი და დრამატული პოეტი ლუციუს სენეკა (1—65 წწ.), სატირიკოსი პერსიუსი (34—62 წწ.), საკვასტელი იუვენალი (60—140 წწ.) და ეპიგრამისტი მარციალი (42—102 წწ.).

ძველისძველი ლირა, რომელიც ოდესღაც მშვენებდა მარადქალ-

წულმა ქალღმერთმა უბოძა პოეტებს, ღღემდე არ გაცვეთილა და მისი გრძნეული სიმების იდუმალი რხევა ღღესაც მშვენიერების ჭადოთი კურნავს მეოცე საუკუნის მანქანების ხმაურით გადაქანებული ადამიანის სმინას. ანტიკური პოეზია უბრალოდ წარსულის რომელიმე ისტორიული მონაკვეთი კი არ არის, არამედ საფუძველია თანამედროვე ევროპული პოეზიისა და ამავე დროს მასთან ერთად ღღემდე მოქმედიც.

**გიგლა სარიშვილი**

\* \* \*

სანამდე უნდა იხდეთ უქმად და არ განვაუკაცდეთ,  
 ყმაწვილო კაცნო? არც მოყვასთა არა გთნავთ რიდი?  
 ცუდად მაშერალობთ, თუ გგონიათ, რომ მშვიდობით

სუფევთ; —

ომს დაუბყრია დედამიწა კიდით კიდემდე.

ვაუს პატივს სდებს და განამშვენებს — ბრძოლით დაიცვას  
 სამშობლო მიწა, ბაღლები და ხატულა ცოლი.

სიკვდილს კი ყველგან მოიხრა მოქსოვს, აქაც და იქაც,  
 როს საამისო მოვა ჟამი... მაშ, შეიმართე,  
 ჩაბლუჯე შუბი და მამაც მკერდზე იფარე ფარი,  
 წამით დაასწარ, ვიდრე ომის დაძრულა ზვავი!

• • •

თვით კრონიონმა, გვირგვინოსან ჰერას მეუღლემ —  
 ზევსმა უბოძა ჰერაკლიდებს ქალაქი ესე,  
 ჩვენ დავეუტევეთ ქარიანი ერიწეოსი  
 და პელოპოსის ვრცელ კუნძულზე შემოვდგით ფეხი.

\* \* \*

ვერცხლ-მშვილდოსანმა აპოლონმა, დიდმა მეუფემ,  
 მდიდრულ ტაძრიდან წარსთქვა სიტყვა ოქროსთმოსანმა,  
 რომ ღვთისმოყვარე მეფეებმა მართონ კრებული,  
 სპარტის სანატრი ქალაქი რომ მიჰბოძებიათ.  
 ერის უზუცესთ და ერისკაცთ ხმამართლად მართებთ,  
 ურთიერთ კეთილსასურველი შეჰკრან პირობა  
 და მართალ-თქმული აღასრულონ მართალ კანონით,  
 არასდროს ავი არ იზრახონ სამშობლოსათვის;  
 მაშინ ძალაც და გამარჯვებაც ხალხთან იქნება, —  
 აი, ეს სიტყვა დაუბარა ჩვენს ხალხს ფებოსმა.

\* \* \*

მშვენიერია კაცი, რომელიც სამშობლოსათვის  
 მებრძოლთა შორის წინა რიგებში ეცემა მკვდარი.  
 მაგრამ ვინც ტოვებს მშობლიურ მხარეს, პურსავესე ყანებს,  
 მწარეა მისი ჩამოთხოვილი პურ-წყალის გემო.  
 ვინც ეხეტება უცხო მიწაზე საყვარელ დედით,  
 მოხუცი მამით, წვრილშვილით და ძვირფას მეუღლით —  
 მას მოღალატედ ჩათვლიან ყველგან, სადაც, ვისთანაც  
 მიდენის მძიმე ხელმოკლეობა და სიყარბე.

გვარშერცხვენილი და მშიერი სირცხვილს სჭამს მხოლოდ,  
რაგინდ აღნაგად იყოს იგი დიდმშვენიერი.

და თუ არა ღირს ქვეყნად ყოფნა ლტოლვილი კაცის,  
ვისთვისაც უკვე არარაა გვარიც და სახეც, —

ისევ ვიბრძოლოთ სამშობლოსთვის და დავიხოცოთ  
შვილებისათვის, — აღარ არის საშიშიც უკვე.

ჰეი, ჭაბუკნო, იბრძოლეთ და ერთად იდექით,  
ნურც სამარცხვინოდ გაიქცევით, ნურც შეშინდებით.

დიდმეომრული თქვენს მკერდებში ჩაიდგით გული  
და სიცოცხლეზე ფიქრს ზედმეტად ნუ გადაჰყვებით.

ნუ მიატოვებთ ბრძოლის ველზე ხანმოთულებს,  
მუხლში რომ ძალა აღარ უქრით; — მოხუც მეომართ.

სამარცხვინოა, მოწინავე საბრძოლო მწყობრში  
ყრმის უწინარეს ხანდაზმული კაცი კვდებოდეს,  
რომელსაც უკვე თმა და წვერი გასდევარებია  
და სიკვდილის წინ საპატიო ჯადათა სეარქალს  
თავისი ასო სისხლიანი ეჭიროს ხელში.

სამარცხვინოა, საქმე ესე თვალთა საცქერად, —

მკენარი სიშიშვლე... ხოლო ჭაბუკს ყოველი შვენის,  
როცა ჰყვავიან გაზაფხულის ყვავილთ ასაკში,

კაცთა საშურნი არიან და ქალთ სანდომელნი

ცოცხლები, ხოლო ბრძოლის ველზე მკვდრებიც — კარგები.

დე, მეომარმა წინ აბიჯოს და ორივე ფეხით

ჩაერგოს მიწას, ჩაიკენიტოს კბილებით ბაგე!

\* \* \*

თქვენ ხართ ჰერაკლეს უძლევი მოდგმა,  
გამაგრდით, ზევსი ზურგს არ შეგაქცევთ!

არ შეუშინდეთ აზვავებულ მტერთა სიმრავლეს,

ყველა მოლაშქრემ წინ მფარავი იფაროს ფარი,

თავად სიცოცხლე უჩნდეს მტერად, ხოლო სიკვდილის

შავი ისრები მზის სხივებზე მეტად უყვარდეს!

თქვენ კარგად უწყით ცრემლთ მათხვევარი

ომის ღმერთის — არესის საქმე

და ბრძოლათა დიდმაშვრალობა.

თქვენ ოტებულნიც გინახავთ და მოტებულნიც,  
 ერთიც, მეორეც, ჰე, ჭაბუკნო, გინახავთ მრავლად!  
 როცა მებრძოლნი წინა ხაზზე მხარდამხარობენ  
 ხელჩართულ ომში — წინა მებროლთ ნაკლებ ჰკარგავენ  
 და უკანათაც მეტად იცავენ.  
 ლაჩარი ჰკარგავს სამუდამოდ მაჰრის ღირსებას,  
 ენა ვერ იტყვის,  
 თუ რა სირცხვილი უნდა ზიდოს ქვეყნად ცუდ-კაცამ.  
 ძნელი საქმეა, როს ფიცხელი ომის ველიდან  
 შიშით გაქცეულს ზურგში ჩაარტყამ.  
 სამარცხვინოა ამგვარი მკვდარი —  
 ზურგ-გაგლეჯილი შუბის ბუნიკით.  
 მტკიცედ უნდა დგეს მეომარი ორივე ფეხით  
 მიწას დარგული, ჩაიკვნიტოს ბაგე სიმწარით.  
 სამუხლეებით დაიფაროს მუხლ-ბარძაყები,  
 ხოლო მხარ-ბეჭი — მუცელგობა სპილენძის ფარით.  
 მარჯვენა ხელით მძიმე ლახვარს მიმოიქნევდეს,  
 თავზე ირხევდეს ხილვად საშიშ ჭილა-მუზარადს.  
 იწრთოს მებრძოლი დიდ ბრძოლათა გარდასახდელად!  
 ისართა სრბოლას არ განუდგეს ფარის მპყრობელი,  
 გრძელი მახვილით მიეგებოს ხელჩართულ ბრძოლას  
 ან მძიმე ლახვრით სასიკვდილოდ დალახვროს მტერი.  
 ფეხები ფეხებს მიაბჯინონ, ფარები — ფარებს,  
 მუზარადები — მუზარადებს, ჯილები — ჯილებს,  
 მკერდით ერთ მკერდად შეიკრან და იბრძოლონ ასე.  
 თქვენ კი, გიმნეტნო, ყველგან ყველამ იფარეთ ფარი  
 და გადასეტყვეთ ლოდებით მტრები  
 ან დაუყენეთ შუბების დელგმა  
 იმათ მხარდამხარ, თან რომ გიდგათ სრულალჭურვილნი.



არ გავიხსენებ მე იმ ვაჟკაცს, სიტყვას არც დაეძრავ,  
 რა ვინდ ფეხმარდი იყოს იგი, რა მოქიდავეც,  
 აღნავით, ღონით აღემატოს თუნდა კიკლოპსაც.  
 თუნდა თრაკიელ ბორეას<sup>1</sup>: ეც ქარ-სწრაფი იყოს,  
 უძშვენესობდეს თვით ტითონის უმეტესადრე,  
 სიმდიდრით მილასს აჭარბებდეს და კინირასსაც,  
 იყოს პელოპის — ტანტალიდის უხელმწიფესიც,  
 თუნდ აღრასტოსის ენა ჰქონდეს თაფლმომწვეთარე,  
 ყველა დიდებთ რომ დიდობდეს, — არად ჩაუთვლია,  
 თუ მას მეომრის ფიცხი გული არ უცემს მკერდში.  
 ვერ გადიქცევა ბრძოლის ველზე ვაჟკაცი გმირად,  
 ვისი თვალებიც ვერ დაითმენს სისხლიან კაფევას  
 და დაუფრთხება გულდედალი ხელჩართულ ბრძოლას.  
 ძვირფასი ჭილდო ამა ქვეყნად ჭილდოთა შორის  
 კარგი მამაცი სახელია ჭაბუქისათვის.  
 ქალაქისა და მთელი ხალხის საამაყო  
 ვაჟი, რომელიც მოწინავე რიგებში იბრძვის,  
 ვინაც არ უწყის სამარცხვინო გაქცევის ფიქრი,  
 სულსა და გულში ბრძოლის ცეცხლი წაჰკიდებია  
 და თავის ირგვლივ მოძმეებში მხნეობას ნერგავს,  
 სწორედ ასეთი ვაჟკაცია გმირი ბრძოლისა.  
 მხნედ უდგას იგი შემოჯარულ მტერთა ფალანგებს  
 და წამოგრაგნილ, ბრძოლის ტალღას უკუმიაქცევს.  
 თუ ბრძოლის ველზე ნაომარი დარჩა სხეული  
 ხალხის, ქალაქის და მშობელი მამის სახელად,  
 როცა მის მკერდზე ნაირგვარი ჰყვავის ჭრილობა,  
 შემოლენწია აბჯარი და მუცელა ფარი, —  
 ძტირალნი ლოცვას აღუვლენენ მოხუცნიც, ყრმანიც  
 და მწუხარებით იხოკება მთელი ქალაქი.  
 მისი საფლავი უკვდავებით ნიშანდებული  
 ეყოფათ შვილებს, შვილიშვილებს, მოდგმას დიდებად.  
 აქ არ მოკვდება დიდებული მისი სახელი,  
 გარნალა მკვდარი ის უკვდავი იქნება იქაც,  
 სამშობლოსათვის რომ იბრძოდა და შვილებისთვის  
 თავგანწირული და განწირა შმაგმა არესმა.

მაგრამ თუ გმირი მსახვრალ სიკვდილს გამოერიდა  
და შუბი თვისი გამარჯვების დროით შემოსა,  
მას დაათასებს დიდ-პატარა და ამქვეყნიურ  
მრავალ სიამეთ რომ იგემებს, — გარდავა ჰადესს.  
სიბერის ჟამსაც პატივში ჰყავთ ის მოქალაქეთ,  
ვერც ვინ ღირსებას შეულახავს, ვერცა უფლებას  
საკრებულოში, საფიხვნოზე, სუყველგან ყველა —  
მოხუცია თუ ახალგაზრდა — მას პატივს სცემენ.  
ვაუკაცი უნდა ესწრაფვოდეს დიდების მწვერვალთ  
და არასოდეს მიატოვოს ველი ბრძოლისა!

• • •

ო, სულო ჩემო, თუმც კი გარყევს ჟამი მსახვრალი,  
 მხნედ იყავ, ჭირშიც ხსნა ეძიე და მტერს დაუდექ.  
 არ შეკრთე, თუნდაც მტერი გვერდით გეგულუბოდეს.  
 თავს ზე ნუ ასწევ, თუ გაიმარჯვებ,  
 ნურცა უზომოდ იმწუხარებ დამარცხებულნი.  
 სიხარულიც და მწუხარებაც მოზომე შენი,  
 ყური მიუგდე კაცობრიულ დედა-გულს და შეიცან იგი.

• • •

უნდა მივენდოთ მუდამ ღმერთებს, უბედურებით  
 ქვედანარცხებულთ აღადგენენ ისინი ზეზე,  
 ზოგჯერ კი მტკიცედ ფეხებ-გადგმულთ, მალლით მსუფეველთ  
 დაბლა დასცემენ, დააწევენ უბედურებას...  
 და ასე სარჩოს რეტდასხმული ეძებს მავანი.

• • •

დასტაცე ხელი ღვინის კათხას, ადი გემბანზე,  
 ხის ღრუ კასრებზე დაგოზილი მოხადე როგო,  
 წითელი ღვინო ამოხაპე და გამოსცალე,  
 გუშაგად დგომა არ ძალგვიძს ფხიზლებს...

• • •

შუბით ვზელ პურის ცომს,  
შუბითვე ვისთვლი იზმარულ დე:ბოპ  
და შუბს დაყრდნობილი ვსვამ.

• • •

შეხედე, გლავკე, ვით არყევენ ტალღები ზღვის ფსკერს,  
აგერ, ღრუბელი დასწოლია გირეის მწვერვალს,  
ავდრის ნიშანი... უცაბელად შემიპყრო შიშმა...

• • •

დავტოვე პაროსი,  
ლელვის ხეები და სანაპირო...  
და ახლა ვდარდობ...

• • •

არ მსურს გიგესის ოქრომრავლობა,  
არ მშურს,  
ამისთვის მაღალ ღმერთებს არ შევეაწუხებ.  
არარად მიჩანს მე ტირანის დიდნი საქმენი,  
შორად არიან თვალთაგან ჩემთა!

• • •

ძირს ვგდივარ საწყლად გვეშული ვნებით,  
წარმხდია ცნობა... ღმერთების ნებით  
ტანზე ძვლებამდე შესობიან ტკივილთ ეკალნი...

• • •

გოგოს ეჭირა რტო მირტისა,  
ვარდი და ნაზი რამ ყვაველი და უხაროდა...  
მის ქორფა ყელ-ყურს თმათა მისთა ეფინა ჩრდილი...

• • •

მეომარ უფალს — ენიალიოსს ვემსახურები,  
მაგრამ მუხების მშვიდობიან ჭილდოსაც ვისთვლი.

• • •

არ ზრიალებენ იმ დროს ისრები.  
არც ქვებს სტყორცნიან შურდულებიდან,  
როცა არესი გაშლილ ველზე ეწევა ბრძოლას.  
აქ მხოლოდ ხმალი ამრავლებს კენესას.  
ამგვარი ბრძოლის დროს გმირობენ შუბით ქებულს  
ევების მკვიდრხი.

• • •

ვინმე საიელს ჩემი ფარი ამშვენებს ახლა.  
მე უნებურად გადავაგდე ბუჩქებში იგი  
და ამით სიკვდილს გავეჭეცი. ჭანდაბას ფარი  
არც მის უარესს ვაშოვი კიდევ.

• • •

აიხიმიდე, ბრბოს თათხვა თუ შეგაღონებს,  
ამ ცხოვრებაში დიდ სიხარულს ნუ ელოდები.

■ • •

თუ საყვარელი ჩემთვის მისი თავი და ტანს  
ტანსაცმლიანად ჰეფესტოსმა დაფერფლა ცეცხლით.  
ამაო ვიშვიშს არ მოვყვები და არც უარესს —  
შვებას და ლხენას გადავეგები.

• • •

ვლოცულობ მრავალს ტალღა-აშლილ ჭაღარა ზღვიდან.  
შინ მშვიდობიან დაბრუნებისთვის.

• • •

შენ მთის ლელვი ხარ, პასიფილე, ყვავნი გკორტნიან  
და ამგვარ სტუმრებს გულკეთილად უმასპინძლდები.

• • •

მიეტრფობოდა თვით მოხუციც მის სურნელოვან  
თმებს და ძუძუ-მკერდს.

## თასოღსი

ეს ყრუ კუნძული  
აქ ვირივით ჩამდგარა წყალში,  
ზურგ-აჭაგრული ველურ ტყეებით.  
უემური კუთხე, უხეირო, სულაც არა ჰგავს  
სატრფობელ მხარეს  
სად საამოდ მოსჩქეფს სირისი.

## მიმწერე კოლოფონელი

\* \* \*

დავავდეთ მაღალი პილოსი, ნელეოსის ციხე-ქალაქი,  
საეგვიპტო შემოვეწყვეთ კეკლუც აზიას.

ვეკვეთეთ საყვარელ კოლოფონს, ვიუფლეთ ზვიადად,  
შევდექით ტლანქად ჩვენ, ურიცხვი მპყრობელნი...

შევყვეთ მდინარის შეციხულ ნაპირთ და  
აწ ღმერთთა ნებით ეოლით სმირნას ვესწრაფვით.

\* \* \*

თუ არა ოქროს აფროდიტე, რაა სიცოცხლე?

სიკვდილი მიჯობს, თუ განმიქარდა

აკრძალულ ცოდვის ტკბილი ჯილდო და სარეცელი

ოდენ ასაკი ყვავილობისა აბრუებს ქალ-ვაჟთ,

რაჟამს მწარე მოვა სიბერე,

ტალიკ ჭაბუკსაც ცუდმაშვრალის ნიშანს დაადებს,

სულში ქარ-სუსხით ჩამოწვება ჯანდის ჯარები

და სხივ-სხივა მზის მაცქერალიც ვერ მპოვებსა შევებას,

არ ისწორფრებენ საქმოდ ვაჟნი, სატრფოდ — ასულნი,

დაუდგენია ღმერთს ვერანა სიბერე ჩვენთვის.

\* \* \*

ზევსმა სიბერის უკვდავება, ესოდენ ძნელი

არგუნა ტითონს. გულმომწყველი სიკვდილი სჯობს ამ  
უკვდავებას.

არ მქონდეს სნება და შეჭირვება

და ასე შემხვდეს მე სიკვდილი სამოცი წლისას.

• • •

ჩვენ ვგაეართ ფოთლებს ყვავილუხვი გაზაფხულისას,  
უამითი-უამად რომ მწვანობენ მზისა ქვეშეთში.  
დროუმოკლესად ვხარობთ მხოლოდ სიყრმის ყვავილით  
და ღმერთთა ნებით ველარ ვარჩევთ ბოროტს და კეთილს,  
გარემომდგარან კერები ბნელი —  
ერთი სიბერის განაჩენით, მეორე კიდევ — სიკვდილისა.  
ნაყოფს სიყრმისას მალედვე ვისტვლით  
ამქვეყნად ყველგან, სადამდეც სხივი გაწვდება მზისა  
და რა ჩაივლის სინორჩის ხანა.  
სიკვდილი გვიჯობს, ვიდრე სიცოცხლე.  
სულში იმრავლებს საღმობანი, ზოგჯერ სახლკარი  
ჩამოგვექცევა და ბეჩავი სიღარიბე დაისადგურებს,  
ზოგჯერ უძეოდ გადაეგება შვილთმონატრული  
და მარტოსული ჩაეა ჰადესს, ან სნება რამე  
შეეყრება სულის მსახვრალი. არ არის ქვეყნად  
კაცი, რომელსაც ჭირმრავლობა დააკლოს ზევსმა.



**ზ ა ლ ხ ს**

რაჟამს თქვენივე უგნურებით ჭირს გაიპრავლებთ,  
 ღმერთებს ნურაფერს ნულა აბრალებთ,  
 რომელნიც ზევით წაშობასკუბეო, უბოძეთ ძალი,  
 მათგანვე გეზღოთ მონობა მწარე.  
 ყველა თქვენგანი სათითაოდ მელაქუაა,  
 და როცა ბრბო ხართ, გითხელდებათ მაშინვე ჭკუა,  
 დაერწმუნებით აღესილ ენას და ფლიდთა სიტყვებს  
 და მართალ საქმეს ვერასდროს ხედავთ.

**ფილოპოპროსისაღმი**

შენ იხელმწიფე სოლიელებზე მაგ შენს ქალაქში,  
 მრავალეამიერ, მოდგმასთან ერთად.  
 მე კი კიპრიდას იის გვირგვინით მაგ სახელქებულ  
კუნძულიდან
 შორს მქროლავ ნავში ვიცხოვრებ ლაღი.  
 და დედუფალმა სიკეთე და გულმოწყალება მოიღოს ჩემდა  
 და ბედნიერი დამაბრუნოს ჩემს სამშობლოში.

**ცხოვრება კაცისა**

ღუღუნა ბაღდი, უზრუნველი და უსაკო  
 ზიცოცხლის პირველ შვიდწლეულში მოიცვლის კბილებს.  
 და თუ მეორე შვიდწლეულიც უბოძა ღმერთმა,  
 დაინიშნება ასაკით იგი.  
 უკვე მესამე შვიდწლეულში ტანს განიმტკიცებს,  
 შეიღინღლებს, ეცვლება ნირი.  
 დიდ ძალას იძენს ვაჟი-კაცი მეოთხე შვიდწელს,

ოდეს საერო უჩანს პირი საკეთილდღეო.  
კაცის მეხუთე შვიდწლეული ქორწილის დროა,  
რათა ქალ-ვაჟი აბოჟირდეს, აყვავდეს მოდგმა.  
მეექვსე შვიდწელს უდინჯდება ვაჟკაცს გონება  
და არ ესწრაფვის უგუნურ საქმეთ,  
ხოლო მეშვიდე შვიდწლეულში, მერვესთან ერთად —  
თოთხმეტწლეულში, — ერთად ჰყვავის აზრი და სიტყვა.  
მხოლოდრე მეცხრე შვიდწლეულში, თუმცა ჭარმაგობს  
აღაძიანი, ითიშება სიტყვა და აზრი.  
და თუ მეათე შვიდწლეულიც უბოძა ღმერთმა,  
ცროა, კაცს ბოლო დაუდგინოს არსთა გამრიგეჲ.

\* \* \*

არ დაეცემა არაოდეს ჩვენი ქალაქი  
მაღალნეტართა და უკვდავთა ღმერთთა განგებით.  
დამცველი ხელი განუბყრია მასზე დიდ ქალღმერთს —  
მრისხანე მამის დიად ასულს — ათენა პალასს.  
მაგრამ დიდ ქალაქს უგუნურნი, ფულით სნეულნი  
მტრად დასდგომიან თავისივე მოქალაქენი.  
ხალხის მმართველნიც უსამართლო აზრს შეუბყრია  
და მზვობარნი იძუადებენ მრავალ განსაცდელს.  
ზღვარს არ უდებენ უძღებობას, ფეხქვეშ თელავენ  
სათნობას და ესწრაფვიან მუცლის სიამეთ.  
ოქრო-სიმდიდრეს სულწასულად დახარბებულნი  
აღარ ინდობენ არც სატაძრო, არც სახალხო განძს  
და როგორც ქურდნი, იტაცებენ ყველგან ყველაფერს.  
მათ დავიწყნიათ მართლმსაჯული ქალღმერთი დიკე,  
ის ჩუმად არის, მაგრამ ხედავს ამ ცოდვის ტრიალს  
და თავის დროზე ყველაფრისთვის მიუზღავს ყველას.  
მაშინ მთელ ქალაქს გარდუვალი მოსწყლავს კრილობა,  
მწარე მონობა მაშინ ჩქარა ფეხს მოიკიდებს.  
სიავეს ღვიძავს შინააშლილ საქმო ბრძოლაში,  
რომელიც წარხოცს ბევრ სიტოტლეს ჰასაყ-ყვავილთა.

• • •

„სოლონი არც ღრმაზროვანი არისო და არცა კაცო  
რჩეულ-მრჩეველი.

შან უარპყოო ნაბოძები ღვთისაგან განძი.  
თევზებით სავსე სათხევლის თოკი ეჭირა ხელში  
და არ მოზიდა ნაპირისაკენ.

სულით რომ შედრკა, შეაფრთხოო ამითი გულიც.  
მე რომ მქონოდა ეგ უფლება და ეგ ქონება  
და ათენში რომ მემეფაო თუნდაც ერთი დღით,  
მერე გაგეძროთ ტყავი ჩემთვის, მთლად ჩემი მოდგმაც  
ამოგეგდოთო“.

მე თუ დავინდე სამშობლო ჩემი, ტირანიით და  
ძალმომრეობით

არ ვთელე იგი და დიდებაც ჩემი ვიღირსე,  
აქას არც ვნანობ. იქნებ ავით აღვემატები  
ყველა კაცთაგანს.

მათ კი გააჩნდათ მხოლოდ ძარცვის ხარბი იმედი,  
რომ ყველა პირადს იწილებდა კეთილდღეობას,  
ჩემზე ეგონათ — კეთილ სიტყვით სიავეს ვმაღავ.

მაგრამ მათ ყველამ გაამხილა სიავე თავად,  
და ახლა ვით მტერს, მომცქერიან ზიზღის თვალებით  
მე კი რაცა ვთქვი, ყოველივე დასტურვყავ საქმით.

საქმეც ამო არ ყოფილა, ტირანია და ძალმომრეობა  
არ ვაბოგინე და სამშობლოს მსუქანი მიწა  
ავსაც და კარგსაც მე თანაბრად არ გავუყავი.

დაე, მე დროის სამსჯავროზე მოწამედ მყავდეს  
დიდი ოლიმპის ნეტარ ღმერთთა კეთილი დედა, —

აი, ეს შავი დედამიწა, რომ მე მოვგლიჯე  
მისგან მრავალმხრივ სამანების მძიმე ბოძები  
და დამონებულს მივანიჭე თავისუფლება.

მე დავაბრუნე ღვთით კურთხეულ ჩვენს სამშობლოში  
ბევრი ლტოლვილი ათენელი, ზოგი კანონით  
და ზოგი კიდევ უკანონოდ გაძევებული.

ბევრს გაჭირებამ აიძულა შორი მსხემობა

და დაავიწყა მშობლიური ატიკის ენა.

აქ კი, რომელნიც მონობაში ტვირთმძიმეობდნენ

და ცახცახებდნენ თავაგდებულ ბატონთა შიშით,  
თავისუფლება მივანიჭე. ხელისუფლებით  
მორკმულმა ძალა შევეუხამე მართალ სამართალს  
და აღვასრულე სიტყვა ჩემი დაპირებული.  
გავათანაბრე მე კანონის წინაშე ყველა —  
ლატაკიცა და დიდებულიც, ერთ-წეს ვქმენ მათთვის  
და ყველასათვის სამართალი ვქმენი მართალი.  
სხვას რომ ხელთპყროდა ეს კენტრონი, მე რომ მიპყრია,  
ბოროტის მზრახველს ან მომხვეჭელ კაცთაგანს ვისმე,  
ვერ ივარგებდა ხალხის მწყემსად. მე რომ მესურვა,  
მეამებიანა ყველა ჯურის მოწინაღმდეგე  
და ყველგან ყველას ყაყანისთვის ყური დამეგდო,  
შინამტერობა წარხოცავდა სრულად ჩვენს ქალაქს.  
მე კბილდახრჭენილ მტერთა შორის ისე ვიდექი,  
როგორც ძაღლების აზვავებულ ხროვაში მგელი.

**წატირა ქალთათვის**

სხვადასხვაგვარი შეუქმნია ქალთა ჯილაგი  
 ღმერთს დასაბამით. ზოგი ქალი ჯაგარაშლილი  
 ღორიდან მოდის, სახლი მუდამ აჯიჯგნილი აქვს,  
 გაუთავებლად გორავს, ნებივრობს,  
 უბანელია, ჭუჭყიანი აცვია კაბა,  
 ეფლობა წვირში, რაც დრო გადის, ეღუბა ქონი.  
 ზოგ ქალს უფალმა მელაძუას ჯიში უკურთხა,  
 ასეთი ქალი მუდამ არჩევს ავს კარგისაგან,  
 ოღონდაც ცუდსა გიკარგებს და კარგსა გიცუდებს.  
 იცვლის ხასიათს.

სხვა ქალთაგანი ავი ძაღლის ნაშიერია,  
 სწორედ ძუენაა, ყველაფერს რომ უსმენს და ყნოსავს.  
 სულ ზერე-ქვერე დასუნსულებს მიმოცქერალი.  
 სულაც რომ ქურდის ქაჰანება არ იყოს — ყმუის.  
 ვერ დაიურვებს ასეთ ქალს ქმარი,  
 თუნდაც სულ ქვებით უმტერიოს პირი,  
 თუნდაც აღერსით დაყვავენას ლამობდეს მისას.  
 სტუმართა ავი მასპინძელია.

ვერას გააწყობ ასეთ დიაცთან.  
 ასეთ ქალთაგანს ოლიმპიის მაღალმა დასმა  
 ტალახისაგან მოზელილი უბოძა ქმარი.  
 ზემორე თქმული არ ასხვავენს ავს კარგისაგან,  
 ამ ქვეყნად მისი გატაცება ჰამაა მხოლოდ.  
 რაჟამს ღვთის ნებით გაავდრდება, იგი ცეცხლისკენ  
 არ მიჩოჩდება, სიცივით რომ სული სძვრებოდეს.  
 ზღვიდან წარმოქმნილს დაჰყოლია ზნე ორთაგანი.  
 ზოგჯერ იცინის, დღიდან დღემდე მხიარულია.  
 ამ დროს შემხვედრი უცხო კაცი შექებით იტყვის:  
 ა ქალი, ქალის უნახავს გაგხდის,  
 სად ნახავ უფრო რჩეულს და სათნოს.

ზოგჯერ კი იგი ფეთხუმია, ზედ არ შეხედავ,  
არ გაგიკარებს, არის დია გაავებული,  
ვითარცა ძუქნა თავის ლეკვებთან.  
ალარც ალერსი ეკითხება პირგამეხებულს,  
ალარც დაგიდევს, მტერი ხარ თუ მოყვასი მისი,  
სწორედ ისევე, როგორც ზღვაა ზაფხულის დღეში  
ტალღებჩამდგარი, გასახარი ზღვაოსანთათვის  
და უცაბედად აზვირთდება, გადაირევა.  
ზემორეთქმული ქალიც ესრეთ ცვალებადია,  
გაშლილ ზღვასავით მერყევია ბუნება მისი.  
ზოგი ქალი კი ნაცრისფერი ბრიყვი ვირიდან  
წარმოშობილა; მიძალებით, ლანძღვა-გინებით  
თუ აქნევიანებ რამე საქმეს. სამაგიეროდ  
სახლის კუთხეში ზის დღედაღამ და ილუქვება.  
თუ შესთავაზეს აფროდიტეს ტკბილი საწოლი,  
არ დაფიქრდება, შემთხვევით კაცს გაუშლის ლოგინს.  
ზოგი კი ზღარბის ჯიშისაა ჯილაგდამწვარი,  
უშნო რამეა, ულაზათო და სახენავსი.  
არც სიყვარული გინდა მისი, არცა ალერსი.  
მაგრამ, იცოცხლე, სარეცელზე გადადის მალაყს  
ქმარს ანჯღრევს, როგორც ნავს ზღვის ტალღა, გულს  
არევიანებს.

ხელწამკრავია, სტანჯავს მეზობლებს,  
საღვთო საკურთხესაც მიძალება განუკითხავად.  
ზოგს მოსდგამს ჯიში ფაფარაშლილ ფაშატ კვიცისა,  
ცხოვრების ლაგამს, უღლის ჯაფას გაურბის ფიცხლად.  
არც წისქვილისკენ გზა დაიჭერს, არცა საპალნეს  
წაშოიკიდებს, არცთუ ნაგავს გაიტანს გარეთ.  
წაუალერსებს გულისგარე თავის მეუღლეს.  
შერე ორ-ორჯერ, ან სამ-სამჯერ განიბანება,  
ტანზე საამო კეთილსურნელს წაიცხებს მირონს  
და დალალეხსაც დაიმშვენებს ნაზი ყვავილით.  
იცოცხლე, სხვებს კი გულს უხარებს ასეთი ქალი,  
მაგრამ ქმრისათვის ის ზედმეტი ბარგია მხოლოდ.  
ქმარი ხელმწიფე ხომ არ არის, ან სტრატეგონი,  
რომ გასართობად იყოლიოს ლამაზი ცოლი.  
ღიაცს, რომელსაც მაიმუნის ნაგრამი მოსდევს,

მოაქვს კაცთათვის სიავენი ზეგისი განგებით.  
 შესახედავად მურდალია, მთელი ქალაქის  
 ვაჟ-ახალუხლებს სასაცილოდ არ ჰყოფნით იგი,  
 მკერდღარიბია, გაღეული, დაჭლევებული,  
 რა ეშველება, ვინც ამ მათხოჯს უნდა ეხვიოს.  
 ჰკუთით ცეტია, დამანჭული მაიმუნით,  
 სიცილს კი მისას ნუ იკითხავ გასაშტერებელს!  
 კარგს ნუ მოელი ასეთისაგან,  
 მუდამ იმაზე უჭირაქა თვალი,  
 ვის რა ზიანი მიაყენოს აუწონელი.  
 ზოგიერთს მოსდგამს ფუტკრის ჯიში, ბედნიერია  
 მეუღლე მისი. არ სჩვევია შინ მანჭვით ჯდომა.  
 მოაქვს სიმდიდრე, სიხარული მადლიან ხელებს.  
 იგი ბოლომდე გამტანია მოყვარული ქმრის,  
 ამრავლებს მარად მშვენიერ და დიდებულ მოდგმას.  
 ყველა ქალს ჩრდილავს სათნოებით, მშვენიერებით.  
 არც იმ ქალებთან ჩამოჯდება, ვისაც სჩვევიათ  
 სააფროდიტო მასლაათი ვნებათ აღმძვრელი.  
 ამგვარ ქალებით მამაკაცებს ახარებს ზევსი  
 და მოაქვს მათთვის სიკეთე და ბედნიერება.  
 სხვა ქალები კი ოლიმპიელ ზევსის გააგებათ  
 არ დაგვიღევენ ჭირის დღეს და უბედურებას.  
 რამეთუ დიდი ბოროტება განთესა ქალში  
 მალაღმა ზევსმა. ვინც დიაცში ეძებს სიკეთეს,  
 ხელთ ბოროტება შერჩება მხოლოდ.  
 დღე არ ექნება აღარც ერთი დამშვიდებული.  
 ვისაც მეგობრად გაუხდია ამ ქვეყნად ქალი,  
 ვერ გააძევებს გარეთ შიმშილს — ვერაგ მძეობელს.  
 ამ გაკერპებულ, უძლეველ დემონს.  
 ვთქვათ, კაცმა გონი დაიუნჯა კეთილი აზრით,  
 საღვთო რამ საქმე მოინება, გინდა საერო,  
 აითვალწუნებს ცოლი უმალ, დაუწყებს თათხვას,  
 სახლში საცა კი ნატამალი არის დიაცის,  
 ძვირფას სტუმარსაც ვერ მიიღებ გულდამშვიდებით.  
 უფრო ის ქალი, მოკრძალებით რომ გინადირებს,  
 გაცდუნებს მეტის ხელოვნებით.  
 ამგვარის ქმარი კმაყოფილი ზის და ამოქნარებს,

მეზობელი კი გულიანად იცინის მასზე.  
ყველანი ვფიქრობთ, სანაქებო გვყავსო ცოლები,  
ეს კი არ ვუწყით, საერთოა ხვედრი ყველასი.  
შაღალმა ზევსმა ქალის სახით დაგვდო ბორკილი,  
მტკიცედ ნაჭედი, სანავარდო შეგვიკრა გზები  
ამ დღიდან, რაჟამს, გადალალა ჰადესის მხარეს  
ღიაცისათვის გავეშებულ ვაჟკაცთა ჯარი.

• \* \*

ყოვლად ძლიერი არის, ყრმაო, მეხმტეხი ზევსი,  
იგი ბრძანებს და აღასრულებს თავის ბრძანებულს.  
კაცთა გონება უძლურია, ცხოვრება ჩვენი  
ეფემერაა, ნახირივით ვცხოვრობთ უვიცნი.  
არ ვუწყით, ღმერთი რას უქადის ყოველ ჩვენთაგანს.  
შოკვდავთა სურვილს ასაზრდოებს მხოლოდ იმედი —  
რაიც ფუჟია და რიოში, რომლის წყალობას  
ერთი დღეს ელის სასოებით, სხვა — სასხვადროოდ.  
არ არის კაცი, არ ფიქრობდეს, რომ არ დაუდგეს  
ხვავის, სიმდიდრის და ყოველი სიკეთის ხანა,  
მაგრამ ღიბერით კვდება იგი და ყოველივეს  
ედება ზღვარი, ხოლო სხვებს კი — ჯერეთ უმწითართ  
შემუსრავს სენი უკურნელი, სხვა მრავალს კიდევ  
შავ სამარეში ერეკება არესის შუბი.  
ზოგს ავბედითი ქარიშხალი წამოეწევა  
და მსხვერპლი ხდება მეწამული ზღვის ტალღებისა.  
ზოგიც სიცოცხლეს ზურგს შეაქცევს თავისი ნებით,  
მარყუჟს დაიდებს, კისრით თოკზე დაეკიდება  
და უბედური ეთხოვება სინათლეს მზისას.  
ქვეყნად არავის არ აკლია უბედურება,  
მაგრამ კერები კიდევ მეტად უათასებენ  
ჭირ-ვარამს მოკვდავთ — ენითუთქმელს. მე თუ მკითხავდნენ,  
არ აპყვებოდნენ ბოროტებას და აიცდენდნენ  
მწუხარებასაც, ბოროტებით რომ ვიმკით კაცნი.



\* \* \*

ათენა, ომის დედუფალო,  
მოვედ, იხილე ტადარი შენი,  
კორონეას მთის წინარე მდგარი  
სანაპიროსთან კორალიისა.

### ჰერმესისადმი

განიხარებდე შენ, კილინეს დიდო ბატონო,  
გულით მწადია, აღვაელიხო შენდამი ლოცვა,  
ვინაც კრონიდეს და მაიას ტკბილი კავშირით  
წარმოშობილხარ ზემალალ ალაგს.

\* \* \*

ვინ რას გაიგებს ქართა ქროლვისას,  
რად აყალყულა და დაძრულა ტალღა ტალღაზე...  
ან ჩვენ რად ან სად მივეშურებით  
ამ შუა ზღვაში შავი ხომალდით,  
უამინდობის დიდის მთმენელნი...  
და ჰა, გემბანზე წყალია უკვე!  
დაბლა მიიწევს ანძის ფეხი დაფლეთილ აფრით  
და გაშმაგებით ბუღრაობს ღუზა...



ზეციდან დელგმას  
აგზავნის ზევსი. მეუფებს ყინვა.  
გადაყინულან მდინარეები.  
განდევნე სახლიდან სიცივე.  
შეუკეთე ბუნარს.  
აავსე ტაკუკი შუმი ღვინით.  
თავი მიჰყავ თბილ ბალიშში  
და მიყუჩდი ეგრე.



სასახლე ვრცეული  
ციმციმებს სპილენძით,  
მორთულა პალატი არესის პატივად.  
ბრწყინავენ მუზარადნი.  
თეთრად ირხევიან  
წოწოლა ჯილანი, გმირთა თავგვირგვინნი.  
ხოჯეზე ჰკიდია  
სპილენძის საბარკულნი,  
სხივთა დამცვენელნი, ისრისგან დამცველნი.  
აბჯრები მტკიცე  
სელით მოქსელილნი,  
ფარები ფართედ გაბერილი.  
უხვად მახვილები ქალკიდონის,  
უხვად — სარტყელნი და სამუხლენი.  
იარაღთა წყების  
არრა დავიწყნიათ,  
ოჰს ვერც ჩვენ დავიწყებთ მათი დავიწყებით.

\* \* \*

ხომალდს არა აქვს ძალა, რომ ისევ  
ებრძოლოს ზვირთებს, წვიმებს და ქარებს,  
და პა, საცაა კლდოვან მეჩეჩს შეელეწება  
ტალღების კერძი.  
თუნდაც ზვირთების ანაბარად ეგოს ხომალდი,  
არ ვდარდობ სულაც!  
მე ახლა მინდა, ძმებო, ბაკხი ასულის გვერდით  
სჰას და პურობას შევუდგე თქვენთან...

\* \* \*

მშვიდობით მოგვიხველ  
შორეულ ქვეყნიდან,  
მოოქროვილი,  
სპილოსძვლის კოტიან ხმლით.  
ბაბილონელთა  
მწედ და მოკავშირედ  
იომე და  
იმათ მხარდამხარ იარე.  
იქ, ორთაბრძოლაში  
ხელმწიფის კაცი  
განგმირე  
ბარე ხუთი წყრთა სიგრძის.

\* \* \*

ჩვენი სამშობლოს უბედურება არის ტირანი,  
პიტაკე, ღვთისგან შერისხული ჩვენი ქალაქის  
ხელისუფალი, თქვენ რომ ერთხმად ამოირჩიეთ.

• • •

დღეს უნდა დავლიოთ,  
გინდა თუ არ გინდა.  
დღეს უნდა დავლიოთ...  
მოკვდა მირსილოს.

• • •

ზევისის და ლედას ნაშიერნო,  
ვარსკვლავებამდე აზიდული ოლიმპიიდან  
გარდმოგვევლინეთ თქვენი დინჯი გულმოწყალებით  
შენ — კასტორო და შენ — პოლიდევეკე.  
თქვენ თვალუწიერ წყალსა და ხმელზე მი და მო დაჰქრით  
ფეხმარდ რაშებით,  
და ცრემლიანი სიკვდილისაგან ხსნა კაცთა ძალგიძთ.  
რაჯამს იელვებთ მტკიცე ბაგირთან,  
მყისვე ანძაზე მოექცევით  
და შავსა ხომალდს დააყენებთ წყვდიადში ნათელს.

• • •

ერთხელ არისტოდემოსმა,  
არც თუ ურიგო სიტყვა რომ წარმოსთქვა სპარტაში,  
ბრძანა: „ფულია კაცი“.  
მართლაცდა, ლატაკს არც დიდება აქვს და არც პატივი.

• • •

ოჰ, ნეტა ახლა სატრფოს მკლავებმა  
სურნელოვანი ანისული შემომწინას ყელზე  
და დაამოს მკერდი ჩემი  
გრილი მირონით.

■ ● ■  
დავლიოთ.  
ავანთოთ, ჩირალი.  
თითივით მოკლეა დღე.  
ამოარჩიე ჯამები ზორბები,  
ჭრელ-ჭრელად ჭედულნი.  
ღვინო ზევსის და სემელეს ვაჟმა  
უბოძა კაცთა  
დარდთა მკურნალად.  
დაასხი.  
ორგზის შეუვსე თითოს.  
რიგს მიჰყვეს რივი,  
ჯაჰს მიჰყვეს ჯამი!

~ ● ■ ■  
დავლიოთ ერთად, მელანიჰე, ხომ არ გგონია,  
რაჟამს გადასცურავ აქერონტის ზვირთებს,  
მზის წმინდა ნათელს კვლავ ეღირსები?  
თავი ანებე ტყუილს. ნუ ოცნებობ არარსებულზე.  
ვოლიდ სიზიფოსსაც, თავად ხელმწიფეს,  
კაცთა შორის პირველს ბრძენმორკმულებით,  
ეგონა, განველტვიო სიკვდილს. იღონა ბევრიც.  
მაგრამ მეორედ აქერონტი ვერ გადასცურა მან დაუსჯელად,  
ქვესკნელში მძიმე სასჯელი დასდვა კრონიდემ.  
ნუ ოცნებობ არარსებულზე.  
ყველანი მიწაში ჩავეილალებით ადრე თუ გვიან,  
ეს გარდუვალნი ზვედრია ჩვენი.  
და სანამ ბორეასი ბრდღვინავს, ავზნეობს შმაგი,  
შოდი, ნუნუას ქაფში ჩავკლათ ვარამი.

ღვინით ჩამიღბე გაშშრალი ყელი.  
მზე ძირს იღვრება.  
გაუძლისი ზაფხულის დღეა.  
წყურვილი სტანჯავს ირგვლივ ყოველს.  
მხოლოდ ჭრიჭინა  
ფოთოლთა ჩრდილში იგალობს ტკბილად.  
მის ფრთათა ყრუოლა ჰაერს ედება  
გაბმულ ზუზუნად.  
სიცხის ალმურში ყვავილებმა ჩაჰკიდეს თავი.  
მარტოლა ჰყვავის ოქრომხალა...  
ამ დროს დიაცნი  
მოჭარბებულად ნდომააშლილნი არიან,  
ხოლო კაცნი — დუნენი, რადგან  
ტვინსა და სახსარს სწევას სირიოსი.

## ჰ მ რ ა ს

ძილში მებახლა საკვირველი ხატება შენი,  
დედუფალო ჰერა, შენი მშვიდი ხატება,  
ვითარცა იგი ეზმანათ ერთხელ  
ძმათა ატრიდთა...

როს აღასრულეს მათ არესი<sup>ა</sup> საქმე საგმირო,  
ვერ განეშორნენ სკამანდროსის ხმიან ნაპირებს,  
ვერ მიაშურეს სასურველ არგოსს  
შორი გზით მავალთ,  
ვიდრე მხურვალედ არ ილოცეს, დედაო, შენთვის,  
დიდი ზეჟანისთვის და აგრეთვე მლალობელ ღმერთის —  
თეონეს ძისთვის. უწინდებურად  
ახლაც გწირავენ  
წმიდა საწირავს და უნაზესს გიქსოვენ პებლოსს  
ტურფა ასულნი და აჯილით მოსავენ ეგრეთ  
შენს უჭკნობ სახეს, დედუფალო ჰერა!

\* \* \*

აგრე მგონია, კაცი იგი ტოლია ღმერთთა,  
შენს წინარე რომ ზის ახლა და ახლორე გისმენს  
ამოდ სასმენელს, ამოდ მცინარსა.  
მე კი გული არ მაქვს საგულეს...  
უმცირესი დახანებით თვალს თუ შეგავლევ,  
ძალი არ შემწევს წარვთქვა რაიმე,  
ეგრე მუნჯდება  
ენა ჩემი... და მთელს ტანზე შემესევია  
ნაპერწყალთა პაწაწინა ფუსუნსელები.  
ჩემი ყურები ველარ ისმენენ,

თვალეზი ჩემი ვერას ხედავენ,  
ერთიანად ვიღვრები ოფლად,  
ვცახცახებ მწარედ და ბალახსე მწვანე ვარ... წამიც,  
და შენს წინაშე დავეჩხობი უსულოდ, სულო!

\* \* \*

ისე ელვარებს დიბილი ჩემი,  
ვით შაქარა ვაშლთაგანი  
ხის კენწეროზე,  
მებაღეებს რომ დაპვიწყებიათ.  
დაპვიწყებიათ კი არა და,  
ვერ შესწვდომიან.

\* \* \*

მე მსურს სიკვდილი წრფელის სურვილით...  
რაჟამს მტოვებდა, იტირა ბევრი და მრქვა მე:  
საფო, რა მძიმეა საღმობა ჩვენი  
და განშორებიჩა ჩვენის საღმობა.  
შე ვუპასუხე: გზასა შენსა იყოს მშვიდობა,  
ვითარ ვტანჯულვარ, უწყი თავად,  
თუ არადა, მინდა უწყოდე...  
დღენი ჩვენი რა აზიზად გვიტარებია...  
გახსოვს გვირგვინი რაოდენი იათა ჩემთა  
და ვარდთა ჩემთა თავსა გრქმევია?  
და აგრერიგად გაზაფხულობდი  
შენ ჩემი ბალის ყვავილებით ტან-თმა შემკული.  
სუნთა მკმეველი სამეუფო ბრენტოსის ზეთის  
ჩემს ტახტაა ზედა ივანებდი... ო, გახსოვს-მეთქი  
ჩვენი დღეები წმინდა ტაძრებში  
და ჭალაკები მწვანოვანი, ჩვენ რომ ვთელავდით?..





შენ დაგმარხავენ  
და მიწაში ქვემწოლიარეს  
დაგივიწყებენ...  
რადგან არ უწყვი  
პიერიის ვარდების ფასი  
და ჰადესის აჩრდილეთში  
ჩასვენებული  
მივიწყებულ ლანდთა შორის  
იბორიალებ.



შორს, სარდეს მყოფი,  
ახლა იგი ფიქრით აქ არის,  
იგონებს ჩვენი ერთად ყოფნის  
ჟამს საიმდროოს...  
არ ძალუქს შენი დავიწყებაც,  
ქალღმერთის სწორო,  
ვისაც გალობა ზიბლავდა შენი,  
ლიდიის ქალთა კრებულში ნათობს,  
ვითა მთოვარე ვარსკვლავთ წიად დავანებული,  
ვარდისთიეთება, მიმწუბრის ჟამზე  
შუქს რომ დააფენს  
ქვეგაწოლილ მარილოვან ზღვას  
და ველის ყვავილთ, ცვრით გაბრწყინებულთ...  
ქორფად ჰყვაეიან ახლა ვარდნი გარეშემოზე...  
სუნი იფრქვევა თაფლოვანი ანისულისა.  
ის დარბაზ-დარბაზ დარონინებს  
და ვერ ისვენებს,  
დარდი უმძიმებს სულს, ატიდა რომ აგონდება  
და გვხმობს, გვეძახის...  
ჩვენამდე მოაქვს  
იდუმალ ღამეს წუხილი მისი.

• • •

მე ტურფა ასული მივის. ოქროვან ვარჯებზე  
მიუგავს ტანი სასურველ კლეიდას.  
მასში არ გავცვალო, ღმერთმანი,  
ლიდიის სამეფო მთელი.

• • •

ზოგი ცხენოსან ლაშქარს იტყვის დიდმშვენიერად,  
ზოგი კი ქვეითს ან ზღვაოსანს ამ შავ მიწაზე,  
ჩემთვის კი ოდენ ზიკვარულით მთრობელი ჩემი  
უსატრფოესობს.  
ქეშმარიტად რომ ასე არის, ამისთვის კმარა  
თუ გავიხსენებთ მაჰრთა ჯარის მზიბვლელ ელენეს,  
ვინც მრავალთ შორის მიიჩნია პირველთაგანად  
მხოლოდრე იგი,  
რომელმან დასცა ღვთაებრივი ბურჯი ტროისა,  
აღარ ახსოვდა არც მშობულნი, არც ნათესაენი  
და ბრმად მიადევდა ერთადერთის — კიპრიდას ნებას —  
ტრფობილი მისი.  
განა იოლად დავიოკებთ ზეძლიერ სურვილთ,  
ნეტარდროისი ფიქრების ჟამს რომ აღიძვრიან...  
და მეც ვიხსენებ მონატრებულს ახლა შორეთით —  
ანაქტორიას.  
ო, ტანთა მისთა მიმოტანა მანახა ერთი,  
მისი წინამო სხივოსანი!.. ეს მიჯობს სულაც  
მთელს ლამაზ ეტლებზე ლიდიისა და გადააბჯრულ  
მხედრიონს მისას.

\* \* \*

ო, დაიღაფნე დალალები,  
ლაშაზო დიკე!  
ანისის რტონი შეჰქარ  
შენი ქორთა თითებით.  
თავგვირგვინოსანთ  
სწყალობს ნეტარ ქარიტთა თვალი  
და უგვირგვინოთ  
ქარიტები თვალს არიდებენ.

\* \* \*

მალლა ასწიეთ სრასასახლე,  
ჰეი, ჰიმენე!  
მალლა ასწიეთ, ხურობო.  
ჰეი, ჰიმენე!  
პალატში ნეფე მობრძანდება არესის დარი,  
ჰეი, ჰიმენე!  
უდიადესი კაცთა შორის,  
ჰეი, ჰიმენე!

## აფროდიტის

ტახტგაცისკრულო აფროდიტე, უკვდავშობილო,  
ხლათთა მბეჭველო ზევსის ქალავ, შენ გეაჯები,  
ნურც ვნების ქარით, ნურც ტკივილით ნუ დამიქანცავ  
სულს, დედუფალო.  
გამომეცხადე, ვით უწინდელ ჟამსა გჩვეოდა,  
ოდეს ჩემს ძახილს შეისმენდი და გულბეჯითად  
ყურს მომაპყრობდი, დააგდებდი მამისეულ სახლს  
და ოქროს ეტლით  
მოისწრაფოდი!.. ბელურების გუნდი და გუნდი  
დაბლა, ყორანა მიწისაკენ მოგაქროლებდა,  
როს მოიძვროდი ჰაეროვან ფრთებს გაკიდული,

ძირს ცარგვალადან

და უმაღლესიანთა გაჩნდებოდი, ო, ქალწულთა,  
ლიმლიმინარე მიბრძანებდი, უკვდავი სახით:  
რა მწუხარება გწვევიაო კვლავად, მარტვი მე,  
მხმობლიო რასა?

ვისა ისურვებ, სთქვი, რომელი დაამშვიდებსო  
შენს აწეწილ სულს? ტრფობა შენი ვის შთავაგონო,  
რომელი იგი შენს კიდევან უსაყვარლესობს,  
ვინ გჩაგრავეს, საფო?

თუ გარბის შენგან, მალე შენსკენ გამოიქცევა,  
საჩუქარს შენსას თუ გაუბრის — თავად მოგართმევს,  
თუ არ უყვარხარ — შეგიყვარებს, სიყვარულისა  
არა მსურველი.

ახლაც მაღალო, მოვედ ჩემდა, და დამხსენ მიძემს  
სატანჯველს ამას, სიყვარულის გასასრულებლად  
მე გამისრულე ყველა ჩემი სულის სურვილო  
და მეოხ მეყავ.

\* \* \*

მოდის, კიბრიდა,

ოქროს თასებში

შენი ქალტკბილა ზელით ნექტარო

ჩამოგვიწურე...

\* \* \*

„ო, სიქალწულეც, სიქალწულეც,

სად დამტოვე, საით წახვედი?“

„აროდეს მოვალ შენთან, აროდეს,

აროდეს მოვალ...“

■ ■ \*

მე არა ვუწყვი  
მტრობა და რისხვა...  
გული ჩემი  
უმანკოა და უმეცარი...

\* \* \*

...რომელთაც ოდენ  
კარგსა ვუშვრები, უმეტესად  
ისინი მმტრობენ...

\* \* \*

ო, მაგ მუხლთსაფარს  
ძოწისფერადს  
ნუ მოიზიზღებ...  
იგი ფოკეით მორთმეული მუხლთსაფარია უუძვირესი...

\* \* \*

მოკვდა მხიბლავი აღონისი,  
ოჰ, კითერეა!  
რალა ვიღონოთ?..  
მკერდზე მჯიღები დაიშინეთ,  
განიძარცვეთ ქიტონები,  
ქალიშვილებო...

\* \* \*

ახლა შორსა ხარ,  
ათტიდა, ჩემგან...  
ფიქრები შენი  
მიგიპყრია ანდრომედასკენ.

\* \* \*

ო, დაფიონო დაისისა,  
უკან მოდენი, რაც წადენა რიყრაჟის უამმა,  
მოდენი ცხვარსა თუ თხისა არვეს...  
მხოლოდრე ასულს განაშორებ კერას დედისას...

\* \* \*

არა მგონია ქვეყნად ეგრეთ. უსათნოესი,  
ვით არის იგი, ჯერ შობილიყოს,  
ან აწ იშვას ასულთაგანი ნათელი მზისა ქვეშ.

\* \* \*

ჩავიდა მთვარე.  
ჩაქრნენ პლეადნი. შუალამეა.  
აღარავის მოსვლის უამია.  
ვიძინებ მარტო.

\* \* \*

როს განაზავეს ამბროსია  
ლამაზ კრატერში,  
აღილო ხელთა ჰერმესმა თასი  
ღმერთთა საწესოდ...

და ლამაზ ჭინჭილებიდან ყველა  
ღვრიდა ზედაშეს და ლოცავდნენ  
ჰასაყ-სრულ სიძეს.

\* \*

ტკბილო დედაო, ველარ ვართავ ძაფს თითისტარზე,  
მტანჯავს ასული პირველქმნილი აფროდიტესი...

\* \* \*

კვლავ ჩემსა მძლეველს ვეძლევი ეროსს  
სიხარულით და ტანჯვით —  
მაგრამ არა განცხრომით.  
კვლავაც ეხლება ჩემს გულს იგი,  
ვით აწყვეტილი ჭალიკონი მათათა ტყიანეთს...

\* \*

(საქორწილო)

ჰა, მალემსრბოლი იდაოსი მოდგა და ამცნა:  
„დაებედაო სვეკეთილი აზიის მხარეს;  
მარილოვან ზღვით ჰექტორსა და მის თანამოძმეთ  
ხომალდზე მჯდარი პირიმთვარე მოჰყავთო ქალი—  
შუქმომთოვარე ანდრომაქე... წყალმრავალი პლაკიის მხრიდან,  
ღვთიურ თებედან მოაქვთ ოქროს დასტანაგები,  
ფერუთვალავი ოქრომკედი და აჯილები  
ძოწისფერადნი, კაცის თვალთა გამხარებელნი,  
თას-ვერცხლეული დაუთვალავი და სპილოს ძვალი“.  
რა სთქვა მან ესე, აღდგა პრიამოს.  
ხმა დაირხა მთელს ქალაქში, ძმა-მეგობრებში,  
ლამაზ ურმებში ილიონის ვაჟებმა მყისვე  
შეაბეს ჯორნი, ზედ დაბრძანდნენ მანდილოსანნი  
და ააულნი ტანად-ტანადი. პრიამეს ქალნი

ცალკერძ წაბრძანდნენ. კაბუკებმა შეკაზმეს ეტლნი...  
ზეგანეფინა ფონიქსის საკმეველის სუნი.  
მანდილოსნებმა აღაველინეს წყნარი გალობა,  
ხოლო ვაჟკაცთა ბანი მოსცეს მძლავრი პეანით  
და უგალობდნენ გალობათა უფალს — ჰეკებოლს  
და ღვთიურ ჰექტორ-ანდრომაქეს განადიდებდნენ...



არბემიღეს

გეთაყვანები ირმის მღევარო,  
 ქერა ახულო ზევსისაო,  
 ტყიურ მხეტთა დედაუფალო,  
 მოვედ ქალწულო, მოეახლე  
 ლეთას ჩქერალებს და გულმამაცი  
 რაინდების ქალაქს მოხედე  
 და განახარე, — აქ ართუ ველურ  
 მოქალაქეთა ჯოგს ემწყემსები.

\* \* \*

კვლავაც ეროსმა ქერათმიანმა  
 წითელი ბურთი სათამაშოდ  
 გამომიგორა გოგოსთან, ვისაც  
 ხალებიანი ხამლები ეცვა.  
 იმ ქალყვავილმა, მოწეულმა ლესბოსის ბაღით,  
 მრეზით მოხედა ჭალარას ჩემსას  
 და მერმე, ვაგლახ,  
 სათამაშოდ სხვა გაიწვია.

\* \* \*

არც ამაღთეის სიუხვის რქას და  
 არც ორმოცდაათ, ანდა ასი წლით  
 ქებულ ტარტესზე ხელმწიფებას მე არ ვესწრაფვი.

\* \* \*

შენებრ საყვარლად ირმის ფური კრთის მეძუძური,  
ტყეში რქაძლიერ ქორბუდას რომ ჩამორჩენია.

\* \* \*

მე მიყვარს კიდეც, და არცა მიყვარს,  
შლეგი ვარ კიდეც — და არც შლეგი ვარ.

- \* \* \*

ვესატრფოები ქალ-ვაჟთ მარად ჩემს ლექსთა გამო...  
სიტყვით ნეტარვქმენ სიყვარული და ნეტარ ვიქმენ.

\* \* \*

წყალი და ღვინო მოიტა, ვაჟო,  
წამოიტანე გვირგვინები  
სუნთა მფშვენელი...  
მსურს გამოვცადო ეროსთან თავი.

\* \* \*

პოსეიდონის თვე დაიწყო.  
წყალს მოათქეშებს  
ცარგვალიდან ღრუბელთ კოკები...  
დგება მძიმე უამინდობა...

\* \* \*

ო, სახეო ქალწულებრივო!

მე ვილტივი შენდა, შენ კი ჩემად არ მოიქცევი,  
და არცა უწყვი, შენს ბაგაზე რომ ვარ დაბაული.

### დიონისისადმი

ო, მეუფეო, ვისაც ეროსი დამურგებელი,

პორფიროსანი აფროდიტი

და ნიმფები ტბებისთვალემა

გარსა გილხენენ და ხატიფად დარონინებენ

მათათა ზეთავზე —

შენ გელოცები, მოვედ ჩემდა

გულმოწყალებით და სანეტარო

ლოცვისა სმენად —

და კლეობულეს არჩევანი მიეც კეთილი,

რომ სიყვარული,

ო, დიონისე, დასტურ ჰყოს ჩემი!

### ვეფრიბად ჰერმესისა

ტელიას მიეც ტკბილი სიცოცხლე, მაიას ძეო,

ძვირფას ძღვენისთვის სიხარულში დაუდე წილი

ეონიმეის მხარეს უკურთხე სამართლიანად

დღეთა მზეობა და წილხვედრი სვებედნიერი.

\* \* \*

აგერ ათი თვე მიიწურა, რაც ბრძენ მეგისტეს

თავსა გვირგვინი განუმშვენებს მდგნალის

ფოთლებით

და ეძალემა ფუცხუნა ბადაგს.

■ ■ ■

ოდეს სავსეა ყელყარყარა დოქი პირთამდე,  
არ მიყვარს, მსმელი რომ კამათობს და სავაჟაკო  
ომის ამბავს ცრემლებით ჰყვება.

მას უფრო ვრჩეობ — ვინცა რასმეს მუზისას იტყვის,  
ვინც აფროდიტეს ძვირფას ჯილდოს წყალობად იღებს  
და შეგვახსენებს მადლს ტრფობისას ნეტარყამიერს.

\* \* \*

მე დასაკრავად ვფლობ მაგადიდას  
მისი ოცივე ლიდიურ სიმით,  
შენ კი — ქალობას, ლევკასპიდა, ასაკმშვენნიერს.

■ ■ ■

საით გძრავს ნაზი სულის სურვილი?  
შენი კოკობა ქალწული ტანი  
ვიხი სალალო სალამურის ჰანგებზე როკავს?

■ \* ■

ძმაო, მოიღე კოკობა თასი, რომ გამოვეცალო  
შეუსვენებლად ათ ტარკოშ წყალთან  
შენაზავი ხუთჯერი ღვინო, რომ უბოროტოდ  
კვლავ გავწიო ბაკხოსის ლხინი,  
მოიღე კვლავაც... ჩვენ არასოდეს  
ხკვითურ ღრეობით და ყაყანით  
არ აგვამღვრევს ანკარა ღვინო!  
ჩვენ დავლევთ მხოლოდ და ვიღიღინებთ  
ხგლისგულეებზე ჩამომსხდარი ჭრელი თასებით.

• • •

თრაკიის კვიცო, აღმაცერად რას შემომყურებ,  
რას გამირბიხარ, არ გეგონო უცადი ვინმე.  
იციღე, ქამანდს ვერ ამიციღები.  
უცებ მოგიგრეხ ლაგმის ქვეშ კისერს მოედნის ბოლოს.  
ჯერ კი გულმშვიდად ძოვე ბალახი და ილალობე,  
ვიდრე არ უწყი შენი მხედრის მხედნელი ხელი.

## მინაწერი მირონის „ხბოჯე“

ჰე, მწყემსო, ჯოგი შორს აძოვე მირონის ხბოსგან,  
ვინძლო ცოცხალი შენს ნახირში არ წაიდენო.

\* \* \*

თირსით დაუმკია ხელნი ჰელიკონიადას,  
ახლავან სხვა ასულნიც — ქსანთიპე და გლავკე.  
მთით როკვენ, რათა დიონისეს შესწირონ  
კვერთხი სუროვანი, მსუქანი მტევანი და ციკანი.

## ვაიტაფიები

1

აბღერის ომში დაცემული მხნე აგათონი  
მთელმა ქალაქმა დაიტირა გლოვის კოცონთან.  
მოსისხლე არესს ამ ბობოქარ ბრძოლის ქარცეცხლში  
არ შეუწირავს მოყმეთაგან ბადალი მისი.

2

დამში მხნე იყო ტიმოკრიტოსი, ვინც განისვენებს ამ  
ლუსკუმაში,  
ვაეკატო კი არა — ჯაბანთ სწყალობს ღმერთი არესი.

3

არისტოკლიდე, ლომგულ მოძმეთა უპირველესად  
შენ მეგლოვები,  
შენ ყრმის სიცოცხლე ანაცვალე ქვეყნის მონობას.

4. ანტიკური ლირიკა

\* \* \*

ჩასძინებიათ მათა კერტებს. კლდოვან ჭიუხებს.  
ბორცვებს. ხეობებს.

ფოთოლთ. ყოველი ჯურის ქვემძრომთ.

სძინავთ მთის ტყიურთ. ფუტკართა ბუკებს.

ძირს მეწამული ზღვის ურჩხულები ძილს დაუძირავს.

სძინავთ თავიანთ ფართო ფრთებზე დაკიდულ ფრინველთ.

\* \* \*

სამი დრო —

ზამთარ-ზაფხული, შემოდგომა —

გვიწილებს რაჟმე,

ხოლო მეოთხე —

გაზაფხული — დიდ მადას გვაძლევს

და ცოტა ჭამადს...

\* \* \*

მათა ზეთავზე შენ არაერთგზის, —

ოდეს ღმერთები ილხენდნენ ტკბილად —

ოქროს ქვაბით და ვეება ტოლჩით,

სწორეთ ისეთით, მწყემსებს რომ დააქვთ.

ძუ-ლომს უშიშრად წველიდი ქალი,

და ვეება ყველს, ვით ვერცხლის ბურთს,

ამოაბრწყენდი...

\* \* \*

ომსა მომკვეთე, მუზაე ჩემო.  
მიდიდე ღმერთი. ქორწილი. ლხინი.  
მლხენელნი დაბლით.  
ნეტარნი მალლით.

\* \* \*

მრავალ და მრავალ კიდონიურ ვაშლებს ისროდნენ მეუფის  
ეტლში.  
მრავალ და მრავალ რტოებს მირტისას,  
ვარდთა გვირგვინებს, იების კონებს...

\* \* \*

ტურფად თმადაწნულ ქარიტებზე გვმართებს გალობა,  
ხალხურ სიმღერებს  
ფრიგიული შევეუწყოთ ჰანგი მათ სადიდებლად  
გაზაფხულის ყამს...

\* \* \*

მზე — ჰელიოსი — ძე მაღალი ჰიპერიონის,  
ოქროცურვილ ბურთს მოაგორებს ოკეანიით,  
მბხელობელ მიწის წმინდა წიაღს მოაღწევს ვიდრე  
და ღვთიურ ცოლს და სათუთ ბაღლებს შემოსავს ნათლით,  
დაფნით დაჩრდილულ საღვთო ჭალაკში  
აქ მზეჭაბუკი დავაღს ზევსისა.

• • ■

ღმერთებს მიაგო ტინდარევსმა მისაგებელი,  
ოდენ კიპრიდა გამოტოვა, ქალღმერთი, მარად  
სასიყვარულო სიხარულის მომმადლებელი.  
ქალღმერთიც გაწყრა და დაუბედა ტინდარევსის  
ასულთ ორქმრიან-სამქმრიანობა  
და ქმართლალატი.

• • •

უქმსა, ურგებსა  
საქმეს იქმენ, —  
მკვდარს რომ სტირიან...



■ ■ ●

რიყრაყზე ჰყვავის კიდონიის ჭალის ვაშლები,  
 დარწყულებული ღელეებით  
 უხვ მდინარეთა, სად ქალწულების  
 ბაღია წმიდა; სად ჰფეთქენ ლერწნი  
 ვენახში ვაზის ტირილობისას და ნორჩ ვარჯებზე  
 ჰყვავის ბაბილო... ამ დროს ეროსი  
 არ მასვენებს არც ერთი წამით, ვით ჩირალის ალს,  
 თრაკიის ქარი.  
 შლეგად დაძრული მძლე ქალღმერთის, კიპრიდასაგან,  
 რომელიც ჩვენს სულს  
 ბალღობითვე ალაგზნებს ტრფობით.

● \* ●

ეროსი მიმზერს წარბთა ლერწმებით დაბინდული თვალთა  
 ტბებიდან,  
 ურიცხვი ხიბლით ქალღმერთ კიპრიდას ბადეში მდენის,  
 მე იქ შესვლისას ცახცახი მიპყრობს,  
 როგორც ბეხრეკ ცხენს მარულაზე ძალად გადენილს,  
 კვლავ რომ აბამენ შეჯიბრების ჩქაროსნულ ეტლში.



კაცთათვის მყარად ნივთიერი არარა ჰგეის,  
 ეს უკვე გვითხრა ქიოსელმა ვაჟკაცმა ერთხელ, —  
 ხგივ არისო კაცთა ყოფნა, რაც ფოთოლცვენა.  
 მოკვდავნი ამას ყურს უგდებენ, თუმცა ნაკლებად  
 ყურად იღებენ, აააზრდოებს ფუჭი იმედი  
 ყოველ კაცთაგანს, ბაღობითვე რომ ესახება.  
 ვიდრე მოკვდავი ასაკმშვენი ყვავილით ჰყვავის,  
 აუხდენელი ოცნებების მოიმედება;  
 ის არ მოელის არც სიბერეს, არცა თუ სიკვდილს,  
 ვიდრე მრთელია, ავადობის არა აქვს ზრუნვა.  
 უგუნურია, ვინც ესრეთ სჯის და ვერა განსჯის,  
 თუ რა მცირე ხნით ეს სიცოცხლე და სიჭაბუკე  
 ეძლევა მოკვდავთ; შენ კი, მცნობო ამა ყოფნისა,  
 ეძიე მარად სიკეთე და ნეტარჰქმენ სული!

## ანაკრონტს

1

ვაზო ლამაზო, მათრობელა ღვინის დედაო,  
 ხვიარა ყლორტებს რომ დაიბამ უმშვენიერესს,  
 ბაბილოვანო,  
 მოჰხვიე შენი ნორჩი მკლავი ანაკრონტ ტეოსელის  
 აზიდულ სტელას

და მის საფლავზე დაჰკიდე თავი...

ვინც სუამდა ღვინოს, იყო მთვრალი, იყო მთრობელი,  
 ვინც მთელ ღამეებს სატრფო-ქალას აღხენდა ჩანგით  
 და ვინაც ახლა მიწაშია, მის თავსა ზედა  
 'შენ გადმოჰკიდე ქორთა ვარჯით მწიფე მტევანი...  
 და დაუსველე ბაგე, ჰანგებს რომ  
 გადმოადენდა შენი წვენის უტკბესს ოდესლაც.

მუხათა ნებით მიიბარა ანაკრეონტი,  
 მგოსანი შვილი, მშობლიურმა ტეოსის მიწამ.  
 ის ქარიტების და ეროსის მადლით ცხებულ  
 უტკებს ასულებს ჩანგის ხმებით რომ მოიკრებდა,  
 აწ აქერონტთან ჰმუნავს, მაგრამ იმიტომ არა,  
 ჰზე რომ დასტოვა, რომ ბნელობენ ლეთეს ნაპირნი,  
 არამედ — აქეთ მეგობარი დარჩა, მეგისტე  
 და თრაკიელი სმერდიას ტრფობა.  
 მაგრამ კვლავ თაფლად იწვეთებენ პანგები მისი,  
 არ დაადუმებს იქ, ჰადესში, ბარბიტონს მკვდარიც.

\* \* \*

თერმოპილესთან დაცემულთა  
 ბედია ქებულ, ხვედრი — კურთხეულ,  
 კუბო — სამსხვერპლო, გლოვა — ხსოვნა, ტირილი — ქება.  
 საფლავის ნიშატს ვერ წაშლის ხავსი,  
 ვერც უსამანო წარხოცს ჟამი, ყოვლის წარმხოცი.  
 ზამოსახლოა ეს დევგმირთა, აქ ქებათ-ქება  
 ასაფლავია ელადისა, თვით ლეონიდე  
 მოწმეა ამის, სპარტის მეფე, დამტოვებელი  
 აქ მარადისი გვირგვინის თვისის.

## მეგობრული წარწერა

ჩვენ მეგარისა და ელადის დღის დღეგრძელობას  
 რომ ვესწრაფვოდით, ჯილდოდ სიკვდილს ვისთვლიდით  
 მხოლოდ.

ზოგი ევბეის კლდისპირეთთან დაეცა, სადაც  
 მოისარ ქალმერთს, არტემიდეს, უდგას ტაძარი.  
 ზოგი მიკალეს ქარაფებთან, სხვა — სალამინთან,  
 ფინიკიელთა ხომალდებს რომ სძირავდნენ ზღვაში.

სხვაგნით ლაშქარი ფეხითმავალ ბეოტიელთა  
წიშველ ხელებით შეეგება ცხენოსან ურდოს.  
აწ კი ჩვენს თავზე აუზვინავთ საფლავის მიწა  
მოქალაქეებს აქ, ნისეის საკრებულოსთან.

## თერმოპილური წარწერანი

1

აქ, ლეონიდევ, წიად იღო მიწამ გმირები,  
ვინც შენთან ერთად დასდო თავი, სპარტის მეფეო,  
ისართა ცვენით და ურიცხვი მიდიელეების  
ცხენთა ფლოქვებით დაილეწეს გულის ფიცრები.

2

მგზავრო, აუწყე ლაკედემონელთ,  
რომ ჩვენ აქ ვწევართ, მათი ფიცის ერთგულნი დავრჩით.

## დანამს ტირილი

ოდეს კიდობანს მშენიერნაკეთს  
უქშენდა ქარი, სძრავდა ტალღა, პირს მიუქცევდა  
უფსკრულისავენ, ქალი იჯდა ცრემლშეუშრობლად,  
ხელს ავლებდა პაწია პერსევეს, ეტყოდა: — შვილო,  
რა დიდს ვარ ტანჯვას!

შენ კი, ჩვილს, გძინავს, მინდობიხარ გულარხეინად  
ამ სამწუხარო სპილენძის კუბოს.

თავს წაგვხურვია უდაბური ღამე, ბნელშავი,  
ვერცა ტალღებს გრძნობ, შენს გრუზა და  
მშრალ თმებს ზემოთ რომ გადადიან.

ვერც ქართა ღრიალს

მწოლარე ძოწის ქლანიდაში უმანკო სახით.

ო, შიშის ჩემის მეცანი იყავ!

რა გულისყურსა მოაპყრობდი ჩემს სიტყვებს მაშინ!  
მაგრამ იძინე, ტკბილნაყოფო, დაიძინებდეს ნეტავი ზღვაც.  
დაიძინებდეს მწუხარება აუწონელი.

ზევეს, შენც ბედსა, კეთილს რასმე წარმოაჩენდე...

თუ კადნიერ ვარ ჩემი თხოვნით,

გემუდარები, მომიტევე პირმშოს გულისთვის!

ისტომოსური ოლა

(პეროდოტე თებელის ეტლისთვის შეთხზული)

დედაო ჩემო, შენ თებეო, ოქროსფაროსანს  
 საზეო საქმით, დაუმცდართ  
 დაგეწინდები, ციცაბოვანი ნუ დამყვედრის  
 დაე, დელოსი, ვისაც ადრე ვთაყვანებვიარ,  
 განა მშობელთა უტრფოესი ვინ ჰყავთ  
 ზნესრულთა?  
 შენც უკუდექ, აპლონიავ! ამ ორ  
 ტოლკეთილს დავაჭუფთებ ღმერთთა  
 დასტურით.

ანტისტროფი თმახშირ ფებოსს ვადიდებ როკვით,  
 ზღვით მოზღვრულ კეოსს, ზღვისპირეთის  
 ხალხს, ტალღის კოშკებით შემოციხულ  
 ისთმოსის ზეგანს, შვიდი გვირგვინი  
 რომ გაატანა კადმოსის ჯარს

შეჯიბრებიდან —

გამარჯვების სალამაზოდ და საამაყოდ  
 სამშობლოისა.

ეპოდოსი აქ გააჩინა გულუშიში ვაჟი ალკმენემ.  
 მაშინ შეუდგათ შიშის ცახცახი გერიონის  
 საზარელ ძალთა.  
 მხოლოდრე ახლა პეროდოტეს ოთხცხენა  
 ეტლს ვუმზადებ ქებას,  
 რომლის ადვირედს უცხო ხელი ჯერ არ  
 ხლებია.

აწ მსურს კასტორს და იოლაოსს  
 გავუწყო ჰიმნი, —

სტროფი ეგ ეტლოსანი რაინდები ლაკედემონს და  
 თებეს იშვნენ უძლიერესნი.  
 მათ უმრავლესი წარიხვეჭეს აგონის ჯილდო,  
 მორთეს პალატნი სამფეხებით,  
 ოქროს სურებით, ფიალებით და

განიხარეს ვვირგვინებით  
გაქარჯვებისა; ბრწყინავს მათი ნათელი  
დიდება

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი  
ტანშიშველთა სტადიონებზე  
და სარბოლებზე ფარულარუნა ჰოპლიტებისა.  
წეიტყორცნიდნენ სიქსიქა შუბებს  
ან განიგდებდნენ დისკოებს ქვისა.  
არ ხუთჭიდობდნენ — თვითეულ საქმეს  
თვითეული ედგა გვირგვინი.  
მერე ჯგუფ-ჯგუფად თმებში ჩარგულ  
ყლორტით ჩნდებოდნენ  
ღირკეს დინების დაყოლებით, ევროტით  
კერძო.

ქ პ ო დ ო ს ი  
იფიკლეს ძეო, წარმოშობით  
სპარტელთაჲნო,  
შენ და ტინდარიდს, აქაიეთში ტერკნასა  
ბორცვაქუე  
საცხოვრისი რომ უღვას სახლი,  
მოგესალმებით! პოსეიდონსა და ისთმოსს  
ღვთაებრივს  
და ონქეტოსს შევუქებ წილხვედრს  
ჩემის სიმღერით,  
ავიდვამ ენას პატივით მორჭმულ მშობელი  
კაცის —

ს ტ რ ო ფ ი  
ასოპოდორეს სვებედისათვის.  
მოკბრუნებოდა თურქე იგი მშობლიურ  
ჭალას,  
როქელსაც ტალღით ნაგორავი,  
ნავგანრღვეული,  
უკიდევანო ზღვისა წიალ ბედგადახული  
მიელო უკან.  
ახლა კი ოდენ მოაჩქარებს წყნარი ზღვაურ  
ტაროსკეთილი. ჭირის გადახდა  
ღზინისთვის აბრძნობს კაცთა გონებას.  
ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ვინც სიქველედ გაასრულებს ძალუხეშობას,  
საამისოდ ხარჯს და გარჯას არ ერიდება,  
გალაღებული სიამაყის მისის მხილველმა

არ გაიტაროს შურიანი ზრახვა, რამეთუ  
ნიჭი ანიჭებს ბრძენკაცს უფლებას  
ყოველგვარ საქმეს დასდევას ფასი  
სიტყვაკეთილად, სათნოებამ რომ ისათნოს.  
ბომ სხვადასხვაა კაცთა საქმენი —

უპოდოსი

ერთნაირად ტკბილია ჯილდო;  
მწყემსიც, მეგუთნეც, მეჩიტბადეც, ზღვით  
მესარჩოვეც  
იღვწის ერთისთვის — განიმუცლოს კრულ  
შიმშილისგან,

სარბიელებზე მეტოქარი კი  
არჩევს სახელს გაუცუდებელს,  
განდიდებული უმაღლეს ჯილდოს მოქალაქეთა  
და უცხოელთა ბაგიდან ისთელის.

სტროფი

ახლა კი გვმართებს კრონოსის ძეს,  
ხმელეთის მრყეველს,  
ახლოთმეზობელს, კეთილწარმმართველს  
ეტლთა და ცხენთა რბოლებისა —  
გავეხმიანოთ:

და ამფიქრიონ,  
შენს შეილებსაც გავესიტყვები, —  
მინიის ტაფობს,  
დემეტრესეულს სახელგანთქმულ წმიდა  
ჭალას  
ელევსინისა და ევბეის გზამრუდ სარბიელთ.

ანტისტროფი პროტესილოს, შენს მადიდად აქაველ  
ვაუქაცს

ფილაკეში ვუდიდებ ტაძარს;  
ყოვლის ჩამოთვლად, რაც ჰერმესმა,  
შეჯიბრთგამრიგემ,  
ჰეროდოტეს ცხენებს არგუნა,  
მეტად მოკლეა ჩემი ჰიმნის სალექსო მეტრი.  
გარნა რაიცა მდუმარეა,  
ხშირად უფრორე იმსახურებს  
კეთილგანწყობას.

უპოდოსი

დაე, ზეცისკენ აგიტაცონ შაქარყელა  
პიერიდების  
ლამაზმა ფრთებმა, დე, პითოსით და

ოლიმპიით ურჩეულისი  
რტო აღფევესისა მხართ გიყვოდეს, პატივ  
ჰყო თებე  
შვიდჭიშკრივანი, ხოლო თუ ვინმე  
შინ ოქროს იხვეჭს ქვებუდანი, გარეთ კი  
სხვებსა  
აყრის სიცილას, გაუხრულდეს სული  
ჰადესში,  
არცა თქმულიყოს დიდება მისი.



\* \* \*

უნდა დაესვას ჩემს სიტყვა-თქმულს ბეჭედი, კირნე,  
რომ იგი ვინმე ხელწამკრავმა თავისად არ სცნოს  
ან — რაც კარგია, გადათხზვისას არ გააცუდოს.  
ყველამ თქვას, რომ ეს თეოგნიდეს არის სიტყვები —  
შეგარელისა, კაცთ შორის რომ სახელოვნებდა.  
თუმც ამ ქალაქში ყველას როდი მოვეწონები,  
არ გაგაკვირვოს ამან სულაც, პოლიპეს ვაჟო,  
თვით ზევსიც ყველას ვერ აამებს დარით თუ ავდრით.

\* \* \*

ჰე, ზენაარო ლეტოს ვაჟო, ზევსისმიერო!  
არ გამომრჩები ჩემი ლექსის თავ და ბოლოში,  
თავშიც, ბოლოშიც და შუაშიც შენ გიმღერ ოდენ.  
მომზაპყარ ყური და მიბოძე ბედი კეთილი

\* \* \*

ნადირთ მმუსვრელო არტემიდე, ზევსის ასულო,  
რომელს შეგწირა წმიდა მსხვერპლი აგამემნონმა,  
ოდეს ტროასკენ ზღვით გაღწევას ლამობდა იგი.  
აწ შეიწირე ჩემი ლოცვაც და ამაშორე  
ბედის სიავე, რაიც, ქალღმერთო,  
შენთვის ესოდენ იოლია, ჩემთვის კი — ძნელი.

■ ■ ●

ო, მუზებო და ქარიტებო, ზევსის ასულნო,  
ერთხელ, კადმოსის საქორწინო წვეულებაზე  
სიმღერით წართქვით:  
სატრფო არისო მშვენიერი, არმშვენიერი  
არ არის სატრფო.  
უკვდავ-მშვენიერ ბაგეთაგან იყო ეს თქმული.

\* \* \*

მთელ ქვეყანაზე რომ ეძებო კაცი, რომელთაც  
მართლ-სინდისზე აქვთ დაყრდნობილი ენა და თვალი,  
მათ ყველას ერთად დაიტევდა ერთი ხომალდი.

\* \* \*

მსურს გაზიარო, კირნე, სიბრძნეს, რომელს მე თავად  
კეთილმა ხალხმა მაზიარა ჭერაც პატარა.  
გონიერ იყავ, უსირცხვილოდ და უსამართლოდ  
ხუ შეეცდები მოიპოვო პატივისცემა.  
იციოდე კარგად — არასოდეს ეძმო ბოროტ კაცს,  
კეთილშობილი იყოლიე კაცი ყოველთვის  
და მას უწილე მხოლოდ შენი პური და ღვინო.  
სულით ძლიერთან ეძიებდე მუდამ მხნეობას,  
მსათნოებელთან სათნოებას ეზიარები;  
ბოროტთან გონსაც დაჰკარგავ და სხვა სიკეთესაც.  
ემოდგრე მხოლოდ კეთილ მოძღვართ, მერმე თავად თქვი,  
იყო თუ არა რჩევა ჩემი კეთილრჩეული.

\* \* \*

ნუ მიენდობი, პოლოპიდევე, ამ ქალაქის მკვიდრთ,  
რაგინდრანაირ სარგებელსაც ელოდე მათგან.  
სიტყვა მიუგდე — თითქოს შათი მეგობარი ხარ,  
საქმე კი მათთან არასოდეს არ დაიჭირო.  
თავად შეიტყობ, რა სულმოკლევ არის ეგ ხალხი  
და ყოვლად არასაიმედო ყოველ საქმეში.  
ისე გაბმულან ვერაგობის ურთიერთხლართში,  
რომ თავი ველარ დაუხსნიათ ერთმანეთისგან.

\* \* \*

ბოროტ კაცთაგანს არ მიადგე რჩევისთვის, კირნე,  
როცა გწადიან აღასრულო საშური საქმე.  
სჯობს კეთილშობილს მიაკითხო კეთილრჩევისთვის,  
თუნდ დიდი ჯაფა და გრძელი გზაც წინ გედოს, კირნე.

\* \* \*

არა ხარ ჩემი მეგობარი, მეგობრობაზე  
როდესაც ყბედობ ცრუ გულის და სულის პატრონი.  
ან სუფთა გულით მიმეგობრე, ან სულ უარმყავ,  
და თუ მტერი ხარ, მაშინ მტრულად მაჩვენე თავი.  
ერთი ენა და ორი გული რომა აქვს, იმ კაცს  
პატიოსანი მტერი ბევრად გერჩივნოს, კირნე.

\* \* \*

კაცი თვალეში რომ გიყურებს და პირში გაქებს,  
ხოლო ზურგს უკან შენს აუგად აუშვებს ენას,  
ვინც მხოლოდ ენით მოკეთეა, გულით კი სხვაა,  
რა ბედენაა ამდაგვარი ტოლ-ამხანაგი.

შე კი მეგობრად მინდა მყავდეს ძმის მაგიერი,  
რომელიც მოძმის მძიმე ზნესაც შეეგუება.  
შენც ყურად იღე, ჩემო ძმაო, ეს ყოველივე,  
ვინძლო რითიმე გამოგადგეს სადმე, როდისმე.

\* \* \*

ბოროტს სიკეთე უკეთო და ნაყოფს ელოდე,  
ეს იგივეა პური სთესო ზღვის მლაშე წყალში,  
და როგორც ზღვაში ნათესიდან ვერას მოიმკი, —  
ბოროტისათვის კეთილმქნელი ნუ ელი კეთილს.  
ავკაცის სული მოძულეა, მცირე წყენაზეც  
ივიწყებს ძველი მეგობრობის ყველა სიკეთეს.  
ხოლო კეთილი მცირესაც კი დიდად გიმადლის,  
ახსოვს მარადის სიკეთეც და სიკეთის მქნელიც.

\* \* \*

არასდროს ბოროტ ამხანაგთან არ იმეგობრო,  
ესე ერიდე მას, ვით გემი საშიშ ნავსადგურს.

\* \* \*

საქმე სუფრაზე თუ მიდგება — ბევრ ძმაკაცს ნახავ,  
საქმე საქმეზე თუ მიდგება — ძალიან ცოტას.

\* \* \*

ცრუმეტყველ კაცის სულზე უფრო ძნელშესაცნობი  
არაფერია ქვეყნად, კირნე, იყავ დიდ-ფრთხილი.

• • •

ოქროს ან ვერცხლის სინამდვილე — სიყალბე, კირნე, არაფერია — გამოიცნობს კაცი მეცანი.  
მხოლოდრე კაცი მეგობრობის ნიღბით მოსული,  
ცრუ და მზაკვარი, ვერაგული გონით მგონები,  
ცრუკაცა, ღმერთს რომ შეუქმნია ცრუ გამოცანად,  
შესაცნობელად ყველასათვის ძალზედ ძნელია.  
სულს მავანისას კაციც, ქალიც გაიცნობს მაშინ,  
როცა მოუწევთ თანაყოფნა ერთი უღლის ქვეშ.  
მაგრამ საკუთარ ურმის უღელს ეს სულაც არ ჰგავს,  
ადამიანებს გარეგნობა ატყუებს ხშირად.

\* \* \*

არ უწყის უძღებ კაცთა მოდგმამ სიმდიდრის ზღვარი,  
რაგინდ ზომაზე მეტიც გვექონდეს ყოვლი სიკეთე —  
ორჯერ მეტს ვეძებთ, — განა როსმე გაძღება კაცი?  
ფულის ხეჭაში ჰკარგავს კაცი გონიერებას,  
ბრმავდება ფულით; ოქროს შხამით ამზადებს ზევსი  
უბედურებას დღეს ერთისთვის, ხვალ კი — სხვისათვის.

\* \* \*

ფშუტე ბრბოს იცავს, ვით ციხე და აკროპოლისი,  
კეთილშობილი კაცი, კირნე, ბრბო კი მას თათხავს.

• • •

ღვინოს არ სვამენ ჩემთვის ძვირფას გოგონას სახლში, —  
იქ ჩემს მავიერ შეხვეწილა ჩემზე უბირი.  
მისი დედ-მამა წყალსლა სვამენ ჩემს სადღეგრძელოდ,  
წყალი კი სახლში ატირებულ გოგოს შემოაქვს, —  
ჩემს სატრფოს, ვინაც მკლავზე მეწვა, ყელს ვუკოცნიდი  
და ჯილდოდ ჩურჩულს მივითვლიდი მისი ბაგიდან.

• • •

ღმერთებმა მოკვდავთ დაუდგინეს დასაბამიდან  
სწრაფწარმავალი სიბერეცა და სიჭაბუკეც,  
მაგრამ კაცთათვის უფრო მძიმე, ვიდრე სიკვდილი,  
უფრო მტანჯველი, ვიდრე სნებით ხორცის განლევა —  
ისაა, როცა გაზრდი ბავშვებს, მისცემ ყველაფერს,  
სიკეთეს, რაც კი გაგაჩნია, თავს არ დაზოგავ,  
მათ კი სძულთ მამა და მის სიკვდილს ელოდებიან,  
ისე უცქერენ, ვით მათხოვარს შინ შემოხვეწილს.

• • •

ერთი ფასი აქვს სიმართლეს და უსამართლობას  
მდაბალ კაცთათვის, არ უწყიან მომავლის შიში.  
და მრუდე გზით თუ ცოტას რასმე მოინაგრებენ,  
აგრე ჰგონიათ, კვლავაც უკეთ წაუვათ საქმე.

• • •

არ იქონიო არასოდეს იმ ხალხის რწმენა,  
არც მათ ფიცს ენდო, არც — მეგობართმოყვარეობას.  
მათ თუნდაც ზევსი დაიფიცონ უკვდავთ უფალი,  
მაშინაც, ძმაო, მათი ნდობა არ შეიძლება.

• • •

კიცხვას იმდენად შეეჩვივნენ მოქალაქენი,  
რომ დაუჩლუნგდათ მათ გონება ქალაქის ხსნისა.

■ ■ ■

დღეს კეთილ ზალხთა ყველა სიკეთე  
გადაიბარა ბოროტთა მოდგმამ  
და უცნაურმა კანონებმა მოიღვა ფეხი,  
მოკვდა სინდისი და სათნოება,  
ხოლო თავხედმა ძალმომრეობამ  
ხელთ იგღო მიწა და ჩამარხა შიგ სამართალი.

■ ■ ■

ყბედი კაცისთვის ჩუმად ყოფნა მძიმე ტვირთია,  
უადგილოდ და უთავბოლოდ ლაქლაქებს იგი,  
უამურია ყველასათვის და აბეზარი.  
მტრისას, სუფრაზე თუ მის გვერდით მოგიხდა ჯდომა.

■ ■ ■

ქირში არავინ არ იქნება შენი ძმა, კირნე,  
ისიც კი, ვისთან ერთად იშვი ერთი მუცლიდან.

■ ■ ■

ყველბ თაღლითად არ შობილა დედის მუცლიდან,  
მაგრამ თაღლითებს მეგობრებად ექცენ ისინი,  
მათგან ისწავლეს ავციობა, ამპარტავნობა  
და სჯერათ მხოლოდ ერთადერთი მათი სიმართლის.

■ ■ ■

შკვიან კაცს უჯობს ჩუმად იჯდეს სუფრის ნაპირას,  
დაე, ეგონოთ, რომ ვერაფერს ვერ ხვდება იგი,  
თავი ეჭიროს მხიარულად. სუფრის მერმე კი  
სიფრთხილე ჰმართებს, ვით შემცნობელს ყოველ მესუფრის.

■ ■ ■

ბევრ ცუდაცს ბევრი სიმდიდრე აქვს, კარგს — სიღარიბე.  
მაგრამ თაღლითებს არ გავუცვლით ფულზე ჩვენ იმ განძს,  
რაც ჩვენში ჰგვის და სიკეთე ჰქვია სახელად.  
ფული ხომ — იგი დღეს ერთისა, ხვალ კი — სხვისაა.

■ \* \*

ზნესრული კაცი სულიერად მტკიცეა, კირნე,  
ვერცა კარგი და ვერცა ავი უცვლის ბუნებას.  
სულმდაბალი კი — მდიდრის სვებედს თუ სწია ღმერთმა —  
იგი მაშინვე გამოავლენს სულმოკლეობას.

\* \* \*

თუ მეგობარი მოვიკვეთეთ მცირე წყენისთვის,  
ეს იგივეა — მეგობრობა სულ აღარ გვწამდეს.  
შეცდომისგან ხომ არვინ არის თავისუფალი,  
შეუცდომელნი მხოლოდ ღმერთნი არიან, კირნე.

■ \* \*

მშვიდად იარე შუა გზაზე, მეც ამას ვშვრები,  
სხვებმა — ვინ — საით, როგორც უნდათ — იარონ, კირნე.

■ \* \*

დღე, ღმერთმა მომცეს ძალი, კირნე, მივუზლო ყველას —  
სიყვარულისთვის სიყვარულით, მტრობისთვის — მტრობით.  
მაგრამ მე მაშინ კაცთა შორის ღმერთს შემარქმევდნენ,  
იმ ქვეყნიდან რომ წავსულიყავ ყოვლის მიმზღველი.



\* \* \*

ზედმეტი ჯაფა უკუაგდე, იცოდე ზომა,  
ზომიერ გარჯით მეტ სიკეთეს მიიღებ, კირნე.

\* \* \*

უხდა გამხნევდე სწორედ მძიმე მწუხარების უამს,  
იმედიანმა ხსნა ეძიო უკვდავ ღმერთებთან.

\* \* \*

არცა ზედმეტი გამდიდრება სჭირდება მდიდარს,  
არც სიღარიბე ზედმეტი — ღარიბს.

\* \* \*

სტუმრად წვეული ჭკვიან კაცის გვერდით დაჯექი,  
ვინაც ბეჯითად განბრძნობილა ყოველი სიბრძნით.  
უსმინე იმის ბრძნულ ბრძანებულს და დაიხსომე,  
რომ შინ წასულმა სასარგებლო რამ წაიძღვანო.

\* \* \*

მე მეგობრები მყიდიან,  
მტრებს — თვით ვერიდები,  
როგორც მესაჰე ზღვისპირა კლდეებს.

■ ■ ■

ოლიმპიელო ზევსო, ლოცვა აღმისრულე მე!  
ავბედის ნაცვლად გევედრები, ბედკეთილს მწიე!  
სულ მუდამ ტანჯვას ერთხელ სიკვდილს ვამჯობინებდა  
ანდა ავისმქნელთ თვით ვუზღავდი ყოველივესთვის,  
თვით განუჩენდი სამართალს ავკაცთ,  
ჩემი გული რომ წარიხვეჭეს ძალ-გამოძალვით  
და მისაზღველი არ მიზღვიათ... მე იმ ძალს ვგავარ,  
თავდაქანებულ მდინარეში რომ გადაავდეს  
და ტალღებს მიაქვს არარა და არას მქონები.  
მათ შავ სისხლს შევსვამ!

ჩემი ზრახვის აღსასრულებლად  
დაე, დემონი იყოს ჩემი თანამესანგრე!

\* \* \*

გამაგრდი, კირნე, ჭირში, როგორც ლაღობდი ლხინში,  
რასაც შენ ბედი მუდამ ასე უხვად გწყალობდა,  
აწ მძიმე დღეში ჩავარდნილი ნუ დაეცემი,  
ზეადიმართე აღმლოცველი მადლა ღმერთთადმი;  
ყველას წინაშე ნუ გამოფენ შენს შავდღეობას, —  
რა ჩარად აქნევ ცრუ ნუგეშს და ცრუ მონუგეშს.

■ ■ ■

იუფლე გონი, ენატებილი იყავი მუდამ,  
გულგაფიცხება სულმდაბალთა ჩვეულებაა.

● ● ●

ზევსო, მაკვირვებ, საყვარელო, ყოველთ მეუფეე,  
ვისაც პატივი არ გაკლია და ძალდიდობა,  
კაცთა გონების მეცანი ხარ უზენაესი,  
შენი უფლება ყოველთ ზედა უფლობს, უფალო,

და ვით ინებებს შენი ნება, კრონოსის ძეო,  
მტყუანს და მართალს ერთნაირი ხვედრი უხვედრო.  
ნუთუ ზნეობით ამალღებულთ არ განასხვავებ  
უსამართლობით აზვავებულ ძალმომრეთაგან?

\* \* \*

სიმადღრემ მეტი შეიწირა, ვიდრე შიმშილმა,  
რადგან უძღებნი ბედისწერის გასცდნენ სამანებს.

\* \* \*

შენ ჩემი გზიდან გადამალვა ველარ შესძელი,  
პარვით მავალმა, ქურდმა ჩემი სიყვარულისა.  
წყუელიმც იყავ, ღმერთთა მტურო და კაცთაუნდოვ!  
შენ იყავ ცივი, ჭრელი გველი მკერდზე მცოცავი.

\* \* \*

არ შეიძლება ბრძენი რეგვენს სულ ესაუბროს,  
მაგრამ სულ ჩუმად იყოს — ესეც არ შეიძლება.

\* \* \*

როცა არ ველით, ბედი მაშინ გვეწვევა ზოგჯერ,  
ზოგჯერ კი ვწვალობთ, ველით, მაგრამ არა ჩანს იგი.

\* \* \*

ჩვენი ახლობლის გასაჭირი ახლოა გულთან,  
შორებლისა კი — შორსაა, კირნე.

• • •

მე ყველაფერი მესმის, მაგრამ არაფერს ვამბობ,  
მე მაიძულებს ამას ისევ ჩემივე ძალა.

• • •

ყველაზე კარგი წილხვედრია მოკვდავ კაცთათვის —  
სულაც არ გაჩნდეს ამ ქვეყნად და მზე არ იხილოს,  
ხოლო თუ გაჩნდეს — მიაშურო ჰადესის ჭიშკრებს,  
ჩაძვრე საფლავში და ზედ მიწა წამოიხურო.

• • •

უგნური ბეცი მაკვირდება, ჩემს სულს დარაჯობს,  
ჯერაც თავისი ბრიყვი თავი რომ ვერ უცვნიას!

• • •

მოკვდავი შობო, ანაზრდო — ეს აღვილია,  
უფრო ძნელია სრულქმნა იგი სულის ანაზრდელით.  
ჯერ არ უქნია არვის — შტერი ბრძენად ექცია  
და სულგრძელობა მიემადლა სულმდაბალისთვის.  
ღმერთს ამის ცოდნა რომ მიეცა ექიმებისთვის  
და განეკურნათ აგაკანი და ბოროტეულნი,  
იცოცხლე, ჯილდოს მიიღებდნენ ბევრზე უმეტესს!  
ჩვენ რომ შეგვეძლოს კაცში ჩაედოთ გონიერება,  
კარგ მამებს აღარ ეშობოდათ ცუდი შვილები —  
იანდერბენდნენ მშობლისაგან სათნო ბუნებას.  
მაგრამ ავს კარგად ვერა კაცი ვერ განაკაცებს.

\* \* \*

გინდ გონიერი იყოს კაცი, გინდ უგუნური —  
უგუნურდება, თუ სვამს იგი წრეგადასულად.

\* \* \*

მონას არასდროს არ უჭირავს თავი ჰირდაპირქ,  
დახრილ კისერზე უნდილად რომ ჩამოჰკიდვია.  
და როგორც ჭლაკვი არ მოისხამს ვარდს და ჰიაკინთს,  
ასევე მონა თავისუფალ შვილს ვერ დაბადებს.

\* \* \*

არასდროს არვის ბოროტებით არ მიეძალო, —  
რჩეულთა კეთილარჩევანი ეს არის, კირნე.

\* \* \*

ნუ დაიფიცებ, რაც არასდროს აღესრულება,  
განრისხდებიან ამით ღმერთნი აღმსრულებელნი.  
აკეთე მხოლოდ შენი საქმე. ცხოვრებაში კი  
ავსა კარგი ცვლის, კარგსა ავი, ღატაკი კაცს  
მდიდრდება უცებ, ხოლო ვინმე დიდმქონებელი  
ზოგჯერ სულ რაღაც ერთ ღამეში ჰკარგავს ყველაფერს,  
ბრძენი იქცევა სულელურად, სულელი — ბრძნულად,  
პატიოსანის ადგილს იჭერს უპატიოსნო.

\* \* \*

ზოგსა არა აქვს ჭკუა, მაგრამ ბევრი ფული აქვს,  
ხოლო ზოგ ჭკვიანს ჰაპან-წყვეტით გააქვს ცხოვრება,  
მაგრამ ორივე ერთნაირად უბედურია —  
ერთს ფული უშლის ხელს საქმეში, მეორეს — ჭკუა.

• • •

მუზათა მაცნემ და მსახურმა ძვირფასი ცოდნა  
რად შეინახოს თავისთვის და სხვას დაუმალოს?  
მან ცოდნა თვისი ხელოვნებად თუ არ აქცია, —  
სამზეოზე არ გამოფინა — ზრც არიხ ცოდნა.

• • •

მაღალმა ზევსმა, წყნარ ეთერში დავანებულმა,  
დაე, ჩვენს ქალაქს გაუწვდინოს მხსნელი მარჯვენი.  
და წყალობა ჰყონ დანარჩენმა ნეტარ ღმერთებმაც.  
შენ კი, აპოლონ, სწორჰქმენ ჩვენი ენა და გონი.  
ფორმინგ-ფლეიტამ, დე, განფინოს ღვთიური ჰანგი.  
ჩვენ კი ღმერთების საამებლად დავღვრით ზედაშეს,  
მოვილხენთ ღვინით ერთმანეთთან ტკბილმოუბარნი  
და ვერ შეგვაფრთხობს მიდიელთა ომის მუქარა.  
ყველას სჯობია, სიხარულით ავივსოთ სული,  
ამო ფუსფუსს ვამჯობინოთ ლალი მოლხენა.  
რაზედ ვიღონოთ — ზიბერე ხომ ისედაც მოვა,  
შავი სიკვდილინ იხედაც ხომ მოგვიღებს ბოლოს.

• • •

სად არ ვყოფილვარ, სიკელიის მიწაზე ვიდექ,  
მოველე ევბეის ჭალაკები ვენახოვანი,  
სპარტაშიც ვიყავ ლერწმოვანი ევფროტის პირად,  
სადაც ვყოფილვარ — ყველგან გულით ვუყვარდი ყველას,  
მაგრამ სიხარულს ვერ მაძლევდა ვერსად ვერავინ,  
რადგან ვერ ვპოვე სიხარული სამშობლოს გარე.

■ \* ■

ნუ გავიცინებთ მტირალთან, კირნე,  
კარგ ხასიათზე რაგინდ ვიყოთ და მხიარულნი.

■ ■ ■

მტრის მოტყუება ძნელია, კირნე,  
მეგობრისა კი — ძალზე ადვილი.

\* \* ■

დიდი ზიანი მოაქვს სიტყვას კაცთათვის, კირნე,  
განრისხებული გონება რომ შობს.

\* \* \*

უსამართლობას მრისხანება წარმოშობს მუდამ,  
იგი ამდაბლებს და ამცირებს კაცის სულს, კირნე.

\* \* \*

კაცთ დარჩათ მხოლოდ ერთადერთი ღმერთი — იმედი,  
დანარჩენებმა დაგვეტოვეს და ოლიმპზე დასხდნენ.  
დიდმა ქალღმერთმა — ერთგულებამ და სათნოებამ  
და მათთან ერთად ქარიტებმაც დაგვეტოვეს, ძმაო.

\* \* \*

მეგობართ ტანჯვას, კირნე, უნდა მოვეუღოთ ბოლო.  
ჩანასახშივე, — ავბედობის ვპოვოთ წამალი.

■ \* \*

კეთილშობილი კაცის ენა, თვალი და ყური  
ზპეტაკი გულის უტყუარი ნაწილებია.

• \* \*

თუ თავს არ ირცხვენ და ასევე სხვებსაც არ არცხვენ,  
შკვე მაგითაც დიდ სიკეთის მქნელი ხარ, კირნე.

■ \* \*

ვივიწყებ ტანჯვას, თორემ ტანჯულ ოდისევეს ვგავარ.  
ვინაც ჰადესის ჯოჯოხეთი გამოიარა  
და უწყალოდ და მზიარულად გაავლო მუსრი  
თავისი ცოლის — პენელოპეს მოაშიკეებს;  
ვისაც ელოდა ცოლი დიდხანს ძვირფას ვაჟითურთ,  
ვიდრე ის სახლში შორი გზიდან დაბრუნდებოდა.

• \* \*

ყველაზე კარგი, რაც ღმერთებმა უბოძეს მოკვდავთ,  
გონიერება არის, კირნე, — ყოვლის მბოძები.  
თუ მას ფლობს კაცი — ძალა არის ეს ჭმეტესი,  
ვიდრე ყინჩობა და ზვიადი ამპარტაენობა;  
დიდმედილობას დიდი მოაქვს უბედურება  
მოკვდავთათვის და დიდ სიავის წყაროა, კირნე.

• \* \*

კარგია ენა და გონება — ორივე, მაგრამ  
ცოტას თუ ძალუძს მოუაროს ორივეს ერთად.



• • •

ჩიტის ჭიკჭიკი შემომესმა, პოლიპაიდევ,  
საგაზაფხულო ხენა-თესვისა მაუწყებელი.  
მე კი ნაღველი შემომაწვა ანაზღად შავი, —  
სხვისთვის ამწვანდა, — არა ჩემთვის, 'ხოდაბუნები.

• • •

ტომით უცხო ვარ, ქონგუროვან თებეში ვცხოვრობ,  
ბედმა ინება, მშობლიური დამეგდო მხარე.  
შენ, არგირიდა, ჩემს წინაპართ გართობისათვის  
ყბად ნუ აიღებ. შენ გეწია მონური ბედი,  
მაგრამ მე, ქალო, გარდვიხადე სხვა ჭირთმრავლობა  
და ლტოლვილობა სამშობლოდან... მაგრამ მონობის  
ბედშავ ბაზარზე ჩემს გაყიდვას ვერავინ შესძლებს.  
'ძორს ლეთეს პირად მშვენობს ჩემი მშობელ-ქალაქი.

• • • —

დაე, ამქვეყნად არა მქონდეს სხვა სამსახური —  
დე, ვემსახურო მე სიქველეს და სიბრძნეს მხოლოდ.  
თან მახლდეს ცეკვა-სიმღერა და ფორმინგთა ხმობა  
და სული მქონდეს უღრტვინველი და კეთილმთმენი

• • •

რა კაცობაა, დაუშავო უცხოელს რამე;  
გინდაც — შენს თვისტომს, — უნდა იყო სამართლიანი —  
და ზნეკეთილი შენი გრძნობით ახარო სული.  
ზოგი ამ გრძნობას განგიქიქებს, ზოგი კი — გიქებს;  
კეთილშობილ კაცს ბევრი აქებს, ბევრი — ავინებს,  
სამაგიეროდ ვიგინდარას ხსენებაც არ სურთ.

■ ■ ■

რაც განვიცადე — ეს სიკვდილის არის ბადალი,  
• ღარათფერი ამას, კირნე, არ შეედრება:  
გამყიდეს ჩემმა მეგობრებმა. ამიერიდან  
მე ვიმეგობრებ მხოლოდ მტრებთან, გავიცნოვ მათაც-

\* \* \*

ვერ გადაუვა ბედისწერას ვერავინ, კირნე,  
რაც გარღვევალად უნდა მეზლო, — უშიშრადა ვზღავ-

• • •

ვეება. ზარი ჩლიქით მადგას თითქოს ენაზე  
და ენა ჩემი ძნელი არის ასაყბედებლად.

\* \* \*

როცა ვიქცევით ჩვენ ყვაეების ნაადრევ ლუკმად,  
ამაში კირნე, ნეტარ ღმერთებს არ უძღვით ბრალი —  
მხოლოდ მოკვდავთა თავხედობა, ძალმომრეობა  
მათ ავბედობით უცვლის მარად კეთილდღეობას.

\* \* \*

დაადგი ფეხი და გათელე ეს ცარიელი  
და უაზრო ბრბო და შერევე მძიმე უღელში.  
ასეთს ვერ ნახავ ხალხს მონურს და ბატონთმოყვარეს.  
ვერსად ამ ქვეყნად, სადაც კი მზე ამოდის ცაზე.

\* \* \*

ზეესო, მოჰკალი კაცი იგი, ოლიმპიელო,  
ვინც კი მეგობარს ეცრუება ყალბი სიტყვებით.

\* \* \*

ადრეც ვუწყოდი, მაგრამ ვუწყი აწ უმეტესად, —  
სიკეთის მადლიც არა სცხია გაცვეთილ თაღლითს.

\* \* \*

თუ საქმე ცუდად წამივიდა, მყის მეგობრები  
ზურგს შემაქცევენ და დანახვაც არ უნდათ ჩემი.  
საკმარისია, გამილიმოს მცირედაც ბედმა,  
გარს. მეხვევიან, ვიდრე მყვანდნენ, იმაზე მეტი.

\* \* \*

მადლით ვეება სპილენძის ცა დამემხოს ცაზე,  
რომელიც მარად შიშის ზარს სცემს დედამიწის შვილთ —  
თუ ჩემს მეგობრებს დახმარების ხელს არ გავუწვდი  
და თუ მტრებისთვის არ ვიქნები საშინელება.

\* \* \*

კვლავ იჭაბუკე, სულო, დასტკბი, მალე სხვა ხალხი  
მოვა ამქვეყნად, შენ კი შავი მიწა იქნები.

• • •

სწორი გზით ვივლი, არ ავიქცევ მხარს წარამარა,  
ამგვარი წესით გავაკეთებ ყოველ საქმესაც.  
ვემსახურები ჩემს სამშობლოს ქალაქმშენიერს,  
ყურს არ დაუვადებ ბრბოს ყაყანს და ბოროტთა ჭორებს.

• • •

შენ, ვინაც ჩემი დიდ სიკეთის უმადური ხარ,  
გაჭირვების დღე მოგაყენებს ისევ ჩემს კარზე.

• • •

ვურჩევდი ყველას — ვიდრე კაცი ჰასაკმშენიერ  
ყვავილით ჰყვავის და საღადაც უჭრის გონება —  
გასცეს სიმდიდრე და მიიღოს სიამოვნება,  
ღმერთები ორჯერ სიჭაბუკეს არ გვიბოძებენ  
და ღრძუ სიბერე — თუ გვეღირსა — დაგვიჭნობს სახეს  
და ვერ წარუვალთ წარმავალნი კაცნი სიკვდილსაც.

• • •

მე არასოდეს მტერს საუღლელ ქედს არ დავუდრეკ,  
თუნდაც ტმოლოსმა მომინდომოს მხრებზე შედგომა.

• • •

მდაბალი კაცის სული ცრუა და ღრეკი,  
კეთილშობილის კი — ღიაა და პირდაპირი.

კაცმა კაცს ცუდი გაუკეთოს — ეს ადვილია,  
უფრო ძნელია, გაუკეთოს სიკეთე, კირნე.

\* \* \*

ტანზე გადამდის თითქოს ჩქარი მდინარის წყალი,  
როცა ვუყურებ ჩემი სიყრმის თანატოლ ყვავილს —  
სიყვარულის და სიხარულის შჩუქებულ ასაკს,  
როგორც გაზაფხულს სწრაფწარმავალს და როგორც სიზმარბ.  
ვერც კი მოვასწრებთ სიყრმის ძილში გამოსიზმრებას,  
რომ თავს გვადგია სიბერე და გვალვებიც უკვე.

\* \* \*

სულო, სულგრძელად მიეგებე მძიმე გასაჭირს,  
სულდაცემული არის მუდამ გულრისხვიანი  
უქმი საქმეა, ურგებელი — ზედმეტ ვაებას  
და მწუხარებას მისცე თავი, ამით მარტოდენ  
შენს მოკეთებებს ატკენ გულს და მტრებს გაახარებ.  
რა წილხვედრილსაც მიაგებენ მალლით ღმერთები,  
მისგან დაღწევა ვერა ჯაფით ვერ ძალუძს მოკვდავს,  
თუნდაც ამისთვის ქვეჩაფსკერდეს მეწამულ ზღვაში,  
თუნდაც მწუხრეულ ტარტაროსის ბნელ-ფსკერში ჩახდეს.

\* \* \*

ყრმობის ასაკში თანამოასაკე გოგოსთან  
უნდა ატარო მთელი ღამე აშიკობაში,  
ანდა მლხნელი ფლეიტაზე აღილინებდე.  
არაფერია ამ საქმეზე უტკბესი ქვეყნად  
გინდა კაცისთვის, გინდ ქალისთვის; რისი სიმდიდრე  
ან რა ღირსება შეცვლის ქვეყნად ტრფობის სიამეს.

■ ■ ■

უწინ მალაღნი აწ მდაბაღნი არიან, კირნე,  
ღღეს ყვეღღან პატივაყრიღღია პატიოსანი.  
ნუთუ პატივიღღთ უნღღდა ემოსოღღთ უპატიოსნოღღ!  
ღღღეს ცრუს მართაღღლი ემოყვრეღღბა, ასულს ურიღღგებს;  
ყვეღღლა ერთმანღღთს ატყუეღღბს და ერთურღღთს დასციღღნის.  
არც ცუღღღს განსჯიღღან ცუღღღისათვის, არც კარღღღს — კარღღღისთვის.

\* \* \*

აღღღამიღღანი სუღღღლეღღღია, მკვღღღარს რომ დასტიღღღრის  
ღღღა არა — სიყრღღღმის ნაზ ყვეღღღვიღღღებს, სიბეღღღრით ცვეღღღნიღღღთ.

\* \* \*

ძნეღღღლი საქმეღღღა, დასაწყისიღღღთ შეიღღღცნო ბოღღღლო,  
ღღღმერთმა თუ უწყის, რა და როგოღღღრ აღღღღესრუღღღება.  
წინ ბურღღღუსია, ბურღღღუსს იჭიღღღთ — კიღღღღღვე ბურღღღუსი,  
ღღღა უვიღღღცობას მოკვღღღდავ კაცთა არა აქღღღვს ზღღღღვარი.

\* \* \*

მე არაღღღსოღღღღღეს არ გავკიღღღცხავ კეთიღღღღღღშობიღღღღღღლ მტეღღღღრს  
ღღღა არ შეღღღვაქეღღღბ ბოროტ მოყვარღღღღს.

\* \* \*

ღღღამაცა, მალე ავღღღფრინღღღღები ფრინღღღვეღღღღის ღღღარად,  
ბაწღღღარს რომ თავი დააღღღწია და ტბის სიღღღგრეღღღში  
ბოროტ კაცთაღღღღან შოღღღრს მიღღღფრინღღღავს. შენც ჩემს სიყვარულს  
როცა დაჰკარღღღგავ, რაც დაკარღღღგე, მერე მიხვღღღღღები.

■ \* \*

მდეროდა იგი იმ ძველ თქმულებას,  
როს კურეტები გამოქვავულში  
ფარულად ზრდიდნენ  
ღვთიურ მრწემს — ზევსსა,  
დედა რეიამ  
სასტიკ კრონოსს რომ გადუმალა.  
უკვდავთა შორის  
იქნა დიდად პატივდებული  
დედა-ღვთაება — მდეროდა იგი.  
მუზამ ასურვა ოლიმპოს ღმერთებს  
ოქროს ურნებში  
სამსაჯულოდ ეყარათ კენჭი.  
აღდგნენ ღმერთები  
და კურთხეულ ჰყვეს კითერონი.  
ჰერმესმა მყისვე  
გამარჯვების ხმა გააქუხა  
და საზეიმოდ ნეტარ ღმერთებმა.  
მორთეს მწვერვალი.  
გაწბილებულმა ჰელიკონმა  
მთა მოარღვია  
და ზმამყივარი გამოქანდა,  
რომ შეგროვილ ხალხს  
ზედ დასკდომოდა...

## ორაკულის სიტყვები ასოპოსისადმი

დაისაყვარლა შენი სამი ასული ზევსმა,  
მამამან ზევსმა — არსთა გამრიგემ.  
შენს სამ ასულზე იქორწინა  
პოსეიდონმა — ზღვათა მეუფემ.  
ორიც ფებოსმა  
მოცდუნებით მოისარეცლა;  
ერთიც — ჰერმესმა,  
მაიას ძემ, პირმშვენიერმა.  
ისინი აღძრა ეროსმა და ტურთა კიპრიდამ  
ვნების წადილით, —  
შეპარულიყვენენ სახლში უჩუმრად  
და წაეგვართ ტურთა ასულნი.  
ბედი განუჩენს ამ ასულებს  
გმირების მოდგმას;  
ისინი შობენ ნახევარღმერთებს;  
ეს განაჩენი ჭანჩენილა, ხოლო მე გამცნობ,  
რაიც უმცნია ორაკულის სამისნო სამფეხს.  
ოღესმე დამდეს დიდი პატივი  
ორმოცდაათმა ძმა-მეგობარმა,  
რომ ხალხისათვის  
უტყუარი სიმართლე მეთქვა  
საკურთხეველიდან მე — აკრეფიას.  
როსმე ლეტოს ძემ  
ეკონიმოსს დასდო პატივი  
სამფეხზე ჯდომის და მისნობისა,  
იგი განდევნა პოსეიდონის  
ძემ — პირიევსმა ქვეყნის კიდევან  
და ეს პატივი მან ირგო წილად.  
მომდევნო იყო ორიონი,  
ჩემი მშობელი, ვინაც იუფლა ქვეყანა ესე,  
ის აღემძღლა სახელოვნებით  
და ახლა ცაში ვარსკვლავად ბრწყინავს.  
ქეშმარიტია, რასაც მე ვამბობ,  
ღმერთთა სიტყვებით მევსება პირი.  
შენც უკვდავ ღმერთთა ნაშიერი ხარ



და, მეგობარო, ემსგავსე უკვდავს,  
ჩამოიხსენი მძიმე ტვირთი ამაოების.  
ასე წართქვამდა წმინდა მისანი  
და მას შეეხო  
მარჯვენა ხელზე მისათუთებით  
ცრემლმორეული ღმერთი — ასოპოს  
და გაესიტყვა მსათნოვარი.

• • •

მე ვსაყვედურობ  
ხმამყლერ მირტიდეს: ვით ხელიწიფა  
ქალმა პინდარეს გასჯიბრებოდა  
პირველობისთვის.

• • •

გმირებისა და გმირ ქალთა საქმეთ  
მე იონიურ კილოზე ვუმღერ.

• • •

ხელში დავიჭერ მირტის ყლორტით შეფოთლილ ხანჯალს,  
 ჰარმოდოსს რომ ეჭირა და არისტოგიტონს  
 უამსა მას, ოდეს მოჰკლეს ტირანი  
 და დიად ათენს მოუტანეს თავისუფლება.

• • •

დაიმახსოვრე, მეგობარო, აღმეტეს თქმული: —  
 ეტრფეო ოდენ სულით მშვენიერთ,  
 უკეთურთ სულის სილატაკე მოსდგამთო მუდამ.

• • •

დღე, იყავ ჩემი თანამესმურე, თანამეტრლე  
 და თანამეტრფე  
 და ჩემი თანაგვირგვინოსანი.  
 დღე ერთად ვიყოთ სულელებიც და ჭკვიანებიც.

• • •

მორიელია, მეგობარო, ყოველი ქვის ქვეშ,  
 გაფრთხილდი, მახეს ყველა მხდალი უჩინრად აგებს.

• • •

საერთო ზნე სჭირთ კახპასა და მებაანოვეს —  
 ორნივე ერთ ვარცლზე აშიშვლებენ გონჯსა და ტანადს.

\* \* \*

ჯერ ნაპირიდან გახედე ზღვას, ვიდრე შიგ შეხვალ,  
უნდა იცოდე, ზღვას რა ძალუძს, და შენ რა ძალგიძს,  
რომ შიგ შესულმა  
მისი ზვირთის ასწიო ტვირთი.

\* \* \*

პირველსიკეთე მოკვდავისთვის ჯანმრთელობაა,  
მეორე — ჯიშის და აღნაგის მშვენიერება,  
მესამე არის გამდიდრება ალალი გარჯით,  
ხოლო მეოთხე — საქალვაყო ტრფობის ასაკი.

\* \* \*

ბევრი რკოც ჰქონდეს, ღორი მაინც სხვა რკოებს ეწებს,  
მეც სატრფო მყავს და სხვის სატრფოზე გამირბის თვალი.

\* \* \*

ო, ტრიტოგენე, ათენა პალას,  
შენ და შენს მამას ვევედრები, ქალზენაარო,  
სრულპყავით ჩვენი ქალაქი და მოქალაქენი,  
აშორეთ შფოთი და სიკვდილი უთავისდროო.

\* \* \*

ბევრი რამ სულაც არ სჭირდება კაცთაგანს მოკვდავს,  
საკმარისია სიყვარული და მცირე სარჩო,  
შენ კი ძუნწობ და მხვეჭელობ მხოლოდ.

• • •

მსურს, სპილოსძვლიან ჩემი ჩანგის ჰანგზე როკვიდნენ  
ტან-სარო ვაენი, დიონისეს დასში პროკველნი.

### აღონისისთვის

დავტოვე ქვეყნად ყოველივე საუკეთესო:  
ნათელი მზისა,  
ბადრი მთვარე ვარსკვლავთ კრებულში  
და ტკბილმწიფობის სურნელება გოგრის, მსხლის, ვაშლის...

\* \* \*

ნიკეე, ასულო პალანტისა, სახელმრავალო,  
ეგულმოწყალე კრანაელთა სასურველ გუნდს და  
ხშირად მუზათა შეჯიბრებაზე  
დასდგი გვირგვინი ბაკქილიდე კეოსელს თავზე.

\* \* \*

ველზე აუგო ევდემოსმა ტაძარი ზეფირს,  
სხვა ქართა შორის გულუხვობით ქართა უმეტესს,  
რადგან მან ბევრჯერ დაიქროლა მის დაძახილზე  
და პურის კალო მტვერისაგან გაუწკრიალა.

\* \* \*

როცა აგათონს ვეამბორე,  
მის ბაგეზე სული შევიგრძენ:  
გოგო მოსულა ძღვნად სულისა აგათონისთვის.

\* \* \*

აჰა, ვაშლს გესვრი, დაირჩინე, თუ თანახმა ხარ  
ჩემს სიყვარულზე,  
თუ განმიწილებ სიტკბოს შენი სიქალწულისა.  
თუ არა — მაინც აიღე ვაშლი:  
დაე, მან გითხრას, რა მოკლეა ყვავილის ხანა.

\* \* \*

მე ვაშლი ვარ. შენსკენ მისროლა შენმა მიჯნურმა,  
ქსანთიპე, დამწვდი!  
უკვდავნი არ ვართ არც მე და არც შენ.

## ასტერისადმი

1

ვარსკვლავებს უმზერ, ვარსკვლავო — ასტერ.  
ნეტავ ცა ვიყო,  
რომ უთვალავ თვალით გიმზირო.

ცოცხალთა შორის აღმოსავლის ვარსკვლავად ენთე,  
ვარსკვლავო — ასტერ.

აწ სადამოის ვარსკვლავი ხარ მკედართ საუფლოში.

## დიონ სირაკუზელისადმი

ჰეკაბესა და მთელ საქალეთს ილიონისა  
ცრემლი აწვნიეს მოირებმა დაბადებითვე.  
ხოლო შენ, დიონ, გამარჯვების სიმღერები და  
კეთილგზიანი დაგიბედეს საქმე ღმერთებმა.  
აწ დიდ პატივით განისვენებ მშობელ ქალაქში,  
შეგრამ ო, დიონ, სიყვარულით სულს ალხენ ახლაც!

\* \* \*

„რა ლამაზია ალექსისი“ — წამობცდა ერთხელ  
და იგი უმალ დაიტაცა ათასმა მზერამ.  
სულო, ეს რა ჰქენ? — ძაღლებს ძვალი რად დაანახე?  
განა მე ასე არ დავკარგე ძვირფასი ფედრა?

\* \* \*

კოლოფონშია ჩემი გოგო — არქეანასა.  
ოჰ, სიყვარული ნაოჭებში აყვავდა ისევ!  
ვერ განმაქიქებთ, გლახ-ქაბუკნო, —  
ჯერ თქვენს ასაკში:  
დაიწვით თავი სიყვარულის ამგვარ კოცონზე!

## სპარსეთში დაღუპული ეკატრინელებისადმი

1

ევბეელნი ვართ გვარტომობით — ერეტრიელნი,  
სუზასთან ახლოს გვაქვს საფლავი, შორს სამშობლოსგან.

2

ტალღამქუხარე ზღვა დავტოვეთ ეგეოსისა  
და ეკატანას ქალაქთ შორის ვწევართ მიწაში.  
მშვიდობით ჩვენო ერეტრიაჲ, ათენქალაქო, —  
ჩვენი ევბეის მეზობელო, ზღვაო, მშვიდობით!

\* \* \*

კაცმა იპოვა ოქრო, იქვე დასტოვა თოკი.  
თოკი იპოვა დაკარგული ოქროს მძებნელმა, —  
კისრის მარყუქი იყო ის თოკი.

\* \* \*

ერთმა იპოვა და მეორემ დაჰკარგა ოქრო.  
პირველმა ოქრო კვლავ დაჰკარგა, მეორემ — თავი.

## კიპრისი და მუზეზი

კიპრისმა მუზეზს:

— მომეტრფეთო მე — აფროდიტეს,  
თორემ საკვნესად მოგივლენთო ეროსს, ქალწულნო!  
მუზეზმა კიპრისს:

— ეგ ზღაპრები შენ არესს უთხარ,  
ჩვენ კი მაგ ცელქი ბიჭუკელა ეროსის ფრთები  
ვერ აგვაფრენსო.



## ფაიტაფიები

1

მე მეზღვაურის საშარე ვარ, ჩემს წინ — გლეხისა.  
ზღვაზეც, მიწაზეც უმეტესი არის ჰადესი.

2

ნავ-დამხობილი ზღვამ დამახრჩო, მაგრამ მის ტალღას  
არ გაუხდია ჩემთვის ტანზე — შერცხვა ამისი.  
კაცთაგანმა კი მკვდარს წამართვა ტანისამოსი  
და დიდი ცოდვა მოინაგრა მცირე ჭინჭისთვის.  
დაე, ის ჩემი სამოსელით ჩახდეს ჰადესში  
და მაგ ძონძებით სამსჯავროზე წარუდგეს მინოსს.  
ო, უდარდელი მეზღვაურო,  
ჩემს საფლავს ცურვით როს ჩაუვლი,  
უწყოდე — შენი უდარდელი ძმა განისვენებს.

## არისტოფანესადმი

ღვთიურ სავანეს რომ ეძებდნენ ნეტარ-ქარიტნი  
მოსავანებლად,  
არისტოფანეს სული ჰპოვეს ასეთ სავანედ.

• • •

მე ლაიდა ვარ, ქალმცინარე, მთელი ელადის  
შეყვარებული ვაჟთა ჯარი მედგა კარებთან.  
ახლა, პაფია, ჩემი სარკე შენთვის მიძღვნია, —  
ალარ მჭირდებ; რაც ვარ, იმის დანახვა არც მსურს,  
ხოლო რაც ვიყავ, კვლავ ის ვიყო, არ შემიძლია.

## ს ა ზ ო ს

ასახელებენ ცხრა მუზას მცდარად: —  
სულ ავიწყდებათ ლესბოსელი საფო — მეათე.

## პინდარეს

სტუმარმოწესე, რჩეულკაცი მოქალაქეთა  
იყო პინდარე, პიერიის მუზათმსახური.

## პ ა ნ ი

1

დაე, გაყუჩდეს ღრიალების ტყეხშირი თხემი,  
კლდის ჩანჩქერები  
და ხმამრავალი ქრიამული ფურ-ნახირისა:  
თვით პანი იწყებს შაქარყელა სირინგზე დაკვრას  
და ლერწამთ ძნაში ბაგეთ მოსწვეთს სველი ბგერები... -  
გარს ეხვევიან მოფერხულე გოგო-ნიმფები, —  
ნიმფები წყალთა, ნიმფები ტყეთა.

2

ჩამოისვენე ამ მაღალი ფიქვის ქვეშ, მგზავრო,  
გაამებს ტოტებდაქროლილი ზეფირის ქარით.  
და ჩემს წყაროთა ლიკლიკში და სირინგის ხმებში  
მალე თვალებზე მოგადგება გრძნეული ძილი.

## წარწერანი

\* \* \*

ხუთი ხბო ბრწყინავს ამ პაწია იასპის ქვაზე,  
ბალახს სძოვენ და თითქოს სუნთქვაც მოგვესმის მათი.  
თითქოს საცაა დაიძვრიან, წავლენ-წამოვლენ,  
მაგრამ მათ კეტავს ოქროს ჩარჩო მინდვრის ნაქერში.

\* \* \*

ოსტატმა ხელმა ბრომიოსის სატირი შექმნა,  
ქვას შთაგონებით ოდენ ხელმა გადასცა სუნთქვა.  
მე კი ნიმფების დამყოლი ვარ და წითელ ღვინის  
ნაცვლად იმათი წყაროგრილიც მეყოფა ღვინად.  
შენ მოდი, ოლონდ ფეხი ფრთხილად გადმოატარე, —  
არ გააღვიძო ძილგრძნეული ჭაბუკი ეგე.

\* \* \*

მე მსახური ვარ რქამშვენიერ დიონისესი.  
ვიწყურვებ წყაროს, ვერცხლანკარას, ტურფა ნეადთი.  
ვაძინებ ტკბილად მოსვენების მოსურნე ყმაწვილს...

\* \* \*

დიოდოროსმა ეს სატირი კი არ ჩამოქნა —  
ძილს მისცა მხოლოდ.  
ძილშია ვერცხლი, თუ შეეხე, გაეღვიძება.

\* \* \*

ნიმფათ მსახური, მეძახური მუდამ წვიმისა,  
გუბის ბაყაყი უწყინარი, ვით სალოცავი,  
ნამგზავრმა კაცმა ბრინჯაოში განაქანდაკა.  
ბაყაყმა იხსნა ის სასტიკი წყურვილისაგან:  
გზაარეული ოდეს ველად ეხეტებოდა,  
მგზავრს შემოესმა წყალხმელეთა ბაყაყის ხმობა.  
მახარობელმა ამ ხმამ წყლისკენ გზა გაასწავლა  
და დაეწაფა გზამაშვრალი საამო წყაროს.



• • •

ოდეს შევედით წრდილგანფენილ საღვთო ჭალაკში,  
ვიხილეთ წითელ ვაშლისსახა კითერეს ვაჟი.  
მას არცა მშვილდი, არც სიქსიქა ეპყრა ისარი,  
მისნი კაპარკნი ფოთოლუშქარ ხეებს ეკიდა.  
თვით კი ეძინა სურნელოვან ვარდთა საბანზე  
და ნეტარეულ ძილმღიმარეს სკა ფუტკრებისა  
ტკბილ ბაგე-ტუჩზე ეგროვებოდა.

(ეპიგრამები საკუთარი სურათებისათვის)

\* \* \*

მშვენიერების მცოდნე კაცმა, სიკეთის მოტრფემ,  
 პარასიოსმა, ეფესელმა, შექმნა ეს სახე.  
 ნუ დაივიწყებთ ევენორსაც, მის მშობელ მამას,  
 ვინც შვა პირველი ხელოვანი ელინთა შორის.

\* \* \*

არ დამიჯერონ ეგებ სულაც, მე მაინც ვიტყვი;  
 რომ საზღვარია ხელოვნების, რაც აქ ზატქმნილა.  
 ჩემი ხელისგან — და ზღურბლია ფეხშეუდგამი,  
 თუმც არარაა მოკვდავთათვის დაუწუნელი.

### ჰერაკლის გამოსახულება

აქ მისი სახე ისე არის გამოსახული,  
 როგორც უხილავს პარასიოსს ის სიზმრად ბევრგზის.

\* \* \*

უგნურნი სულაც არ არიან მიღეტელები,  
მაგრამ იმასვე აკეთებენ, რასაც უგნურნი, —  
თქვა დემოდოკემ.

\* \* \*

ცუდია ყველა ქიოსელი, ყველა უკლებლივ  
გარდა პროკლესი, მაგრამ პროკლე ქიოსელია, —  
თქვა დემოდოკემ.

\* \* \*

ბილწია ყველა კილიკიელი — ერთთავად ყველა,  
მაგრამ მათ შორის  
კინირესია ერთი უბიწო, მაგრამ ის ერთიც —  
კილიკიელი.

\* \* \*

კაბადოკიელს ავმა ექიდნამ უკბინა ერთხელ  
და იქვე მოკვდა მოშხამული ავკაცის სისხლით.

• • •

გვედრებ, პომპილე, მეზღვაურთა დარკეთილის საბედლო  
თევზო,  
ჩემი საამო დობილქალას კიჩოსთან სცურე!

• • •

სიცოცხლე ესე  
მხოლოდ ცარიელ ექოდ იშლება ჰადესის ფსკერზე,  
სად დუმილია მკვდართაშორისი  
და თვალბზე ღამე მიმოდის.

## ვაკიტაფიები ბავკიდასათვის

1

სასძლო ბავკიდას სამარე ვარ, თუ ამ ნატირალს  
ეახლო სტელას, მგზავრო, ჰადესს ჩასძახე ქვევით –  
გაუმადლარი ყოფილხარ-თქო: თავად იხილე  
საფლავის ნიში, იგი გამცნობს ბავკიდას შავბედს.  
ჰიმენემ ფიქვის საქორწინო ჩირალის ნაცვლად  
გლოვის სანთლები შემოუწყო გაყინულ სხეულს.  
ვაი, ჰიმენე, საქორწილო საგალობელი  
შენ გაასრულე დალაობით და გლოვის ზარით.

2

სტელებო ჩემნო, სირენებო, მწუხარე ურნავ,  
ჩემგან ფერფლსადა რომ იმარხავ ჰადესის წიად,  
ჩემს ლუსკუმასთან ყველა მოსულს მიესალამეთ.



უთხარით, სასძლო რომ ვიყავ და საფლავი მერგო,  
რომ მამაჩემი მე სახელად მხმობდა ბავჯიდას,  
რომ ტომით ვიყავ ტენოსელი, ჩემი დობილი  
იყო ერინა, — ეს სიტყვები მან ამოტვიფრა.

**სოფოკლისადმი**

გადაეკონე, სუროვ, მშვიდად სოფოკლეს საფლავს  
 და შენი მწვანე დალალები. ზედ ჩამოშალე.  
 დაე, აყვავდეს აქ ვარდები, გადმოეჩრდილოს  
 მტევანდასხმული ვაზის ვარჯი ძვირფას სამარეს,  
 ის ბრძენკეთილი იყო პოეტი,  
 მუზებისა და ქარიტების მადლით ცხებული.

**პლატონისადმი**

აქ განისვენებს არისტოკლე, ღვთის დარი კაცი,  
 მართლმორჩემულებით და სიღინჯით კაცთუმეტესი.  
 არავის ქვეყნად მასზე მეტი არ ღირსებია  
 ბრძენის დიდება, დაამარცხა მან მტერთა შურიც.

მაჰანკალი

მოქმედი პირნი

მეტრიხე, მანდრისის საყვარელი ქალი  
თრაკიელი გოგო, მეტრიხეს მონა.

გილისი, მაჰანკალი დედაბერი.

(მოქმედება ხდება კუნძულ კოსზე. უბრალოდ მორთულ ოთახში სხედან  
მეტრიხე და მისი თრაკიელი მონა-ქალი. ისმის კაკუნი შემოსასივლელ  
კარზე)

მეტრიხე

ჰე, თრაკიელო, აკაკუნებს ვიღაცა კარზე,  
ჯახედე, ხომ არ ჩამოსულა სოფლიდან ვინმე?

თრაკიელი გოგო

ვინ ხარ კარებთან?

გილისი

მე ვარ.

თრაკიელი გოგო

ვინ შენ? რა, გეშინია

ახლოს მოხვიდე?

გილისი

გეახელი აგერ ახლოსაც.

თრაკიელი გოგო

ჰო, მაგრამ ვინ ხარ?

გილისი

გილისი ვარ, ფილენის დედა.

შიდი, მეტრიხეს მოახსენე, გამომეყუროს.

თრაკიელი გოგო

შენ გეძახიან.

მეტრიხე

ვინ?

თრაკიელი გოგო

გილისი.

მეტრიხე

ჩემი გილისი?

10 შინ შემოუძახე მონა-გოგოვ! ჩვენთან რა ბედმა  
გისროლა, გილის? თითქოს ღმერთი მოსულხარ ხალხთან.  
უკვე კანკალა ხუთი თვეა დამრგვალებული, —  
არამც თუ ცხადში, სიზმარშიაც, ვფიცავ მოირებს, —  
არ მინახინარ ამ ჩვენს კარზე მომდგარი, გილის.

გილისი

რა ვქნა, შვილიკო, შორსა ვცხოვრობ, აქეთ — ქუჩების  
დიდი ტალახი ბეჩაფს ცალკე მიჭირებს საქმეს.  
მე კი ბუზივით უმწეო ვარ, სიბერეც უკვე  
ტვირთად მაწევს და თან დამყვება სიკვდილის ჩრდილს.

მეტრიხე

აბა, გეყოფა, თავს ზედმეტად ნუ იკატუნებ,  
ჯერ ისე მხნე ხარ, ვისაც გინდა მიახრჩობ, გილის.

გილისი

20 ეჭ, სასაცილოდ მიგდებ, ვნედავ, აგრე გჩვევიათ  
თქვენ, ყმაწვილქალებს.

მეტრიხე

არ დაგცინი, ნუ აღუღდები.

გილისი

უკვე რამდენი დრო გავიდა, შვილო, რაც ქვრივობა  
და მარტო-ქალას უკაცობა გტანჯავს სარეცლის?  
რაც ეგვიპტეში გაემგზავრა შენი მანდრისი,  
ათი თვე გახდა და წერილსაც კი არ გიგზავნის.  
შენ დაგივიწყა, ეწაფება სხვის ბაგეთ ბადაგს,  
შენ კი შინ ზიხარ ქალღმერთივით ხელუხლებელი,  
ხოლო ამქვეყნად თუ რამეა, — ეგვიპტეშია.

სიმღიღრე, ძალა, პალესტრა და კეთილდღეობა,  
სახილველები, კაცნი — ბრძენნი, ქალნი — ლამაზნი,  
30 ღვთის ძმათა სამო და ხელმწიფის მუსეონი,  
ღვინო, სიკეთე ყოველივე, რასაც ინატრებ.  
ახლა ქალები! — დავიფიცებ ჰადესის ასულს —  
ასე, ამდენი ვარსკვლავები ცად არ ბრწყინავენ.  
ლამის სახედ და სახილველად ისევეითარნი,  
ქალღმერთები რომ სამსჯავროზე წარუდგნენ პარისს.  
ოღონდაც ცუდად არ გამიგონ!.. შენ კი აქ ზიხარ  
სალ-სალამათი და სკამს ათბობ, ის კი არ უწყი —  
მოვა სიბერე და სიტურტეს ნაცარს დააყრის.  
გონების თვალი აღახილე... ორი-სამი დღით

40 გარდაიქმენი, გახალისდი... იმზიარულე  
სხვა საყვარელთან... გემს ლუზაზე დიდი ხნით დგომა  
კარგს არ უქადის — და სიკვდილი როცა გვეწვევა,  
ჩვენი ამქვეყნად აღდგინება არავის ძალუძს.  
მზიან დარკეთილს სცვლის ნიადაგ ავი ტაროსი,  
დგება ზამთარი შემმუსვრელი... არ ვართ მცნობელი  
ჩვენი მომავლის არასოდეს; წარმავალია  
ცხოვრება კაცთა.

მ ე ტ რ ი ხ ე

რისი თქმა გასურს?

გ ი ლ ი ს ი

აქ ხომ არ არის

მოყურადე ვინმე?

მ ე ტ რ ი ხ ე

არვინ.

გ ი ლ ი ს ი

ჰოდა, მისმინე —

რისთვისაც შენთან მოვედი და რაც უნდა გითხრა,  
50 მატაკინეს ძემ, პატაკიის შთამომავალმა —  
გრილოსმა ზუთგზის გაიმარჯვა თამაშობებში,  
პითოსში ერთხელ დაამარცხა მან ახალბედა,  
კორინთოში კი ორჯერ — ჭაბუკ-უწვერულები,

პიზაშიც ორჯერ მუშტი-კრივში დასცა ვაჟკაცი.  
დიდ-მდიდარია, ხის ნაფოტებს კი არა ჰკრეფავს.  
არ უგემნია ჯერ უმანკოს კითერეს ხილი.

მისეში გნახა და პირველად შეიპყრო ლელვამ,  
ტრფიალის ალი გულ-ჯიგარში აუგისზგიზდა,  
დღითა და ღამით ჩემთან არის, ჩემს სახლში რჩება,  
მეალერსება და შენს გამო მღერის, შვილიყო;  
60 ტრფობის წადილით ანთებული ილევა, კვდება.  
მეტრიხე, ჩემო ლამაზ-ქალავ, ერთხელ მიართვი  
ტრფიალის ქალღმერთს ცოდვის ძღვენი, დაჰყევ მის ნებას,  
ვიდრე სიბერეს შენს თვალეზში არ ჩაუხედავს.  
ორ სასიკეთო საქმეს იზამ ამითი, კარგო, —  
საჩუქრეულსაც დიდს მიიღებ და სიამესაც.  
მე შენ მიყვარხარ, დამიჯერე, — ვფიცავ მოირებს.

### მ ე ტ რ ი ხ ე

ვატყობ, ჭალარა გონებასაც აბერებს, გილის...  
ვფიცავ მშვიდობით დაბრუნებას ჩემი მანდრისის  
და სასათნოო დემეტრეს, რომ ამგვარ საუბარს

70 სიამოვნებით სხვა ქალისგან ვერ მოვისმენდი,  
ავაკოჭლებდი და შერცხვენილს მივაბრძანებდი,  
ვითარცა სამტროდ ჩემს კარებზე მომდგარ უკეთურს.  
შენ კი, ძვირფასო, ამგვარ ზღაპრებს ამიერიდან  
ნუ მომიყვები და — ვით გფერობთ მოხუცებულებს —  
ამოარჩიე სამაგისო გოგო-ქალები.

მე კი, მეტრიხეს, პითოს ასულს, მომეცი ნება,  
ვიჯდე და ვათბო ჩემი სკამი... სხვების საღრეჭად  
ვერ ვაქევე მანდრისს... მაგრამ, გილის, როგორც ამბობენ,  
სიტყვა საჭმელი არაა და... ჰე, გოგოვ, ჩქარა  
80 გარეცხე ჯამი, ჩამოასხი სამ-ექვს ნაწილად  
ღვინო, წყალ-წილიც დაურთე და გამოიტანე.

### ა რ ა კ ი ე ლ ი გ ო გ ო

მიირთვი, გილის!

### გ ი ლ ი ს ი

ჰა, მივირთმევ. შენს საცდუნებლად  
როდი მოგსულვარ, მოველ კითილ სადღეგრძელოსთვის.

## მეტრიხე

შენ, ალბათ, გრილოსს საზღაურად მთავაზობ, გილის!

გილისი

გენაცვლოს იგი რა ღვინოა, ჩემო შვილიყო!  
დემეტრეს ვფიცავ, საამოა! მეტრიხეს ღვინოს

უამოესი არ შეუსვამს ჯერ გილისს ღვინო.

აბა, ნახვამდის, ბედნიერად, ჩემო შვილიყო!

თავს მოუარე... მირტალე და სიმე რჩებიან

06 ნაღდ გოგოებად, ვიდრე სული უდგია გილისს!

## ეჭვიანი ქალი

### მოქმედი პირნი

ბიტინა, მდიდარი ქალი.  
გასტრონი, ბიტინას მონა და საყვარელი.  
კიდილა, ბიტინას მონა ქალი.  
დრეხონი, მონა.  
პირიესი, მონა.

### ბიტინა

მითხარი, გასტრონი, რად ხარ ეგრე გაუმიძღარი,  
ჩემი ალერსი, უმადურო, განა არ გყოფნის,  
აწ ამფიტაეს, მენონის ცოლს რომ მიუძვრები?

### გასტრონი

ამფიტაეზე მეუბნები? იმ კაცის ცოლზე?  
ის ხომ თვალითაც არ მინახავს. ყოველდღე საბაბს  
ეძებ, ბიტინა. მონა ვარ და რაც გინდა, მიყავ,  
მაგრამ, კარგი რა, დღე და ღამე ნუ სწოვ ჩემს სისხლსა!

### ბიტინა

ამას უყურე ერთი, ენა როგორ წაიგდო!  
კიდილა, აბა, პირიესი სადაა, მიხმე!

### პირიესი

რა საქმე არის?

### ბიტინა

შებოჭე ეგ. რას დარჭობილხარ?

აჲლავე წადი, ჭის ოწინარს მოხსენ ბაწარი.  
მთელი ამ კუთხის სანიმუშოდ და სამახსოვროდ  
ქვალ-რბილი თუ არ გაგისწორო — ქალი არ ვიყო!  
ყველა ფრიგიელს წკებლით უნდა ასწავლო ჭკუა,  
ჩემი ბრალია, რაკი ხალხში გაგრიე, გასტრონი.



და თუ თავიდან თავად შევცდი, ამიერიდან  
შენ ბიტინასგან შებრალებას ნულარ მოელი.  
შენ მოგაქვს თოკი? ჯერ გახადე და ისე შეჰქარ!

გ ა ს ტ რ ო ნ ი

ნუ, ნუ!.. ბიტინა! შენს მუხლებზე ხვევით ვეცემი.

ბ ი ტ ი ნ ა

გაიძვრე-მეთქი, გეუბნები! უნდა გახსოვდეს —  
მონა ხარ ჩემი და სამი მნა მივეცი შენში.  
ის დანავსული დღე დაიქცეს, რა დღიდანაც შენ  
აქ მოგიყვანე, პირიესმა გაქყვიროს ახლა.  
შენ კი გიყურებ, აგვიანებ, მგონი, გათოკვას,  
გადაუბაწრე იდაყვები, შეზოკე ჩქარა.

გ ა ს ტ რ ო ნ ი

დღეს მაპატიე ეს შეცდომა, ერთხელ, ბიტინა!  
კაცი ვარ, შევცდი და თუ კიდეც ამგვარი რამე  
გაემეორე, არ დამინდო, დამდალე მაშინ.

ბ ი ტ ი ნ ა

ეგ მე კი არა, ამფიტაეს შეემუდარე,  
ჩემი სათელი ხალიჩა რომ მის ფერხთქვეშ გდიხარ.

პ ი რ ი ე ს ი

შევთოკე მტკიცედ.

ბ ი ტ ი ნ ა

არ აიშვას, თვალი ადევნე  
და წაათრიე წისქვილისკენ ახლავ ჰერმონთან  
და მოუწოდე, — იქ ათასჯერ დაარტყან ზურგში  
და იმდენივე — კვლავ ათასჯერ მუცელზე დაჰკრან.

გ ა ს ტ რ ო ნ ი

მომკლავ, ბიტინა, და ვერასდროს შეიტყობ მერე —  
მე შენს წინაშე მტყუანი თუ მართალი ვიყავ.

ბ ი ტ ი ნ ა

ჰო, მაგრამ ახლა შენი პირით თავად არა სთქვი:  
„ბიტინა ერთხელ მაპატიე შეცოდებაო“?

## გ ა ს ტ რ ო ნ ი

მეწაღა შენი მრისხანება დამეცხრო მაგით.

### ბ ი ტ ი ნ ა

რას დააჰყიტე ეგ თვალები, აღარ მიდიხართ,  
სადაც გიბრძანეთ? შენ, კიდილა, ცხვირში წკიპურტი  
ურტყი მაგ ბოთეს, შენაც ამათ მიჰყევი, ღრებონ,  
სდიე კვალდაკვალ, პირიესი საითაც წავა.  
შენ, მონა-გოგოვ, მოუტანე ნაჭერი რამე,  
თავის საოხრე სარცხვინელზე რომ მიიფაროს,  
და საფიხვნოზე არ გამოჩნდეს შიშველ-ტიალი.  
შენ კი, პირიეს, გიმეორებ ისევ თავიდან —  
ჰერმონს უთხარი, ამ ადგილას დაჰკრას ათასჯერ,  
ათასჯერ კიდეც იმ ადგილას, ხომ გაიგონე?  
ხოლო ოდნავ თუ გადაუხვევ ბრძანებულს ჩემსას,  
იცოდე, ძველ ვალს გადაგიხდი დიდი სარგებლით.  
ახლა კი წადი და მიკალეს გვერდს ნუ აუვლი, —  
პირდაპირ გასწი. აი, კიდეც... ვერ გავიხსენე...  
ჰეი, გასძახე, მონა-გოგოვ, ჯერ შორს წასულნი  
არ იქნებიან...

### კ ი დ ი ლ ა

ჰეი, პირიეს, წყეულო ხებრევე,  
შენ გეძახიან... გეგონება მკვდარს მიათრევდეს  
უგრძნობელსა და არა თავის მონა-ამხანაგს  
ჰოდა, მიყურე, როგორც ახლა მიათრევე ძალად  
მაგ ბედგაწირულს, ასევე შენ, ვფიცავ, პირიეს,  
ხუთი დღის შემდეგ ორივე თვალით განახავს კიდილა  
ანტიდოროსთან აქეიურ ფეხის ხუნდებში,  
ამას წინათ რომ ათრევდი და კოჭებს გიხეხდა.

### ბ ი ტ ი ნ ა

აქ მოიყვანე ისე, როგორც წავიყვანია, —  
სწორედ ეგრევე გაკოჭილი საგულდაგულოდ  
და კოსისს მიხმეთ, დაღვის ოსტატს, მოვიდეს ჩქარა,  
თან ნემსები და საღებავი წამოიტანოს...

შენ მეყოლები ერთადერთი მე ჭრელი მონა,  
მამ, დაეკიდე ალიკაპით დაოსის დარად.

#### კ ი დ ი ლ ა

ნუ იზამ მაგას, ქალბატონო, გთხოვ, შეიწყალო,  
აგრემც ბატილა ბედნიერი შევა ქმრის სახლში,  
რომ გაიხაროს და ბალები ესევას მკლავებზე.  
გეძუდარები, აპატიო ერთხელ ეს ერთი  
დანაშაული...

#### ბ ი ტ ი ნ ა

ოჰ, კიდილა, არაი ნუ მტანჯავ,  
უმაღ სახლიდან გავიქცევი. ვის ვაპატიო,  
მონათა შორის ყოვლად უგვანს? მაშინ ხომ ყველა  
ზიზლით სახეში მომაფურთხებს — ახიც იქნება.  
ამას არ ვიზამ, ქალღმერთს ვფიცავი რაკი არ უწყის,  
ვინც არის თვითონ და რა კაციც, — მე ვაცოდინებ,  
და შეახსენებს ამას სწორედ შუბლზე წარწერა.

#### კ ი დ ი ლ ა

დღეს ხომ ოცია... გერენიის დღე ახლოვდება.

#### ბ ი ტ ი ნ ა

კარგი, პირადად შენ გპატიობ. ამას უმაღლე!  
მე ეს გოგონა ბატილაზე ნაკლებ არ მიყვარს.  
მე ვზარდე იგი, ჩემს მკლავებზე ვასათუთებდი.  
და რა უამს მკვდართა სულებისთვის დავღვრით ზედაშეს,  
ამ დღეობაზე შენაც მოდი და იღლეობე!

## მ ე ხ ა მ ლ ე

### მ ო ჯ მ ე ლ ი პ ი რ ნ ი

მ ე ტ რ ო

კ ე რ დ ო ნ ი, მ ე ხ ა მ ლ ე.

დ რ ი მ ი ლ ო ს ი და პ ი ს ტ ო ს ი — კერდონის მონები.

მ ე ტ რ ო

შომიყვანია შენთან, კერდონ, ყმაწვილ-ქალები,  
აჩვენე ამათ, რაც კი რამ გაქვს საუკეთესო, —  
შენი საქმე და ნახელავი.

კ ე რ დ ო ნ ი

მ ე ტ რ ო, ამაოდ

როდი მიყვარხარ.

(მიმართავს მონას)

ეპეი, შენ, ქალებისათვის  
გამოიტანე გრძელი სკამი, დრიმილოს, გესმის?  
შე საძაგელო, ისევ გძინავს? პისტოს, მიდი და  
ფერთხე სიფათში, რომ წაუხდეს ძილის გუნება.  
უფრო აჯობებს უთავაზო ლაზათიანი  
კინწი კისერში. დოყლაპიავ, ჩქარა დასძარი  
10 ფეხები, თორემ უფრო ჭკუის დამარიგებელს,  
ვიდრე ეგ იყო, საყვირალად მიიღებ ყისტებს.  
ხეპრევ, ზარმაცო, სკამს რომ ახლა ხეხავ და წმინდავ,  
დამაცა, კარგად გაგიხეხავ მალე უკანალს.  
დაბრძანდი, მეტრო! გამოალე, პისტოს, განჩინა —  
ორკარიანი. ეგ კი არა, აი, ის — ზედა,  
და ყველა — შენი მარჩენალის, ოსტატ კერდონის  
ნაოსტატარი აქ დააწყვე! ძვირფასო მეტრო,  
ნახავ ნახელავს! შენ კი, ხეპრევ, ხამლების ყუთი  
20 გახსენი ფრთხილად. ჯერ ამ წაღებს შეხედე, მეტრო,  
ლანჩა რადა ღირს და ზედ სრული გაწყობილობა!  
თქვენაც, ქალებო, ნახეთ, ცხვირი როგორ კობტად დგას,

ჩარაგად არის მოთასმული, მოგვირისტული,  
 წუნს ვერას დასდებ — ეს ვარგა და ეს არ ვარგაო.  
 ნაბეჯითევი გახლავთ ფაქიზ ხელსაქმეობა-ს.  
 საოცნებოა ტყავის ფერი! — აგრემც პათოსის  
 ქალმბრძანებელმა თქვენ გაამოთ, რაც გეამებათ.  
 თქვენს მადლსა, სადმე გინახიათ ასეთი ფერი?  
 ოქროს სერის თითქოს, ბზინავს, როგორც თაფლის სანთელი-  
 სამი სტატერი მივაშავე ამ ტყავში კანდატს

**30** მე — თვით კერდომმა, — ერთი ფერის მეორე ფერში  
 შესახამებლად. რას იცინით? ვფიცავ ყველაფერს,  
 რაც კი წმინდაა, ქალებო, რომ სიმართლეს ვამბობ,  
 ბეწვისოდენი ტყუილიც კი არ მითქვამს თქვენთვის.  
 დე, ცრუ კერდონმა სიცოცხლეში ვერ იხეიროს,  
 ვერცა შვილებში გაიხაროს! კანდატს მადლობა-  
 კი მოვახსენე. ამჟამად ხომ მეტყავეები  
 სარგებელს დიდსა ვერ ჰპოვებენ, თუმცადა კია  
 ბევრსა წვალობენ, მთელი საქმე ჩვენზე ჰკიდია.  
 ფეხსაცმლის მკერავს დიდზე დიდი ადგია ჯაფა.

**40** დღეა თუ ღამე — სულ ვზივარ და ფიცარს ვაცხელებ.  
 გვიან ღამემდე პირში ლუკმაც კი არ ჩამცდება.  
 დილამდე მღვიძავს; ეგრე ვგონებ, თვით მიკიონის  
 სანთლებს არ ძალუძთ შუქთღვიძილი აგრე ხანგრძლივად.  
 აღარას ვამბობ ოცდაათი მონის რჩენაზე,  
 უმაქნისები რომ არიან ყველანი, ქალნო.  
 დარში, ავდარში ღრითინებენ ერთს და იგივეს:  
 — მოდი, მომეცი! — ღლაპებივით უსაქმოდ ჰყრიან.  
 ზარმაცეულნი უკანალებს ითბობენ მხოლოდ.  
 ხოლო ბაზარში, ნათქვამია, სიტყვას კი არა —

**50** ფულსა აქვს ფასი... იქნებ, მეტრო, ეს მოგეწონოს?  
 აი, ეს წყვილი... დანარჩენსაც მოვატანინებ.  
 ოღონდ მერწმუნეთ, რომ კერდონი ტყუილს არ გეტყვით.  
 პისტოს, სულყველა აქ მოიტა სანდალონები!  
 ყოველნაირად მსურს, ქალებო, გასიამოვნოთ  
 და შინ დაბრუნდეთ ჩემგან ფრიალ კმაყოფილები.  
 დახვთ მრავალფერ ამ ფეხსაცმელს, რა კობტებია...  
 სიკიონია... ნოსიდები, ამბრაკიდია, —  
 თუთიყუშისფერს ხედავ?... აჰა, აი ეს ქლადაც...

ეს იონიკი... აჰა, ესეც სალამურები...  
60 ეს კიბოსფერა... ესეც ხამლი არგეიული...  
ეს მეწამული... ეს „ფებები“... ესეც — ნავ-ცხვირა...  
ვისაც როგორი გირჩევნიათ, ამოირჩიეთ.  
მოგეხსენებათ, ტყავს ძაღლებიც ეტანებიან.

### მ ე ტ რ ო

რამდენს თხოულობ ამ წყვილულ ფეხსაცმელებში —  
სულ პირველად რომ მოიტანე? ნუ იხმამაღლებ,  
მაგვარი ქცევით დაგვაფრთხობ და გაგვაქცევ მხოლოდ.

### კ ე რ დ ო ნ ი

თუ გინდა, თავად შეაფასე ეგ ფეხსაცმელი,  
რა საფასურსაც იმსახურებს, ის ფასი დასდე.  
მე კი, იცოდე, არაფერში არ გეცრუები.  
70 თუ დააფასებთ თქვენ მეხამლის უტყუარ საქმეს —  
ჩემს ნაცარივით გადაფერფლილ საფეთქელს ვფიცავ,  
სადაც მელიამ რა ხანია დაკვალა სორო,  
რომ საყველპუროდ გადმომიგდებთ, ალბათ, რაიმეს.  
მომგებ ჰერმესს და მარწმუნებელ ქალღმერთს პეითოსს  
ვთხოვ, — რაკი ახლა ჩემს ბადეში არ ხვდება თევზი, —  
მირჩიონ, ეგებ, ჩემთვის სჯობდეს, ქოთანს მივხედო.

### მ ე ტ რ ო

ნეტავი ერთი რას ბურტყუნებ, გამაგებიანე,  
შენს ფეხსაცმელებს თავად ხომ არ ყიდულობ, ნეტა?

### კ ე რ დ ო ნ ი

ერთი მნა არის ნაღდი ფასი ამ ფეხსაცმელების,  
80 ჰა, ქალო, გინდა ზე-იყურე, გინდა ქვეერელე.  
თვით ათენაც რომ ყოფილიყო ჩემი მუშტარი,  
დამერწმუნენით, იმასაც გროშს არ დავუკლებდო.

### მ ე ტ რ ო

ამიტომაა შენი სახლი გამოვსებული  
აურაცხელი ნივთებით და სიკეთით, კერდონ!  
ყველა ესენი საგანგებოდ შემოინახე.  
როცა დადგება ოცი რიცხვი ტავრეონისა,

იმ დღეს ჰეკატე ქორწილს მართავს და არტაკენე,  
გამოგადგება საიმდღეოდ ფეხსაცმელები.  
შე უბედურო, ბედი მალე შენსკენ იქნება,  
უეჭველია... ამოკერე ოლონდ ტოპარა,  
90 რომ მტაცებლებმა არ აგწაპნონ რამდენიმე მნა.

### კ ე რ დ ო ნ ი

გინდა ჰეკატე მოვიდეს და გინდ არტაკენე,  
არ იყიდიან მნაზე ნაკლებ, თუ არა — ნახავ!

### მ ე ტ რ ო

ეგებ, გარგუნოს ბედმა, კერდონ, შეეხო ფეხებს,  
ხშირად ეროსი რომ ეხება და უინის ღმერთი-  
ვნების წადილით? შე მურტალო და ქეცინაო!  
ჩვენ აქ ტყავს გვაძრობ უსაშველოდ, იმას კი, ალბათ,  
უშელავათებ. ეს კი... რა ღირს ეს წყვილეული?  
რალას უყურებ, ამოღერღე ბარემლა სიტყვა —  
ჩვეული შენთვის.

### კ ე რ დ ო ნ ი

- ვფიცავ ღმერთებს, ჩემთან ყოველდღე  
100 დაიარება ევეტერი და მე მთავაზობს  
ხუთ სტატერს მაგ წყვილ ფეხსაცმელში, მაგრამ მძულს იგი  
ოთხი დარიკიც რომ მიბოძოს ფეხსაცმელებში, —  
რადგანაც ჩემს ცოლს სასაცილოდ იგდებს ნიადაგ  
უშვერ სიტყვებით... შენ კი რაცა გსურს, აირჩიე.  
აი, ამ წყვილში გამოგართმევ სამიოდ დარიკს,  
'შვიდ დარიკად კი აი, ამ წყვილ სანდალონს მოგცემ.  
ეს... მეტროს ხათრით. ეპ, ნულარას მეტყვიით, ქალებო,  
თუმცა ქვასავით მაგარი ვარ, გაუტეხელი,  
თქვენი სიტურფით მოხიბლული ღმერთებთან დავფრენ.  
110 ეგ ბაგეები კი არა და — ტკობის წყაროა.  
იმ კაცს ღმერთივით არაფერი აღარ აკლია,  
ვისაც შენ უწვდი მაგ ბაგეებს დლითა და ღამით.  
მოიტა შენი ქორფა ფეხი, აი, აქ დადე!  
შენი სარგოა — არცა მეტი, არცა ნაკლები.  
რაც ღამაზია, ყოველივე შევნით ღამაზებს.  
აგრე იფიქრებ, თვით ათენას გამოქრილია

უზადო ლანჩა. აბა, ჩქარა მომეცი ფეხი.

შეკრული ძირი თითქოს ხარის დატკეპნილია.

ვისი, როგორიც უნდა იყოს ნაოსტატარი,

120 დამერწმუნენით, დავიფიცებ კერლონის კერას,  
ასეთი კოხტა კვარახჭინი ვერ იქნებოდა.

შენ კი შეიღ დარიკს ამა წყვილში მაძლევ თუ არა —

ემანდ კარებთან რომ ჭიხვინებ ფაშატ კვიცივით?

ქალიბო, კიდევ სხვა რაიმეც თუ დაგჭირდებათ —

სანდალონები, საშინაო წულა-ხამლები,

შემატყობინეთ თქვენი მონის პირით უთუოდ.

ხოლო შენ, მეტრო, ცხრა რიცხვისთვის შემოიარე,

მაშინ მიიღებ „კიბოსფერას“, გამოგვადგება

ტყავ-საგებელიც მათბობელა, იცი რისთვისაც!



## ქალაქ რომისადმი

რომო, ასულო არესისა, იყავ ბედნიერ!

ლამაზო ქალაქ-ქალბატონო, გვირგვინდარქმულო,  
კურთხეულ მიწის ძირ-უძვრელზე ამაყად დგეხარ  
ქებათა-ქებათ ოლიმპიისა.

პატივურმესო, შენ გიბოძა მოირამ ოდენ  
ძვირფასი ჯილდო მარადისი ხელმწიფებისა.

კურთხეულ იყოს შენი დიდი საბრძანებელი  
და მბრძანებელიც იყავ მარადის!

შენ დაუდრიკე უღლით ქედი შორეულ ქვეყნებს,  
ფერხთქვეშ გაგრთხმია ხმელეთი და გრიალა ზღვები,  
სახელმწიფოებს მესაჭეობ, როგორც ხომალდებს  
და შენი გზებით მიაქარავნებ.

უდედოფლესობ თვალუწიერ სივრცეზე, დროზე,  
შენ უცვლი ყოფას ყველას, ყოველს — თავად უცვლელი,  
გამარჯვებათა შენთა გზებზე ფრიალებს მარად  
უცვეთი აფრა.

დედათა შორის შენ უმეტესს ჰბადებ, დედაო,  
მეომარ ვაჟკაცთ, შუბისა და ბრძოლის ხელოვანთ.  
როგორც დემეტრე დედა-ღმერთი ნაყოფიერი, —  
მონაყოფებ გმირთა მოსავალს.

\* \* \*

ვის ვუსახსოვრებ ჩემს ახალ წიგნაკს  
პირგადატკეპნილს პეშის ქვისაგან?  
შენ, კორნელიუს, შენ, რომელიც ჩემს ნაცოდვილარს  
ფასს სდებდი რასმე ჯერ კიდევ მაშინ,  
როცა პირველმა იტალიაში  
ხალხთა უამგრძელი ისტორია სამ წიგნში ჩასდე,  
მაგ დიდი ღვაწლის მოწამეა იუპიტერი.  
მიიღე ჩემგან ძღვენი ესე, კნინმცირე რამე;  
შენ კი, მფარველო ქალწულო ჩემო,  
მას დაულოცე ორი მოდგმის სიცოცხლე მაინც.

\* \* \*

აგერ ხომალდი, თქვენს წინაშე ეულად მდგარი,  
ამბობს — ხომალდთა უსწრაფესი ვიყავო ერთდროს,  
ხოფების მწკრივით მეწინავედ მივისწრაფვოდი,  
თუ ქარკეთილში ზღვად ვვიდოდი სელის აფრებით, —  
ყველგან, ყოველთვის ვიყავო წინამაგალი.  
ამის მოწმეა მოქუფრული ადრიატიკი  
და კუნძულები, გაბნეულნი ციკლადის წყლებში,  
ტურფა როდოსი თუ თრაკიის შმაგი ნაპირნი,  
ნავმიუდგამი პონტოს უბე და პროპონტიდა.  
აწ მიგდებული ეს ხომალდი მწვანე ტყე იყო,  
იგი კვიტორის მაღალ მთაზე ლაღად ჯარობდა  
და შრიალებდა ქარდაკრული ხშირფოთლოვანი.  
კვიტორის ბზების ბურქნარებო, ამასტრის თხემო,  
თქვენ ყოველივეს მოსწრებიხართ და გახსოვთ კარგად  
გახსოვთ ხომალდი, გაჩენილი თქვენს ნაკაფებში,  
ოდეს პირველად აჩქაფუნდნენ ხოფები წყალში .

და თქვენი მაღალკბოდოვანი ნაპირებიდან  
თქვენმა ხომალდმა გაიყვანა ზღვაში პატრონი.  
ქიშსა და კიჩოს გამეტებით ელეწებოდნენ  
შმაგი ქარები, ხან მოწყალე იუპიტერი  
ორთავე აფრას სასიკეთოდ უშლიდა ქარში,  
'ხმელეთის ღმერთებს არ უხმობდა იგი საშველად.  
შაგრამ წარვიდა მერმე ხანა მქუხარე ზღვების  
და საბოლოოდ მყუდრო ტბაში დაიდო ვანი.  
ეს იყო ძველად... ახლა მარტოდ ბერდება, ცვდება  
აქ, სანაპიროს სიწყნარეში თქვენი ხომალდი,  
ეჰ, ძმის კასტორის ტყუპისცალო და ძმავ კასტორ!

\* \* \*

ლესბია, მკითხავ, ბოლოსდაბოლოს,  
რამდენი კოცნა დამაცხრობს შენი?  
რამდენიც არის კირენეში ლიბიის სილა,  
ქად სამკურნალო ფისოვანი ხარობენ ხენი,  
სადაც ამონის ორაკული იწვება მზეში  
და სად ბატოსის საკრალური ჰგიეს საფლავი;  
ანდა — რამდენი ვარსკვლავიც დასცქერს  
ღამის სიყვარულს, წყვილთა ნაქურდალს;  
იმდენი კოცნით კატულუსი დაცხრება შენი  
და იმდენითვე აერევა ჩვენი მსტოვარის  
თვალს — სათვალი და ენასა — ჭორი.

\* \* \*

ჩემო ფურიუს და ავრელიუს,  
მზად ხართ შორეულ ინდოეთშიც გაჰყვეთ კატულუსს,  
აღმოსავლეთის დიდი ზღვები სადაც გუგუნით  
არყევენ ნაპირთ;  
გინდ პირკანებში, გინდ არაბთა ვრცელ სამდიდრეთში,  
ჯინდ საგებისა თუ მშვილდოსან პართელთა მხარეს

და სად ნილოსის შვიდ ენაზე ამოქარგული.

ნაპირებია;

თუნდ ქარაფებით მივყვებოდე ზემალაღ ალპებს,

სადაც ქებულმა კეისარმა აღიგო ძეგლი,

გალთა რეინის პირად ვიყო თუ ბრიტანეთის

საშიშარ ზღვებში,

ეგ სულერთია, თქვენ ჩემთან ხართ, გაიზიარებთ

ყოველი ჯურის ძნელბედობას ჩემსას ყოველთვის,

მაგრამ ერთსა გთხოვთ, გადაეციოთ ჩემს სატრფოს მხოლოდ

ეს მწარე ღიტიყვა:

— დაე, ჰქონდეს მას კუროების გაძღების ჯანი,

დე, თითო ჯერზე მან იგემოს სამას-სამასი,

ვისაც არავინ არ უყვარს, მაგრამ

სუყველას თირკმელს დააყრევინებს.

აწუ ჩემს სიყვარულს იგი უკან ნუ მოუხედავს,

მან გული ჩემი ამოგლიჯა გულის ბუდიდან,

რომელიც ჰქნება, ვით ყვავილი, გუთნით გადახნულ

ხოდაბუნებში.

\* \* \*

მარუცინელო ასინიუს, შენი მარცხენა

როდი ირჯება სასიკეთოდ ლხენა-თამაშში,

როცა მიცოცავს ხილაბანდის ასაწაპნავად.

შენ ეგ ხუმრობა თუ გგონია, — ბრიყვი ვინმე ხარ!

ჭუჭყიანია თავგასული შენი თამაში.

ჩემი არ გჯერა? დაუჯერე შენს ძმას პოლიონს.

გამოისყიდდა შენს ქურდობას სიამოვნებით

ის ტალენტუმით უძვირესით, რამეთუ თავად

კეთილზრდილია და ხუმრობაც იცის, რა არის.

თუ გასურს, რომ ყელზე არ დაგადგეს ჩემი იამბის

შეკახე მარცვლები, — დამიბრუნე ეგ ხილაბანდი.

ჩემთვის სიძვირე — სიიაფით არ ფასობს იგი,

არამედ ძვირფას მეგობართა ნახელავია.

ქსოვილი ეგე სეტაბური იბერიიდან  
მე ფაბულუსმა მომართვა და ვერანიუსმა.  
და მეც იმათი საჩუქარი მიყვარს ისე, ვით  
ვერანიუსი მიყვარს თავად და ფაბულუსი.

• • •

ვიცხოვროთ, ლესბია, ერთმანეთის სიყვარულითა  
დე, იბუზლუნონ ბებრებმა, რას ვაქნევთ მათ ლულლუსს? —  
იგი ჩვენთვის ერთ გახვრეტილ გროშად არა ღირს.  
აღმოვლენ და ჩავლენ ვარსკვლავნი...  
რაქამს მოკლე დღე ჩაიბუტება —  
ქამ-გრძელ ღამეში მოგვიწევს ძილი.  
მოძაგე კოცნა ათასობით და კიდევ ასჯერ,  
კვლავ ასობით და კვლავ ათასჯერ,  
რომ ვერ გაიგოს მჭორავმა ჩვენმა —  
რამდენჯერაც ჩვენ ერთმანეთს ამბორი ვყავით.

• • •

სამხრეთის ქარში მე არ მიდგას ჩემი სახლავი,  
ჩემო ფურიუს, არც დასავლის ქარი ფაონი  
აურევებს მას, არც აღმოსავლის აფელიოტი,  
არც ჩრდილოეთის ბორეასი არ ეშუქრება.  
გაყიდულია ის თხუთმეტი ათას ორასად, —  
აი, ქარ-ქვეტი, ქარგრიგალი მისი მრყეველი

• • •

მსახურო ბიჭო, ამივსე თასი  
ძველი ფალერნის ძირმწარა ღვინითი  
ასეთი არის პასტუშიას ნება — ქალისა,  
ვინაც მთვრალია, ვით ყურძნის კურკა.

შენ კი, უგნურო, წყალი, ღვინის გამწყალებელი  
მომაშორე და შეუერთდი შენს გულქვა ფხიზლებს.  
დე, მე აღვივსო დიონისეს ღვთიური სისხლით.

• • •

ო, სირმიონო, მარგალიტო გამორჩეულო  
ნახევარ-კუნძულთ და კუნძულთა მირიადიდან,  
რომელთ ზღვა-ტბებში ფლობს მეუფე მათი — ნებტუნუს.  
გული მევესება სიხარულით კვლავ შენს მომხილველს,  
არ მჯერა, ისევ თუ აქა, ვარ, ოდეს თინიის  
და ზითინიის ჭალაკები უკან დავტოვე.  
როგორ მომინდა უცხოობის გზებზე დაღლილმა  
ყარბის ტვირთი მომქანცველი მოვიხსნა მძიმე,  
მშობლიურ სახლში შემოვიდე მსუბუქი გულით  
და შენს წიაღში ეპოვო სულის ჩემის სავანე.  
აღბათ, ეს 'არის ჭილდო ჩემი ყველა ტანჯვისთვის.  
სალამი ტურფა სირმიონო, სალმითამც დამხვდის  
სიცილის ტალღა დასძარ ჩემსკენ, ლიდიის ტბაო,  
იცინე სახლო, რა სიცილსაც გაუძლებს ჭერის

• • •

ეგნატიუსი თეთრ კბილების გამოსაჩენად  
იცინის მუდამ. ვთქვათ, სასამართლო  
აღგენს განაჩენს და ხალხი ტირის,  
იგი იცინის. აგერ, დედა დასტირის საფლავს  
ღედისერთისას, ის კი იცინის.  
ჩავინდ — რა იყოს, სად რა იყოს, როგორც რა იყოს,  
იცინის იგი. ვერ ვიტყვოდი, მართალი გითხრათ,  
რომ ამგვარი რამ ზრდილი კაცის ღირსება გახლდეთ.  
აი, რას გეტყვი, ეგნატიუს, ჩემო ძმობილო,  
რომაელი ხარ, საბინელი თუ ტიბურელი,  
ვინმე მეძებვე უმბრელი თუ სქელი ეტრუსკი,

იუ დანუველი შავგვრემანი თეთრი კბილებით,  
გინდ ტრანსპადანი, ნატამალი ჩემი მხარისა,  
ვისაც სჩვევია უსაშველოდ კბილების ხეხვა,  
შენ ყველაფერზე კბილის კრეჭა მაინც არ გმართებს, —  
უგვან სიცილზე სასაცილო არა არის რა.  
მაგრამ შენა ხარ კელტიბერი, კელტიბერიის  
ქვეყანაში კი ირეცხენ კბილებს  
საკუთარ შარდით და ღრძილებშიც დიდხანს ივლებენ.  
რაკი მათ შორის უთეთრესი შენ გაქვს კბილები,  
ცხადია, შარდიც უმეტესი მიგირომევი.

\* \* \*

სალამი, გოგოვ, ბარაქიან ცხვირის პატრონო.  
გულს არ ახარებ თეთრი ფეხით, შავი თვალებით,  
არც ჩამოქნილი თითებით და არც სახის ხიბლით,  
არცა საამო ენისწყალობით გვესატრფოები,  
გარნა სატრფო ხარ ფორმიელი არამზადისა.  
და შენ დაგსახა ხალხის ენამ ტურფა ქმნილბაღ?  
და ჩვენს ლესბიას შენ გადარებენ?  
ვაი, შენ, ჩვენო საუკუნევ, ცეტო, უნიკოვ!

\* \* \*

როცა დღე-გრილი ბუნიობის ყაჰს  
საგაზაფხულო, მოალერსე ცხრება ზეფირი,  
სტოვებ, კატულუს, ფრიგიის ველებს  
და ნაყოფიერ ხოდაბუნებს ცხელი ნიკეის.  
ძალე ვიხილავთ ჩვენ აზიის დიდებულ ქალაქთ!  
სული წინ გვისწრებს და ფეხებიც გვიხტიან უკვე,  
გულს ენატრება უცხოეთის გზებზე ნავარდი.  
და ჰა, მივდივართ, მშვიდობით, ძმებო!  
თუმცა ყველანი ჩვენ შინიდან ერთად გავედით,  
შინ დაგვაბრუნებს, ალბათ, ყველას სხვადასხვა გზები.

შენ რომულუსის შვილთა 'შორის' უპირველესობ,  
 მარკუს ტულიუს,  
 ოქროპირო ყველა დროისა.  
 თავს დაბლა გიხრის მოკრძალებით შენ კატულუსი,  
 თავად უჩინო პოეტთა შორის,  
 პოეტთა შორის ისე უჩინო,  
 ვითარცა შენ ხარ უჩინესი ორატორთ შორის.

\* \* \*

მოცილილ წუთებში, ლუცინიუს, გუშინ მე და შენ  
 ერთურთს ვართობდით ჩვენი დაფებით  
 და საუბარი ჩვენი მეტად საამო იყო.  
 ვეჭიბრებოდით კუპლეტებში ერთიმეორეს  
 და ვიგონებდით სახუმარო ახალ საზომებს.  
 ერთურთს ვაწვდიდით თასით ღვინოს, ხუმრობით კაზმულს.  
 როცა დაგცილდი, ლუცინიუს, მე ვიყავ სავსე  
 შენი 'სიცილით, სიკვიმატით და სილაზათით.  
 არ გამიფანტა შენზე ფიქრი ტკბილმა ვახშამმაც,  
 არ მომეკარა მთელი ღამე თვალებზე რული.  
 აიშვა გულმა სრულად ღამე  
 და მოუთმენლად განთიადის ნათელს ველოდი,  
 რომ კვლავ ნათელი საუბარი მესმინა შენი.  
 ბოლოს კი, როცა ჩემი სხეული,  
 ჩამოცვეთილი უძილობით, მივუგდე საწოლს,  
 ეს ღამეული სტრიქონები მე შევეთხზე, რათა  
 გულისყურს შენსას გაეგონა ჩემი გულისხმა.  
 გთხოვ, სიამაყით ნუ შემუხსრავ ჩემს მოკრძალებას,  
 დამცინავ თვალებს ნუ დაადგამ ჩემს გულმორცხვობას,  
 რომ არ დაგსაჯოს ამისათვის 'შენ ნემესიდამ, —  
 მოსარიდია შურისგების მკაცრი ქალღმერთი.



\* \* \*

რაღას აყოვნებ სიკვდილს, კატულუს?  
მაღალ ტახტზე ზის ნონიუსი ყრუ და დამპალი,  
ცრუ-კონსული და ვიგინდარა ვიტანიისა...  
რაღას აყოვნებ სიკვდილს, კატულუს?

\* \* \*

თუ ძნელი საქმე არ არის შენთვის,  
გვითხარი, სად ხარ, გვაცოდინე შენი საფარი.  
ბევრი გეძებე მცირე ჭალაში,  
ცირკში, წიგნების მალაზიებში,  
იუპიტერის წმიდა ტაძარში.  
დიდ პომპეუსის ხეივანში გზად ვაჩერებდი  
შე ყველა გოგოს, სრულებით რომ არას ჰკვირობდნენ.  
ბოლოს შევეძახე აღშფოთებულმა:  
ჰე, დამიბრუნეთ, თქვე კახპებო, კამერიუსი!  
ერთმა სიცილით მომიშვირა მკერდი და მითხრა:  
— აქ მყავსო იგი დამალული, ჩემს ძუძუებში.  
ვატყობ, ეს საქმე ჯათაა თვით ჰერკულესისთვის.  
ბოლოსდაბოლოს, გვითხარ, სად ხარ, რად უფრთხი მოყვასს?  
ან სად აპირებ მერმისთვის ყოფნას.  
გვითხარ, გამოდი დღის სინათლეზე.  
იქნება გოგომ დაგიმონა რძესავით თეთრმა?  
და თუ მაგ ამბავს, ამოდ სათხრობს, უკრძალავ ენას,  
მაშინ უკრძალავ სიხარულსაც შენს გულს, რამეთუ  
სიტყვა საამო სამიჯნურო ახარებს ვენუსს.

\* \* \*

ორი რჯულდალი არამზადა მეგობრობს ერთურთს, —  
ხვადი მამურა შესძმობია ვაყა კეისარს.  
თუმცა რა გვიკვირს, მათ ხომ ორთავეს  
ძველი რომის და ფორმიანას ჭუჭყის სუნი სდით,

გარყვნილებაში ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს,  
ორივე ერთი სნეულების საწოლზე წვანან,  
ორივეს ერთი ბილწი სისხლი აქვს,  
ორივეს ერთი ტახტი უდგას სამრუშებელი,  
ორივეს ერთი მრუში უწევთ იმავე ტახტზე.  
ორი რჯულძალდი არამზადა მეგობრობს ერთურთს.

\* \* \*

ლიბიის მთების ძუ ლომი ხომ არ ხარ პირმეხი,  
აწ მგრგვინავ სცილას პირშავ საშოს რომ უშვიხარ  
კლდედ და ქვაგულად?  
მაშ, ჩემი გულის წუხილს და ლოცვას  
ყურს რად უყრუებ?

\* \* \*

ნუ გიკვირს, რუფუს, თუ არცერთ ასულს  
არა სურს შენი სიყვარული, შენი ალერსი,  
ვერც იშვიათი ძვირი კაბით დაიყოლიებ,  
ვერცა ძვირფასი მარგალიტებით.  
უსიამოვნო ხმა დადის შენზე, —  
იღლიების ქვეშ გარეული ვაცი უყარსო.  
დიახ, გარეულ ნადირის სუნს გაურბის ყველა  
და შენც რად გიკვირს, თუ გოგონა ვაცთან არ წვება.  
როცა ატაკებ შენს სიმყრალეს სუყველას ცხვირში.  
ახ ის ნუ გიკვირს, რომ გარბიან, ან მყრალი ნუ ხარ.

\* \* \*

მე სატრფო ჩემი მეუბნება — არ მივთხოვდები  
არვისო შენს მეტს, რომ მითხოვოს იუპიტერმაც,  
ამას კი ამბობს, მაგრამ რასაც ამბობს ტრფობის უამს  
ყოველი ქალი, — იწერება ქარზე და წყალზე.

• • •

ნუ გაქვს იმედი, მოიპოვო მეგობრის გული,  
უსათნოესი სიყვარულის ჭილდოს ნუ ელი.  
აქ, სიკეთის ხე უნაყოფოდ არის დარგული,  
აქ, გულქვაობა სიყვარულის არის მგმობარი.  
ასე ვარ შეცა, — პირველ მტრად და მტარვალად მექცა,  
ვისი პირველი ძმა ვიყავი და მეგობარი.

• • •

რუფუს, იაფი მეგობრობა გქონია ჩემთან,  
იაფიც არა, რადგან მე ეს ძვირად დამიჯდა.  
შემომეპარე შინ ქურდივით და მთლად გამძარცვე  
და სატრფო-ქალა წამგვარე ჩემი.  
წამგვარე, ვაგლახ! მეგობრობის ზეენის სამსალავ,  
ვაგლახ, ქურდო და მესაფლავევ ჩვენი ტრფობისა!

• • •

!

კვინტიუს, თუ გსურს მე მაჩუქო ჩინი თვალისა  
ან სხვა რაიმე თვალის ჩინზე უფრო საჩინო, —  
უპირველესად ნუ წამართმევ შენ ჩემს თვალის ჩინს  
და მას, რაც მიჩანს თვალის ჩინზე უფრო საჩინოდ.

• • •

ლესბია მკიცხავს და მიწასთან მასწორებს ქმართან,  
ეს კი ახარებს იმ ვირს და ოყრაცს.  
რამ გაგაბრიყვა, ბრიყვო აგრე! რომ არ ვახსოვდე  
შენს ცოლს, მაშინ რად გამიხსენებდა  
თუნდაც ასეთი გაცხარებით და გამწარებით.  
ლესბია მწარობს ჩემზე, რადგან ვუყვარვარ მწარედ!

\* \* \*

საყვარლის მარად მღუმარ სამარეს,  
ო, ჩემო კალვუს,  
თუ ძალუძს ჩვენთა ტკივილთა განცდა,  
როს ძველ სიყვარულს ჩვენს გულებში ანახლებს ისევ  
საყვარლის გლოვა,  
აღარ იღონებს კვინტილია მაშინ ნაადრევ  
სიკვდილით, რადგან შენი ტრფობა აცოცხლებს იქაც.

\* \* \*

ბევრი ქვეყნები გამოვვლე და ბევრი წყალ-ზღვები,  
რომ დავმდგარიყავ შენს მწუხრეულ საფლავის პირად  
და შენგან შეთენილ ოდენ ფერფლსა გავვუბრებოდი.  
შენ წარგიტანა შენმა ბედმა უცხო მხარეში  
და ვაი, ძმაო, სატანჯველად დაგტოვა ჩემთვის.  
აწ შეიწირე ძმისეული შესაწირავი,  
წინაპართაგან დაღვნილი სულის საწესოდ.  
მშვიდობით მარად, აჰა, ჩემი ცრემლთა ზედაშე,  
და აჰა, ჩემი სალამიც და მშვიდობაც, ძმაო!

\* \* \*

როდისმე თუკი განდობიზარ იმედიანად  
მეგობარს ნდობით, არ გიგრძენია გამხელის შიში,  
მეც, კორნელიუს, შეგიძლია მენდო მთლიანად,  
მე ვარ მეორე ჰარპოკრატე სანდო ღუმელში.

\* \* \*

ათ სესტერციუმს, ჩემო სოლონ, თუ დამიბრუნებ,  
შევურიგდები იმას, რაც ხარ — ნეხვი და ხეპრე,  
არ დამიბრუნებ? — მაჰანკლობა რომც მიატოვო,  
გეტყვი, — ხარ მაინც მაჰანკალი — ნეხვი და ხეპრე.

\* \* \*

გეგონა, ნუთუ რაღამე ბილწად შეურაცხყოფდი,  
ვინც სიცოცხლის და ორთავ თვალთა უმეტეს მიჩანს?  
მე ასე წყვეულს ვერ შევძლებდი მაშინ სიყვარულს...  
შენ კი ტაპოსთან რა ოხრობას სჩადი, ვინ უწყის.

\* \* \*

ოდეს სურვილი უიმედო კვლავ აგზიდება,  
ამ ბედკეთილი ჟამისათვის ლოცულობს სული.  
კურთხეულ იყავ, ოქროს დღეო, შენდა დიდება,  
რომ დამიბრუნე სატრფო ასული!  
ლესბია ისევ ჩემთან არის!.. ნატერა აღსრულდა.  
სიცოცხლე იმეც ვარდისფერად არის ნათერი!  
სწავი რა ვიფხოვო: ამა ქვეყნად არის. რაც მსურდა,  
აღარ მაკლია აღარაფერი.

\* \*

თუ, კომინიუს, განაჩენი აღსრულდა ხალხის,  
აღესრულება ნაბიჭვრული შენი სიცოცხლეს.  
ძერების წერად ყანყრაოდან ამოგახლეჩენ  
ე-მაგ მყრალ ენას, რითაც მტრობდი თავისუფლებას;  
ბოროტ თვალეზსაც წამოგიტხრის შავი ყორანი,  
გულზე, შიგანზე დაგაძლება ძალი და მგელი.

\* \* \*

ძვირფასო ჩემო!

ბედი ჰქონდესო ჩვენს სიყვარულს, — შენ მითხარ ასე, —  
მარად ერთგულნი ჩვენ ლალატის უვიცნი ვიყოთ.  
ღიადნო ღმერთნო!

9. ანტიკური ლირიკა

ქ თქვენიმც ნებით არა სტყუოდეს!  
სატრფოს ეს სიტყვა სულის წმიდა ნაკადიდან  
შობილი იყოს!

და მშვიდი წლები სავალ გზებზე გვირგვინენ ვარდებს...  
და სიყვარულის ჩვენის ჯაჭვი უცვეთი იყოს!

\* \* \*

ფირმანის ტყეში მამული აქვს მენტულას დიდი.  
ნაღირ-ფრინველი, წყლებში თევზი, ხოდაბუნები...  
არაფერი აქვს სანატრელი, ყველაფერი აქვს,  
ყველაფერი აქვს, არაფერი არა აქვს მაინც.  
ფული აქვს, — გროში არ უჭყავიზ დასახარჯავად,  
სახლი აქვს, — მაინც უსახლკარო მათხოვარია.

\* \* \*

გუშინ კრებაზე გამაცინა ჩემმა კალეუსმა,  
როცა სიტყვების დააყენა კორიანტელი  
და ვიტანიის ყველა ცოდვებს ბღღვირი აღინა.  
ვიღაცამ მისკენ ხელგაშეფერით წამოიძახა:  
— „აი, ხიტყვებით გაჭაჭული პატარა კაცი!“

\* \* \*

ვერავინა თქვას ქალთა შორის ის სიყვარული,  
რა სიყვარულიც მე შენდამი მქონდა, ლესბია;  
ვერავინა თქვას სიყვარულში ის ერთგულება,  
რა ერთგულებაც მე შენდამი მქონდა, ლესბია.

\* \* \*

რა ავბედობით, ბრიყვო რავედუს,  
ჩემი იამბოს ბადეში მოხვდი?  
რომელმა ღმერთმა შეგრისხა ასე,  
რომ გაგიმეტა ჩემთან ბრძოლისთვის?  
გინდა რომ ბრბოის ყბაში ჩავარდე?  
სახელი გინდა? და სულერთია  
როგორი? მაშინ მიაღწევე, რადგან  
ვაბედე ჩემი სატრფოს ხელყოფა.

\* \* \*

კვინტია ძალზედ ლამაზია, თეთრი, ძაღალი.  
მისი სხეულის ყოველ ნაწილს უკლებლივ ვაქებ,  
ზაგრამ ის მხოლოდ ლამაზია  
და არ სცხია ეშხის მარილი.  
ახვია ლესბია,  
მასში შეთხზულა ყველა ქალის სიტურფე სრულად.

გენანათისაღმი

შენ შესვამ ჩემთან საბინურ ღვინოს  
 უბრალო თასით. ამოდ როდი  
 შევაზავე ის ჩემს სურაში  
 იმ დღეს, როდესაც მთელი ხალხი თეატრში ფეხზე  
 შენ წამოგიდგა, შეცენატო, და ვატიკანის  
 კბოდეებიდან შენს მშობლიურ ტიბროსს დაეცა  
 ექო ტაშისა.  
 ალალი იყოს შენზე, ძმაო, ცეკუბძს ღვინო,  
 კალესის ტკბილი მტევნების წვენი,  
 ჩემი თასი კი აგრერივად როდი ივსება  
 ფალერნუმის და ფორმიის ღვინით.

ნუ ეძიები იმა ცოდნას, რაიც არა ხაძს  
 ჩემდა და შენდა,  
 ნურც იმას მკითხავ, ლევკონოე, რა ბოლო გველის,  
 ნურც ბაბილონის  
 ითვლი შენ დაფებს, ი'ევე ის სჯობს — რაგინდ-რა იყოს. —  
 ნოთმენით შეეხვდეთ:  
 ან ზამთარს კვლავაც ბევრს მოგვივლენს იუპიტერი,  
 ან ეს ბოლოა, —  
 ახლა კლდეებზე მიჯეჯგვებით ქანცი უწყდება  
 მშფოთვარე ტალღებს  
 ტირენიისა. იყავ ბრძენი, დაასხი ღვინო,  
 შორი იმედის  
 გზა მოკლედ მოსჭერ, სანამ ვმსჯელობთ — შურისმგებელი  
 დრო უკვე მიჰქრის.  
 დღეს ჩააფრინდი და უსახო ხვალის იმედი  
 ნაკლებად გქონდეს.



## ქებლი

ქებლი ავიგე ბრინჯაოზე უფრო დროგამძლე,  
უფრო მეფური, ვიდრე არის პირამიდები.  
მას ვერ დაარღვევს ვერც წვიმები, ვერც აკვილონის  
გრიგალი დასცემს, ვერცა სრბოლა უთვალავ წლების  
დააკლებს რასმე, — დრო ვერ წარჩოცს ყოვლის წარმხოცი:  
მთლად არ მოვკვდები, უმეტესი ნაწილი ჩემი  
გადაურჩება ლიბიტიანას და თაობები  
უქცნობ დიდებას განმეგრტობენ, — კაპიტოლიუმს  
ქალწულთან ერთად ზეაჰყვება ვიდრე ქურუმი.  
იტყვიან ჩემზე — ზად მოჰქუხსო აუფიდუსი  
და სად დაენუსი წყალღარიბი მეუფებდაო  
ველურ ტომებზე — აღზევდაო არარაძსგან, —  
ვინაც პირველად გარდასთქვაო იტალიურად  
ეოლთ სიმღერა. სიამაყით მიიღე ჩემგან  
შენივე ჭილდო, მეღბოშენე, და ჩემს თავს დაფნის  
გულმოწყალებით დელფოსური დასდგი გვარგვინი.

\* \* \*

მიიხარ ლიდია,  
ყველა ღმერთებს გაფიცებ, რისთვის  
ღუბავ სიბარისს შენი წყურვილით?  
რად მოიძულა მან არენა  
და ველარ იამენს სიცხის მტვერს და ბულს?  
ტოლებთან რად არ თავმოშწონებო —  
ადრე უცვეთი აღვირედით რომ აურვებდა  
გალიურ ცხენებს?  
ახლა რად აფრთხოვს მას ტიბროსის ყვითელი ტალღა?  
ზიზღით რად აღარ ეკარება  
იგი ზეთისხილს, როგორც გველის შხამს?  
ჰვლავინდებურად  
რად აღარ სტყორცნის ჩუბინად დისკოს?  
ის იმალება,

როგორც ოდესმე თეტიისის ვაჟი ქალის კაბოსქვეშ,  
რომ არ მოეკლათ  
განწირული ტროის ბრძოლის ქაშს ლიკიელთ ჯარში?

**ლიდიასადმი (საუბარი ლიდიასთან)**

პოეტი

ტიდრე საამო ვიყავი შენთვის,  
ვიდრე არავის, არცერთ ჭაბუკს ჩემს უმიჯნურესს  
არ ხელუყვია ეგ თეთრი ყელი, —  
მე ბედნიერად სპარსთა მეფის უმეტეს ვიყავ.

ლიდია

ვიდრე სხვისადმი ჩემზე ძალუმი  
არ გჭირდა ტრფობა — არც ლიდიას სჯობნიდა ქლოე,  
სახელდიდობდა მაშინ ლიდია  
და მეც რომაელ ილიეზე უმშვენეს ვიყავ.

პოეტი

ჩემზე დედოფლობს აწ თრაკიელი  
ქლოე ხმატკბილი და ციტარის უებრო მცოდნე.  
მოგვედები ორგზის მე იმ ქალისთვის —  
ჩემს დღეებს მას რომ შეჰმატებდეს განგების ძალა.

ლიდია

მე მაშრობს ტრფობის ორმხრივი ალი.  
თურიელ ვაჟის — კალაისის, ორნიტის ძისა.  
მოგვედები ორგზის მე იმ ვაჟისთვის —  
ჩემს დღეებს მას რომ შეჰმატებდეს განგების ძალა.

პოეტი

თუ დაბრუნდება კვლავ სიყვარული  
და განშორებულთ შეაერთებს რკინის უღელით?  
ჩემგან თუ წაეა ქერა ქლოია  
და გაელება მიტოვებულ ლიდიას კარი?

ლიდია

ქაშინ... თუმცა იგი ვარსკვლავებზე ბრწყინავს,  
შენ კი ხის ქერქზე მსუბუქი ხარ და მოქუფრული  
აღრიატიკის ზღვაზე შერყევი, —  
შენს სიყვარულში ვიცოცხლებ და მოვკვდები თუნდაც.

### რესპუბლიკისადმი

ჰეი, ზომალდო, ისევე დავკრა აბალმა ტალღამ  
და ქარიშხალი გარყევს ზღვაში. საით მიდიხარ,  
ჩაუშვი ღუზა შენს ნავსადგურში,  
განა ვერ ხედავ,  
შემოგაძარცვა აფრიკულის ქარმა ნიჩბები,  
შოგერყა ანძა,  
ჩამოგერღვა გემთსართავეები  
და ძარაც უკვე ვეღარ უძლებს მზვანობარ ტალღას.  
ღმერთები აღარ გმფარველობენ  
და პონტოს ფიჭვი —  
ტყემშვენიერ ველზე მოჭრილი,  
შენდა სამშვენად და საამაყოდ,  
აწ უსარგებლო კიჩოა მხოლოდ  
და მას ფულმხდალი ზღვაოსანი ვეღარ ენდობა.  
ადრე შენდამი საქულველი ფიქრით ბყრობილი  
აწ გიძღვნი ზრუნვით აღესებულ გულს და  
გთხოვ, მოერიდო ბობოქარ ზღვას  
ციკლადის წყლებში!

### ლუციანუსს გურანასადმი

სწორად იცხოვრებ, ლუციანუს, თუ ზღვის სივრცეში  
შორს არ შეტოვებ და აიცდენ საშიშ ქარიშხლებს  
და არც ზედმეტად მიეახლები  
კლდოვან ნაპირებს.  
ვინაც აირჩევს ცხოვრებაში ოქროს შუალედს,  
იგი აიცდენს სილატაკეს კუჭყიან ქოხის

და მდიდრულ სუფთა სასახლეცა

გულარძნილ შურსაც.

ქარისგან ზშირად შეირყევა ვეება ფიჭვი,

ზეაღმართულნი ეცემიან ციხე-გოდოლნი.

ჭექა-ქუზილი უცაბედად შეაზანზარებს

მთათა ზეთავებს.

არასდროს ჰკარგავს გასაჭირში იმედს, — ასევე

ლხინში გასაჭირს არ ივიწყებს ნაჯაფი კაცი.

სუსხიან ზამთარს თუ მოავლენს იუპიტერი,

იგივე წარავლენს,

თუ დღეს ცუდად ვართ, მუდამ ასე კი არ ვიქნებით.

მძინარე მუზას განაღვიძებს როსმე ციტარით

და მუდამ რისხვით კი არ მოზიდავს

მშვილდს აპოლონი.

გამოიჩინე გასაჭირში სულის მზნეობა,

არ დაივიწყო სიჰამაცე, მაგრამ არც სიბრძნე,

რომ ზომიერად მართავდე ქარში

დაჭიმულ აფრებს.

## პომბურნი ხმელთაშუაზა

(შემოკლებით)

ცხენის კისერს რომ მიაზატოს აღამიანის

თავი მხატვარმა და შებუმბლოს ნაირფერადად,

შეაკოწიწოს მთელი ტანი იწილბიწილოდ,

ვთქვათ, თევზის კუდით, ქალის სახით, ამის მნახველი,

მარკვეთ, ძმობილნო, შეიკავეთ თავს სიცილისგან?

დამერწმუნენით, პიზონებო, ამგვარ ნახატს ჰგავს

წიგნი, რომელიც ავადმყოფის ბოდვას გვაგონებს,

სად ხატი ბურუსს დაუფარავს, სადაც ტან-ფეხი

არ ეფარდება თავის ზომას; დიახ, ჩვენც ვუწყით

და არანაკლებ ხალისითაც ვუწყოდეთ ეგებ,

რომ პოეტ-მხატვართ წარმოსახვა ძალუძთ თამამი.

გარნა კეთილი ბორბტისგან უნდა სხვაობდეს,

რომ გველი ჩიტთან არ შეწყვილდეს, ვეფხვი — ბატკანთან.

მხატვარი ბევრგზის დიდსა რასმე გვპირდება ტილოს,

ფერ-მდიდარს, მაგრამ მიმოხატავს ფუნჯით ამაოდ  
 ყვავილ-ჭრელადა ღვთაებრივი ღიანას ქალას,  
 მხიარულ ნაკადთ, გადამდინართ ტურფა მინდვრებზე,  
 მდინარე ჩინა ან საწვიმო ცის ცისარტყელას; —  
 სულ უაღვილოდ, ხენეშ-ხენეშ, ვთქვათ დიდებულად  
 ხატავ კიბარისს, მაგრამ იგი რას მაქნისია,  
 რას ჩაძირული ხომალდიდან გადარჩენილ კაცს  
 უნდა ბატაედე — საზღაურს, რომ იხელს ამისთვის?  
 დოქს თუ ჭერწვადი, როგორ შეგრაჩა ხელში ქოთანნი?  
 რაგინდ-რა იყოს, სრულქმენ ოდენ უბრალოებით.  
 პოეტთა დიდ წილს, ღირსეულო მამა-შვილებო,  
 გვაცდუნებს უინი უცდომლობის. მოკლე თქმას ვლამობ —  
 და ბნელი ვბდები, ხოლო ლალი სიმსუბუქისთვის  
 არ მყოფნის ძალა, არცა გული და არც ნერვები.  
 ბევრი კი ფუჟად ბევრს გვბირდება დიდის ქადილით.  
 ქარის ზედმეტად მოშიშარი მიწაზე ხობავს.  
 ხოლო ვინც საგნებს ადგილს უცვლს გარდამეტებით,  
 ის მდინარეში დორს ჩახატავს, ტყეში კი — დელფინს.  
 სცდების და სცდების ხელოვანი, თუ უვაცია.  
 ემილიუსის სკოლის გასწვრივ ყველა მოხელე  
 შენ ჩამოგრაჩაშ ბრინჯაოსგან თავსა და ფებებს,  
 ქანდაკებას კი ვერ შეგიქმნის, რადგან არ ძალ-ურს  
 მთელპყოს წილადა. მე პირადად ვამჯობინებდი,  
 რაგინდ-რა თვალ-და-თმაშშენიერ ყყოფილიყადი, —  
 ცხერი უშვერად მანც წინ არ გამოძტყვრომოდა.  
 ზოგჯერ ახალი ძალძსმევეით იმოჯის სიტყვა  
 სიტყვათ ახლებურ თანწყობაშიც, ხოლო თუ ზოგჯერ  
 უცხო საგანი ახალ სიტყვით უნდა გაცნათლოთ, —  
 რაიცა თუნდაც არ სმენიათ ჯერაც ცეთეგებს, —  
 ეს სითამამეც მოიპოვებს მხატვრულ უფლებას  
 და ენა ჩვენი მშობლიური შეირგებს სიტყვას,  
 რომელსაც ბერძნულ ენისწყალში სიფრთხილით ვავსრავთ.  
 რაც ძალუძს პლავტუსს, ცეცილიუსს, რად არ ძალუძდეს  
 ვერგილიუსს და ვარიუსსაც? და მეც ასევე  
 რად არ გავილო მცირე წვლილი შეძლების კვალად,  
 თუ კატონმა და ენიუსმა მრავალ სიახლით  
 გამოაბრწყინეს ენა ჩვენი? გვაქვს ნება ჩვენაც

ჩადგომთ სიტყვაში ახალი რამ ნიშან-თვისება.  
 როგორც ტყის ფოთოლთ ფერს უცვლიან წელიწადები  
 და ძირს აცვენენ, გარნა ახალთ აღაყვავებენ,  
 ცვალებადობენ მყოვარ-ჟამად ეგრე სიტყვებიც.  
 ჩვენ და ყოველი ჩვენიული — აიკვდილს ვეკუთვნით;  
 აკვილონისგან ნებტუნუსი იცავს ხოშაღდებს  
 მეფური შრომით, ზღვაში ლამობს ხმელეთის შეჭრას,  
 ის ჭაობს გუთნით მისდგომია ხოფების ნაცვლად  
 და ხნავს მეზობელ ქალაქების დასასაზურებლად  
 ანდა მდინარეს სასურველად უცვლის დინებას, —  
 მაინც ფუჭია და ამო კაცთა საქმენი.  
 როგორც ბუნება, ვერ იქწვანება ენაც მარადის,  
 ახალ სიტყვათა მრავალთაგანს დრო გადააცვენს,  
 მრავალთაგანიც განახლდება ძველი რტოიდან.  
 რამეთუ ამაჲს ითხოვს ენის წესი და რიგი.  
 მეფე-სარდალთა საქეთათვის და მძიმე ომთა  
 სათხრობად მოგვცა ჰომეროსმა ლექსის საზომი.  
 ჯერ უთანაბრო ორტაებედს მოსდგამდა ოხვრა,  
 მერმე საალთქმო ჩანართებიც გაჩნდა შიგდაშიგ.  
 დღესაც ამ მწირი ელეგიის შემქმნელის გავო  
 გრამატიკოსნი ბევრს დაობენ, რაც დაჟად რჩება.  
 ბრაზმა აღჭურვა არქილოქე ბასრი იამბით.  
 რა პოეტი ვარ, თუ ვერ ვიცავ აზრს, რიგს, კოლორიტს?  
 ცოდნისა შეგრცხვეს უფრო, ვიდრე უვიცობისა?  
 ყომიკურ ამბავს ტრაგიკული თხრობა არ შვენის.  
 მსუბუქი ცეკვის ფუხსაცმელი უღირსად აქცევს  
 ღირსად მოსათხრობ თიესტუსის საძიძომ ნადიმს.  
 თავის აღგილას აქვს ყველგან და ყველაფერს ფასი.  
 თუმცა ხშირია, კომედიაც ხმაჲ რომ აუწევს,  
 როს, მაგალითად, წყველა-კრულავს ანთხევს ქრემესი;  
 ტრაგედიასაც მოსდგამს სიტყვა ხმადაწეული,  
 როს ტელეფუსი და პელევსი ღარიბ-ღატაკნი  
 ისვრიან ბუშტებს და მარტივი სიტყვების გროვას,  
 რათა აღგვიჩანს სიბრაღული სინატიფის წილ.  
 ცივი სიტურფე არა კმარა, ლექსს უნდა სიტკბოც,  
 რომ ჩვენში სულის უკეთესნი აღძრან სურვილნი.

ბულწრფელად მცინარს ჩვენც მივცინით. მივსტირით —  
მტირალს.

თუ მაყურებელს წრფელად გინდა განაცდევინო,  
ვთქვათ, სატიკიჯარი ტელეფუნის ან პელევისისა. —  
ჩერ განიცადე წრფელად თვითონ, ცრუ განცდაზე კი  
ვიციინებ ანდა ჩავთვლემ 'სულაც. მწუხარე სახეს  
მწუხარისა უნდა სიტყვაც, ხოლო მრისხანეს — რისხვის,  
მასხარას — მასხრის, დარბაისელს — დარბაისლისა.

განსხვავებაა, — ვინ საუბრობს, — ღმერთი თუ კაცი,  
ჟამხანიერი მოხუცი თუ ფიცხი ჭაბუკი.

ღიასახლისი ხელგამრჯე თუ ფუსფუსა ძიძა.  
მინდვრად მარები გუთნისდღეა თუ სოვდაგარი,  
კოლხი, ასური, თებელი თუ არგოსის მკვიდრი.  
ან ცნობილ ამბავს უნდა მიჰყვე ან სწორ ჩანაფიქრს,  
მწერალო, როცა გამოიყვან ქებულ აქილევსს.

ის უნდა იყოს მარდი, ფიცხი, დაუდგრომელი,  
ვინც ქვეყნად ოდენ იარაღის კანონი უწყის.

მედეა იყოს გულსასტაკი, ინო — მწუხარე,  
ცრუ — იქსიონი, იო — მსბემი, კუშტი — ორესტე.

განსხვავებული თუ გსურს, რამე შესძინო 'სცენას,  
შექმნა ახალი გმირის სახე, დაე ეს გმირი

თავით ბოლომდე თავის სახის ერთგული დარჩეს.

ცნობილ მასალას ადვილად ვერ გაითავისებ:  
სჯობს, „ილიადა“ სამოქმედო აქტებად დააყო,  
ვიდრე ჩააჩარო შიგ არსმენილ-არგავონილი.

ხალხურ მასალით სარგებლობის გაქვს შენ უფლება,  
თუ გატკეპნილი გზით არ ივლი და ყოველ ამბავს  
არ გადმოლექვავ სიტყვასიტყვით, ვით თარჯიმანი,  
არც შორს გატოპავ, როგორც ურცხვი იმიტატორი,  
რომ უხერხულად ლექსში ფეხი არ წაიტეხო.

მით ნუ დაიწყებ, რაიც მოსდგამს კიკლიურ მწერალს —  
„პრიამუსის ხვედრს ვუმღერებო და ომს დიდებულს“.

რა სასიკეთოს დაგპირდება ეს შეპირება?

ეს იგივეა — მთამ ბლავილით შობოს წრუწუნა.

მართლის მოხრობელი უქადილოდ გეთავაზობს სიტყვებს:

„მოშითხრობდეო, მუხავ, გმირზე, ტროა რომ დასცა,

და მრავალ ხალხთა ზნე იხილა და ქალაქები“.  
იგი ცეცხლს კვამლად კი არ ატყევეს, არამედ — აღიდა,  
რომ საოცარი სახილველი წარმოგვიჩინოს.  
თავის მოთხოვნას არ დაიწყებს ის დიომედეს  
დაბრუნებაზე მელეაგრეს დაღუპვის დღიდან  
და არცა ტროას ომის ამბავს ტყუპი კვერცხიდან.  
ამბავთ მორევში მიგვაქანებს იგი პირდაპირ  
და წვრილმანებით არა ჰქანცავს მსმენელის სმენას,  
რამეთუ ძნობად ამსავთავან უმთავრესს არჩევს  
და განაწავებს ტყუილ-მართალს ესევეთარმედ,  
რომ შეეთანხმოს ერთურთს შუა, თავი და ბოლო  
ბეჯითობს კაცი მოწიფული, ასაკით სრული,  
ექებს სიშიდრეს, მეგობრულ წრეს, სახელ-დიდებას,  
გაუბრის საქმეს საალბათოს, ფუჰად დაშვრომას.  
ბერიკაცი კი ბევრ გასაჭირს გარემოუცავს,  
ექებს ქონებას ან აქვს მისი დაკარგვის შიში,  
ცივად და მხდალად ეკიდება ის ყოველ საქმეს;  
ჩანჩალა, მედლე-მეხვალე, მოშავლის ხარბი,  
მჭისი, საბრალო, აქებს მხოლოდ თავის გარდასულ  
ყმაწვილკაცობას, აწინდელ ყრმათ უდგას კრიჭაში.  
მრავალ მოსაღებს მოიღებენ მოსული წლები,  
ხოლო წასაღებს წარიღებენ; არ დაეკისროთ  
ქაბუჯა მოხუცის, ხოლო მოხუცს ყმაწვილის როლი.  
ყოველი კაცი თავის ასაკს უნდა მოერგოს.  
ღრამა, არც მეტი, არც ნაკლები, ზუთ მოქმედებდა  
უნდა დაიყოს — გასაძლისად მაცურებლისთვის.  
არ ჯერ არს ღმერთის შეწუხება წვრილმან კვანძისთვის.  
ზედმეტი გახლავთ საუბარში მეოთხე პირი.  
ნაწილობრივად მსახიობის მოვალეობას  
კისრულობს გუნდი, თუ ის გალობს აქტთა შუარე,  
აჯამებს სათქმელს, ჰქმნის შესაფერ განწყობილებას,  
უკეთეს რჩევას აძლევს რჩეულთ და ამწყალობებს,  
აცხრობს მრისხანეთ და გულდინჯად ამშვიდებს დელვილთ.  
ღარიბულ სუფრას არ დაამცრობს და განაჩინებს  
მართალ განაჩენს, სამშვიდობო ღია კარს იცავს,  
ფარავს დაფარულს, შესთხოვს ღმერთებს, რათა ფორტუნა  
სწყალობდეთ მდაბალთ, ხოლო ზურგი აქციოს მაღალთ.



უწინ ფლეიტა არ ყოფილა მოსპილენძული,  
 ვერ მოვიდოდა იგი ბუკთან მეჩხრად ნაჟერეტი,  
 მაგრამ იმას მაინც გუნდს უწყობდა და თან შეეძლო,  
 რომ თხელ რიგებზე ხმა — მსუბუქად გადაეჭროლა,  
 სად ხალხი ისხდა რიგიანი, რიცხვით კნინ-მცირე,  
 მოაღათწესე, მომჭირნე და მოკრძალებული.  
 ზოლო მერმე კი, ოდეს ერმა გაჰარჯვებულმა  
 შორს გადასწია საზღვრის მიჯნა და შემოცხა  
 ქავით ქალაქი, — სადღეობო თამაშებს უკეთ  
 განაჩიგებდნენ, აკურთხებდნენ- ღვინით გენიუსს.  
 რას გრძნობდა ამ დროს ქალაქელის გვერდით მჯდომელი  
 სოფლელი გლეხი, დიდებულის გვერდით — უბირი?  
 აღრეულ სცენას შეემატა ეშხი და პეწი  
 და მეფლეიტეს ფიცარნაგზე სთრევედა სამოსი.  
 გამრავალფერდა სუსტი ზიმი ახალ ბგერებით,  
 სიტყვამ იტვირთა იმოდენა იერ-ხატება,  
 რომ ქორო თავის მომავალის განმკითხაობით,  
 ჰცენა — დელფოსის სამისწოსაც ეტოქებოდა.  
 ახლა პოეტი ტრაგიკოსი თხისთვის დავაში  
 ენაუშვერად აშიშვლებდა სცენაზე სატირთ,  
 საცდურისა და სიახლისთვის, რომელსაც ითხოვს  
 მყურებელი ღვთაებრივი ლხინის ზარხოშში.  
 მასხრებსა ჰმართებს — სატირები როლის თანახმად  
 აამეტყველონ, ითამაშონ იმეთნაირად,  
 რომ ღმერთებმა და იმ გმირებმა, მათ რომ ახლავან,  
 ახლახან ოქრო-ოქსინოში რომ ბრწყინვალეებდნენ,  
 პირ-ბილწთა ქოხში არ ამოჰყონ თავი და ვიდრე  
 მიწაზე დგანან, არ ეკიდნონ ღრუბლებზე ცაში.  
 უხერხულსა ხდის სიმსუბუქე ტრაგედის ლექსს;  
 როგორც მატრონას სადღეობო ტანთსამოსელი,  
 როდესაც მორცხვად სატირთ შორის გაივლის იგი.  
 ყარიბი სიტყვით არ მივეყოფდი ხელს, პიზონებო,  
 სატირის წერას სახელების ოდენ ხსენებით;  
 ტრაგიკულ სწრათს არ მივცემდი ისეთ კოლორიტს,  
 რომ განსხვავება ვერ ენახათ, ვინ ლაპარაკობს, —  
 პითია, სიმონს თავხედურად ფულებს რომ სტყუებს  
 თუ სილენუსი, ძიძა ძვირფას ძიძობილისა.

ნიჭი ცოდნაზე მალლა დგასო, — თქვა დემოკრიტემ, —  
და ჰელიკონი ჭკვიანთათვის დაკეტილია.

მწერლობის სიბრძნე რთული აზრის უბრალოდ თქმაა.  
ზოგჯერ ხომ მარჯვედ მიგნებული მცირე ამბავიც  
დიდოსტატობით არა, მაგრამ წრფელად ნათხრობი.  
ლონიერია და საკმაოდ დიდხანს ძლებს ხალხში,  
ვიდრე უსაგნო, უარაფრო მყვირალა ლექსი.  
სიტყვის სიმკვერე მოსდევდათ და სწყალობდათ მუხაც.  
ო, ბერძნებს, ბერძნებს, მარადისი დიდების მხვეჭელთ!  
აქ რომაელი ბავშვები კი დიდხანს სწავლობენ,  
თუ როგორ გაჰყონ ას ნაწილად რკინის ასსუმი.  
და ამგვარ სულში მშვენიერი შეითბზვის ლექსი,  
კვიპროსის ყუთში რომ ჩადებენ კედრით ზეთცხებულს?

სასიამოვნო უჯობს პოეტს ან სასარგებლო —  
ან ცდილობს, მსმენელს ცხოვრებისგან ორივე მისცეს.  
მოკლედ და სხარტად თქვი სათქმელი, — ხხარტად ნათქვამი.  
სულსაც აამებს და ხსოვნასაც გაიერთგულებს.  
სული გადაღვრის ყოველივეს, მისთვის ურგებელს.  
წარმოსახული უნდა იყოს ნახულის მსგავსი;  
ყოველ ნათხზავის არა გვჯერა, შენც ნუ ამოგყავს  
უძღებ ლამიის ფაშე-მუცლიდან ცოცხალი ბაღლი.  
მიზანს აზრულებს სასარგებლო საამოდ თქმული.  
როდესაც მკითხველს დაატკობ და განსწავლი კიდევ.  
სოზიუსების სიმდიდრეა ასეთი წიგნი,  
ზღვებს გადალახავს და დიდებას მოუტანს ავტორს.

შეცდომისგან კი არვინ არის თავდაზღვეული:  
არ შორჩილებენ სულს და ზელებს ზოგჯერ სიმები,  
შესაფერისი ბგერა მუდამ არ მოსდევს ქამანხ.  
არცა ისარი ხვდება მუდამ სამიზნე ნიშანს.  
ამიტომ არც მე აღვშფოთლები, თუ დაჰინანე  
ლექსის ბრწყინაში გარეული შავი ლაქები:  
ასატანია ბუნებრივი ნაკლნი კაცთანი.  
მაგრამ, ისევე როგორც ცუდი გადაშფერალი-  
ბევრგზისად იწერს ერთგზის ცდომას, სასაცილოა  
ის კითარედიც, ერთ და იმავე სიმზე რომ სცოდავს,  
აგრე ზოგ პოეტს ქერილუსის ზნე მისჭირს სწორედ, —  
როს ვეფუებით ნაკლს და გვხიბლავს მცირე ღირსებაც.

თვით ჰომეროსიც ჩათვლემს ზოგჯერ და ეს, პირიქით, გვეხამუშება, თუმც დიდმაშვრალს ჩათვლემაც ჰმართებს. ზოგი ნახატი ახლო დგომას ითხოვს, რომ სრულად წარმოჩნდეს იგი, ზოგს სიშორე ათვალისცხადებს. ზოგს ჩრდილი შეენის, ჭაჩინობს ზოგიც ნათულში და არ აშინებს უმკაცრესი მსაჯულის თვალი.

უფროსთაგანო, შენ მოგმართავ თუმც მშობლიური მართლწავლულება საკმარისი და ჭკუა მოგდგამს, მისმინე მაინც, სხვა საქმეში ასატანია

ზამთვალო კაცი, იურისტი ან ორატორი, თუნდაც ოსინი მეტისმეტად ჩამორჩებოდნენ მესალა ანდა კასცელიუს აელუსსაც ნიჭით, მაგრამ საშუალო პოეტობას არ გვაპატიებს არცა თუ კაცი, ღმერთი და არც წიგნების დახლი. ისევე, როგორც სიმფონია ლხინის სუფრაზე, მსუყე კარაქი ან საჩრდინის თაფლში ყაყაჩო გვეზედმეტება, რადგან სუფრა ისედაც სუფრობს; ასევე სატყვაც, ჩვენი სულის ნაზი ნაყოფი, გაცუდებული უმწიფრობით უვარგისდება.

ვინაც შეჯიბრში არ წრთობილა, არ უქექნია, დისკოს ტყორცნაში ან სირბილში არ ადგა ჯაფა, ხალხის სამასხრო შეიქნება მისთვის არენა: მაგრამ უვიციც ლექსის წერას ბედავს — რად არაწ დანარჩენი რამ არ აკლია, — თავისუფლება, მხედრის წოდება, ყოფა-ქცევა თუ გვაროვნობა. შენ კი მინერვას გულის გარე ნურაფერს დასწერ, მოიღე ჩემგან რჩევა ესე: მაინც თუ დასწერ, აჩვენე იგი ამა საქმის მცოდნე მეციუსს, ან მამას, ან — მე. სახლში გედოს ნაწარმოები ცხრა წელიწადი, მასში წაშლი, რასაც ინებებ; სიტყვას კი, ერში გადავდებულს, ვერ დაიბრუნებ.

საკითხავია, რა ანიჭებს ლექსს უფრო ძალას — შრომა თუ ნიჭი. მე თუ მკითხავ, უნაყოფოა ნიჭი შრომისა, ხოლო შრომა — ნიჭის გარეშე. ორივე ერთმანეთს საჭიროებს, ჩემო ძმობილო, სანამ დასძლევედა მორბენალი სასურველ მიჯნას, ჯერ ვარჯიშობდა, თავს იწრთობდა სიცხე-სიცივით,

ღვინოს, ვენერას გაუბრბოდა; ვისაც პითიის  
მგოსნობა სურდა, ის მოძღვარსაც უსმენდა დიდხანს.  
მავანი იტყვის, — ლექსის წერა ხომ მეხერხება  
და ეს სავსებით კმარა ჩემთვის, ისულ არ შემერცხვება,  
ის არ ვიცოდე, რისი ცოდნაც სწავლით შემეძლო.

როგორც სახლ-კარის გასასყიდად ბრბოს უხმობს მაცნე,  
ზოგჯერ პოეტიც ხეირისთვის გარს იკრებს მლიქვნელთ,  
თუმც არ აკლია მას ფული და ადგილ-მამული.  
ვინც მაამებელ სტუქარათათვის ნადიქებს წართავს,  
ლატაკს ჰპირდება თავმდებობას, სასამართლოზე  
მას გამოიხსნის ოსტატური სიტყვის წარმოთქმით,  
გამიკვირდება — გაარჩიოს ბრუნდი მართლისგან.  
ვისაც საჩუქარს აძლევ უხვად ანდა ჰპირდება,  
ლექსთა სასმენად ნუ მოიწვევ, — ის ლექსს შეგიქებს;  
იტყვის: კარგია, ბრწყინვალეა, ჩინებულია,  
სახეზე ფერსაც კი შეიცვლის და თვალებიდან  
ცრემლსაც გადმოღვრის, შეხტება და შეიბაკუნებს.  
ისევე, როგორც დავრძალვაზე ქირით მტირალნი  
მეტად ვაებენ, ვიდრე თავად ჭირისუფალნი, —  
ჰუმბარიტ მქებლის არრა სცხია მყვირალა თვალთმაქცს.  
თვით ხელმწიფენი წმინდა ღვინით აღსავსე თასებს  
აცლევინებენ კაცს, როდესაც უნდა შეიტყონ,  
წრდელად თუ ძალუთს მეგობრობა; შენც ღდეს ლექსს წერ,  
ერიდე თვალთმაქცთ და მელიურ მათს კუდის ქიციანს.  
გულწრფელი კაცი გამოგიჩხრეკს შენ ლექსის ავ-კარგს,  
ხენეშს განაგდებს, ნიშს დაადებს საეჭვო ადგილს,  
მარჯვე კალამით გამოკაფავს ზედმეტ სამკაულს,  
სტრიქონს სინათლე თუ აკლია, შუქს მიუმატებს,  
ბუნდოვან ადგილს შესაცვლელად აღნიშნავს იგი.  
არისტარხუსის დარი კაცი არ იტყვის ესრეთ, —  
წვრილმანებისთვის მეგობარი რად დავკარგოო  
რადგანაც სწორედ წვრილმანები დაკარგავს ზოეტს,  
ვითარცა ვინმე ხარბი ანუ ზაფრით სნებული,  
ფანატიკოსი, დიანასგან შექანებული,  
უჭკვო პოეტიც ასეთია, — გაუბრბის ყველა;  
ანდა, პირიქით, სტვენით სდევნენ ქუჩის ბიჭები.  
თავადერილი რომ დადის და ბუტბუტებს ზეპირ;

როგორც ცუდმადა მეჩიტბადემ ანაზდეულად  
ორმოში თავი რომ ამოჰყო და გაჰყვიროდეს:  
„მიშველეთ, ხალხნო, მიშველეთო!“ — არვინ მიხედოს  
ხოლო თუ ვინზე თოკს ჩაუწვედის, მე უმალ ვეტყვი:  
„რა იცი, ძმაო, იქნებ ამ კაცს ნებას სიკვდილი,  
შენ ხელს რად უშლი?“ მოგაგონებთ სიცილიელ  
პოეტის სიკვდილს: ღვთიურ სახელს მოწყურებულ  
ეტნის ვულკანში ემპედოკლე გულგრილად ჩასდა.  
პოეტს სიკვდილის უფლებასაც ვერვინ წაართმევს:  
ვერ გადაარჩენ, გადაარჩენა ვისაც არა სურს.  
ვინც არაერთხელ ცდილა სიკვდილს სახელისათვის,  
იგი არა სდებს ფასს სიცოცხლეს, ვერცრა: გახდები,  
თანაც არ ვიცი, იგი-პოეტად რა ცოდვა-ბრალმა  
აქცია იგი, იქნებ მშობლის საფლავი შერყვნა  
ან იქნებ წმინდა ნამეხარი გათელა ფეხით  
და გალიიდან გამომხტარი დათვივით ბრდღვინავს?  
ასეთს, ნასწავლი-უსწავლელი გაურბის ყველა;  
თუ დაგიხელთა, ლექსაობით გაგასაავათებს,  
ხისხლისგან დაგცლის, ვით წურბელა, ბოლო წვეთამდე.

\* \* \*

დე, სხვამ აგროვოს სიმდიდრე და ყვითელი ოქრო,  
 კქონდეს მამული მიწამრავალი,  
 მასვე აფრთხობდეს დიდი ჯაფა გეზობელ-მტრისა.  
 და საომარმა დაფდაფებმა წაპვეაროს ძილი;  
 ჩემს სიცოცხლეს კი სიღარიბე მიაცილებდეს,  
 ოღონდაც კერა იყოს ჩემი ცეცხლჩაუქრალი;  
 სოფელში თავად გავახარო ვაზის ბაბილო  
 და ძძლავრი ხელით გამოვზარდო ნაზი ხეზილი.  
 მახლდეს იმედი! სავსე ვიყო ნაყოფთა ხეავით  
 და საწნახელიც სავსე მედგას ფუცხუნა მაჭრით;  
 მე ხომ პატივს ვცემ ჩალის ღერსაც ველზე დარჩენილს.  
 და ყვავილს, ქვაზე დატოვებულს გზაჯვარედინზე.  
 რა ნაყოფიც კი უნდა მომცეს ამ შემოღდგომამ,  
 მიწათმოქმედის მადლს შევწირავ ღმერთს მოსავლისთვისა  
 ოქროს ცერეავ, ჩემი ყანის თავთავთ გვირგვინი  
 შენს ძღვნად ეკიდოს, დე, ტაძარში, კარების წინა!  
 ხილსავსე ბაღში დაე, იდგეს წითელი მცველი, —  
 სირთ მათრთხობელა პრიაპუსი ხელნამგლიანი.  
 თქვენაც, მფარველნო ანგელოზნო, ეზო-კარისა —  
 უწინ მდიდრულის, აწ ღარიბის, — შეგწირავთ მადლსა.  
 უწინ დეკეულს რომ სწირავდნენ რიცხვმრავალ ჯოგში,  
 აწ შესაწირად ბატკანილა გადარჩენილა.  
 პა, თქვენ, ბატკანი; შემოგროვდნენ სოფლის ბიჭები  
 ყვირილით, — მოქეც, პე, სამკალი და კარგი ღვინო!  
 მე კი მაცხოვრე კმაყოფილი ოდენ მცირედით  
 და ამაშორე ხეტიალი შორეულ გზებზე.  
 ცხელ ზაფხულში რომ ცად იბრწყინებს ძაღლის ვარსკვლავ-  
 საჩრდილობელ ხეს გრილ ნაკადთან შევეფარები.  
 ხანდახან ფიწლის ხმარებასაც არ ვითაკილებ  
 და ხარ-ნახირსაც გავირეკავ სახრის ტრიალით.

არ დავიზარებ, დედისაგან მიტოვებული  
 თიკან-ბატკანი ჩემი ხელით შინ მივიყვანო.  
 თქვენ კი, მგლებო და ქურდბაცაცო, ჩემს მცირე ფარას  
 ამორეთ თვალი, — დიდ ფარაში ჰპოვეთ ნადავლი.  
 მე შევეჩვიე ჩემი მწყემსის წლიურ განწმენდას,  
 ძადლიერების ნიშნად რძეს რომ აპკურებს პალესს.  
 თანამედებით მე, ღმერთებო, ნუ ითაკილებთ  
 ჩემს ღარიბ სუფრას და ჩემს სუფთა კეკელა დოქებს,  
 ეს დოქ-ჭურჭელი გამოძერწა რბილი თიხისგან  
 პირველოსტატმა მიწის მუშამ უძველეს დროში.  
 მე არასოდეს მომიხილაფს ის ძოსავალი,  
 რაიც უმკია და უსთვლია წინაპარს ჩემსას.  
 მცირე სამკალიც საკმაოა, რომ ნებიერად  
 მძობლიურ ჭერქვეშ მოისვენო ნებით საწოლზე.  
 და ზამთრის სუსხში, როცა ცივ წყალს აქცევს ავსტერი,  
 საამო სიზმრებს მომივლენდეს წვიმის ხმაური.  
 მე ამას ვკმარობ, მდიდარი კი ის იყოს, ვინაც  
 ტანს წვიმების სევდასა და ზღვის მრისხანებას,  
 წყალს წაუღია ყველა ოქრო და სმარაგდები,  
 თუკი ჩემს გზაზე განშორებით იტირებს გოგო.  
 მესალა, შენ ხარ მეომარი ხმელეთზე, ზღვაზე,  
 რომ მტრის ნადავლი საჭურველით მორთო პალატი.  
 მე კი ლაძაზი გოგოს მონა ფეხშებორკილი,  
 მის ყრუ კარებთან ვზივარ მუდამ, როგორც მეკარე.  
 დელია, შენთან ყოფნას ვარჩევ ყველა დიდებას,  
 რაგინდ ზარმაცი მიწოდონ მე და უსაქმური.  
 სიცოცხლის ბოლოს ვისურვებდი — მოვმკვდარიყავი  
 სუსტი ხელებით შენს სხეულზე შემოხვეული.  
 სიკვდილის ტახტზე დამიტირე და შეაზავე  
 შენ სიყვარულის ტკბილი კოცნა მწარე ცრემლებში  
 იტირე, რკინის ხომ არ არის ეგ შენი მკერდი,  
 ანდა რიყის ქვა ხომ არ გიდევს გულის მაგიერი  
 მე ვიცი, ჩემი დაკრძალვიდან არცა ჭაბუკი  
 და არც ასული შინ უცრემლოდ არ დაბრუნდებო.  
 მაგრამ, დელია, ჩემს ჩრდილს გლოვით ნუ შეაწუხებ —  
 დაზოგე შენი დალალები და ნორჩი სახე.  
 დაე, მანამდე სიყვარულით გვამყოფოს ბედმა!

სიკვდილი მალე შეგვიბურავს თავებს სიბნელით.  
სიბერე მოვა, სიყვარულის შეგვრცხვება უკვე,  
ჭაღაროსნებმა სატრფიალოდ ურთიერთს ვუხმით.  
მაშ, ვემსახუროთ ტურფა ვენუსს, სანამ ჯერ კიდევ  
არა გვრცხვენია კართ მტვრევის და რაყიფთან ჩხუბის.  
აჟ კი მე თვით ვარ სარღალიცა და მეომარიც.  
შორს დროშები და დაფდაფები! ჩასკლომა უძღებთ!  
სიმდიდრე — მდიდრებს! მე ვიკმარებ ტკბილ სიღარიბეს.



\* \* \*

სიცოცხლევ ჩემო, რა გაიძულეღს, თმეღი მოირთო  
 და იკეკლუცო ნაკეცეღბით კოსური კაღბის?  
 ორონტულ მირით მად დალაღებს რად ისურნეღებ?  
 უცხო საქონელს რომ ყიდულღბ ტურფად ჩენისთღის  
 და ამ ნავაჭრში შენს ბუნებრივ სიტურფეს ჰკარგავ,  
 რად უშღი სხეულს საკუთარი შუქით იშუქოს?  
 შენს ტანს ასეთი მედიცინა არა სჭირღება —  
 მერწმუნე! მორთვა არად უჩანს შიშველ ამურსაც.  
 შეხედე, მიწა რა შიშველი მშვენეღბით მშვენღბს,  
 თავისი ნეღბით მალღა როგორ მიიწვეღს სურო.  
 ხევის პირეღბზე მცენარეღბს კეთიღი მარწყვი  
 და ნაკადეღბი ჰქრიან ველურ თავისუფღლებით.  
 ბუნეღბა ხატავს ზღვის ნაპირეღბს ლამაზ კენჭეღბით,  
 უფრო ტკბიღია უსწავღელი სიმღღერა ჩიტღა.  
 ლეეკიღბეს ასულს — თეღბეს ჭინჭით არ მოუხიღბღავს  
 კასტორი იღი, არც პოღლუქსი დღას — ჰიღღაირღას.  
 არც ფეღბოსი და იღა მადღით შეურკენიღ  
 ევენუსის ქაღს მშობღიური მღღინარის პირღად.  
 არ მოუხიღბღავს ფრიღიღელიც ცრუ სიღღამაზიღთ  
 უცხოურ ეტღით გამგზავრეღბულ ჰიპოღღამიღს.  
 არ დაუსეღია მათთვის დღღად სიყაღბღის გემმა,  
 როცა ისინი აუსახავს ფუნჯიღთ აპეღღესს.  
 ამგვარ ქაღთ ყვეღღან არ სჭირღებათ მიჯნურთღა ძეღბნა, —  
 მათ სიყვარულიღთ ასაჩუქრეღბს მათივე კრძაღღვა.  
 არ მეშინიღ, სხვეღბზე ცუღდი რომ ვიყო, მადღრამ  
 როცა ერთს ჰყვარღბს — გოგო ამიღ უკვე კარღია.  
 შენ მიღ უმეღტეს — თვისი ჰანგი გიძღღვნა ფეღბუსმა  
 და კაღღიღბემ — მეღღერი ლირა აიონურიღ.

წყნარმოუბარობ... ყველაფერი მოგმადლებია,  
რა მადლიც ვენუსს გააჩნია და რაც — მინერვას.  
ამ მადლით უფრო საყვარელი იქნები ჩემთვის,  
ვიდრე .შენტვის ეგ საძულველი ცრუ ფუფუნება.

\* \* \*

ვერ გამიგია, აგრე სიპად რად მეჩვენება  
 ჩემი ლეიბი ან რად სძვრება ტახტს პალიუმში?  
 ამ გრძელ ღამეში თელემა რატომ არ მომერიო  
 და შიქანცებულს რად მტკივა ძვლები?  
 ვფიქრობ, ამური ხომ არა მხვევს გრძნობების ქსელში  
 და ცბიერებით ხომ არ მიგებს ვნებათა მახეს?  
 დიახ, ასეა — ისრები მაქვს გულზე დარგული  
 და შეპყრობილ გულს ათამაშებს ხელში ამური.  
 დავმორჩილდე თუ ბრძოლის უფრო ავაგზნო ცეცხლი?  
 სჯობს, დავმორჩილდე, — ამით ტვირთი შემსუბუქდება.  
 მინახავს, ცეცხლს ვით აძლიერებს მუგუზლის ქნევა,  
 ქნევას შეწყვეტ და ჩაქრება ცეცხლიც.  
 უმეტეს წილად სახრე უფრო ურჩ ხარებს ხვდებათ, —  
 ვიდრე მორჩილად უღლეულში თავგაყოფილებს.  
 აღვირახსნილ ცხენს აღვირითვე დააურგებენ,  
 ჭენების ჟამს კი მიუშვებენ ლაგამს ნებაზე.  
 ასევე — უფრო თავადერილთ, გაამაყებულთ,  
 ვიდრე მის მორჩილთ — თრგუნავს ამური.  
 მე ვაღიარებ — ვარ ახალი ნადავლი შენი  
 და პა, კუპიდონ, ხელს გიწოდებ დამარცხებულნი.  
 რად გვინდა ომი, — მშვიდობას გთხოვ და მოწყალებას;  
 არც შენ გეგების, დამამარცხო უიარაღო.  
 თმებში ჩაიწან მირტის რტო და დასძარ მტრედები,  
 შეგფერის ეტლიც მამისეული.  
 ეტლზე შენს ტრიუმფს ხალხის ტალღა ყიყინას დასცემს  
 და ფრინველთ გუნდით მას წარმართავ დიდხელოვნებით.  
 შენს ტყვექმნილ ვაჟებს მიჰყვებიან ტყვექმნილი ქალნი  
 და ეს იქნება დიდებული შენი ტრიუმფი.  
 და მე შენი ტყვე ახლანდელი — ნაჭრილობევი,  
 ბორკილს მოგართმევ ჩემივე ხელით ახალპყრობილი.

გამოყვებიან ზურგზე ხელებგაკრულნი, — რომელთ  
სირცხვილი მოსავთ და გონებით ებრძვიან ამურს.  
შენი ეშინის ყველას, — ხელებს გამოგიწოდებს  
ხალხი ძახილით — „ვაშა, ტრიუმფს!“ — დიდებად შენდა,  
თავგზაბნევა, ტკბილი ცდომა, ლოთი და შფოთი, —  
შენი თანმწლები იქნება მუდამ.

შენ ეგრე ლაშქრავ და ამარცხებ კაცთა და ღმერთთაც,  
მაგ ნიჭის გარე დარჩებოდი უიარაღო.

მცინარე დედა ზემადალი ოლიმპიიდან

ტაშს დაგიკრავს და ტრიუმფატორს მოგაყრის ვარდებს.

ძვირფასი თვლები დაგიმკობენ ფრთებს და კულულებს

და თავად ოქრო გაიქროლებ ოჭროს ბორბლებით.

მე კარგად გიცნობ — მრავალს დაწვავ ჯერ კიდევ ცეცხლით.

ვისაც ჩაუვლი, დაუტოვებ მრავალ ჭრილობას.

კიდევ რომ გასურდეს, — მაგ შენს ისრებს ვერ შეაჩერებ;

ცეცხლით თუ არა, — დასწვავ ცეცხლის სიახლოვითაც.

ბაკხუსი იყო მაგდაგვარი განგისპირეთში,

ოლონდ შენ — ჩიტნი, მას კი ვეფხვნი მსახურეობდნენ.

მეც შენს ტრიუმფის, ღვთაებრივის მონაწილე ვარ

და მესათნოვე დამარცხებულს გამარჯვებულნი.

ასევე შენი ნათესავი, თვით კეისარი,

გამარჯვებული, ხმალით იცავს დამარცხებულ მტერს.

# მცირე უნიშვნელო

## კ ა ლ ი ნ ე

კალინე (ქვ. წ. VII ს.) ბერძნული ელევგის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მის სამშობლოდ ქ. ეფესოს მიიჩნევენ. პოეტიკ-მომარის იტყვდა თავის ქალაქს კიმეროელთა შემოსევის დროს.

გვ. 9. „სანამდე უნდა იხსნეთ?“ დედანშია: „სანამდე უნდა იწვეთ?“ უფრო ზუსტი ქართული შესატყვისი იქნებოდა: „სანამდე უნდა იყოთ მხარეთმოზე წამოწოლილი?“

## ტ ი რ ტ ე ო ს ი

ტირტეოსი (ძვ. წ. VII ს.) საბრძოლო ელევგის წარმომადგენელია. გაცოცხლების თანახმად, მესენელებთან ომის დროს სპარტას სამხედრო დახმარება უთხოვია ათენისათვის. ათენელებს გაუგზავნიათ კოკლი ტირტეოსი. ტირტეოსის საბრძოლო ლექსებით შთაგონებულ სპარტელებს გაუმარჯვნიათ ომში.

გვ. 10. „თვით კრონიონმა...“ კრონიონი — ზევის გვარულობის აღმნიშვნელია (კრონოსის ძე, კრონიდე).

პერაკლიდები — გმირი ჰერაკლეს შთამომავლობა რასაც იმეგებდნენ სპარტელი მმართველები, რომლებიც წარმომავლობდნენ ქალაქ ერანეოსიდან და დაკვიდრდნენ პელოპონესში („პელოპის მიწაზე“), იგივე სპარტაში.

გვ. 13. „თუნდა თრაკიელ ბორეასზე ქარ-სწრაფი იყო...“ ბორეასი ჩრდალოური ქარის დედაა, მის სამფლობელოდ თრაკიას მიიჩნევენ. ტითონი — ტროელი მეფის ლამეტონტის ვაჟი.

მადასა — ფრაგიის მითიური მეფე, ცნობილი აღუწონელი სიძლიდრით.

კინირასა — კაპროსის მითიური მეფე.

პელოპი — გმირი ტანტალოსის ვაჟი (ტანტალადი), წარმომავლობით მიდიელი.

ადრასტოსი — არგოსის მეფის ტალოსის ძე.

არესი — ომის ღმერთი.

პადესი — საიქიო სამყოფელი.

## ა რ ქ ი ლ ო ქ ე

არქილოქე ელევგისა და იამბის ერთ-ერთი წარმომადგენელია. დაიბადა კუნძულ პაროსზე. ცხოვრობდა ძვ. წ. VII საუკუნეში.

გვ. 16. „არ მსურს გიგესის ოქრომრავლობა...“ გიგესი — ერთერთე უმდიდრესი მეფეთაგან ლიდოსა.

გვ. 17. „ენიალიოსს ვემსახურები...“ ენიალიოსი — ომის ღმერთის არესის ზედწოდება.

გვ. 18. „...პეფესტოსმა დაუფერცლა ცეცხლია...“ პეფესტოსი — ცეცხლისა და მკედლობის ღმერთი.

„შენ შოის ლეღვი ხარ. პასიფილე...“ პასიფილე — ერთერთი მილეტელი პეტერას ზედწოდება — „ყველას სატრფობელი ქალი“.

„სად საამოდ მოსჩქეტეს სირისი...“ სირისი — მდინარე იტალიაში.

### მ ი მ ნ ე რ მ ე კ ო ლ ო ფ ო ნ ე ლ ი

მიმნერმე (ძვ. წ. VII—VI სს) საბრძოლო ელეგიის წარმომადგენელია. დაბადების ადგილად თავად კოლოფონსა და სმირნას ახსენებს (კოლოფონი საბერძნეთის ერთ-ერთი დიდი ქალაქი იყო იონიაში).

გვ. 19. „დავაგდეთ მაღალი პილოსია...“ პილოსი — ბერძნული ელიდის (მხარეა) ქალაქთაგანი.

„ეოლით სმირნას ვესწრაფვით...“ ეოლია ან ეოლიდა — მკურე აზიის სანაპირო; სმირნა — იონიის (მცირე აზია) ქალაქი.

„თუ არა ოკროს აფროდიტე...“ აფროდიტე — სიკვარულას უზენაესი ქალღმერთი.

„ზეესმა სიბერის უკვდავება... არგუნა ტითონს“ ზეესი — ღმერთთა ბერძნული პანთეონის უზენაესი უფალი. ტითონი — უმწიონე. რესი მითიური ქაბუკი; იგი გაიტაცა განთიადის ქალღმერთმა ეოსმა და ზეესს უკვდავება შესთხოვა მისთვის, მაგრამ დაავიწყდა ეთხოვა სიკვარულას შენარჩუნება და ტითონი უკვდავ მოხუცად იქცა.

გვ. 20. „გარემომდგარან კერები ბნელი“. კერები — შაველის მოცუქელები.

### ს ო ლ ო ნ ი

სოლონი (ძვ. წ. VII ს.) იყო ათენელი პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე და რეფორმატორი. სოლონის ლირაქაში ქარბობს სამოქალაქო-საბრძოლო მოტივები.

გვ. 21. ღილოკიპროსი — ტირანა კიპროსის ქალაქ სოლიისა.

გვ. 24. „სხვას რომ ხელთ პყროდა ეს კენტრონი...“ კენტრონი — ხელისუფლების კვერთხი.

### ს ი მ ო ნ ი დ ე ა მ ო რ გ ო ს ე ლ ი

სიმონიდე ამორგოსელი ძვ. წ. VII საუკუნის პოეტი, ელეგიის ოსტატი, აგრეთვე იამბოგრაფოსი. სიმონიდეს ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში სჭარბობს სატირული თემატიკა, მისა ლექსები მეტწილად მიმართულია ქალთა წინააღმდეგ.

### ა ლ კ ე ო ს ი

ალკეოსა ძვ. წ. VII საუკუნეში მოღვაწეობდა ლესბოსის ქალაქ მიტილენში. იყო პოეტი და მეომარი. ეკუთვნოდა არისტოკრატიის წრეს, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მიტილენის არისტოკრატიულ და დემოკრატიულ

რატულ პარტიათა პოლიტიკურ ბრძოლებში. ებრაჲდა ტირანებს — მელანქრეს, მირსილოსსა და პიტაქეს. როცა ძალაუფლება პიტაქემ აიღო ხელთ, ალკეოსი გაძევებულ იქნა კუნძულოდან, მაგრამ პიტაქემ მოწონა აღმდგენი შეიწყნარა და ალკეოსი მალე დაბრუნდა სამშობლოში.

ალკეოსის შემოქმედებაში მძაფრადაა გამოხატული ტირანთა სიძულვილი. ტირანული რეჟიმისაგან განდგომა, მისწრაფება — ეძიოს ხსნა ბუნებაში, სიყვარულში, მეგობრობასა და ღვინოში — მიგვანიშნებს ალკეოსის პოეზიის რომანტიულ საწყისებზე.

გვ. 29. „ათენა ომის დედუფალო...“ ათენა — ქალაქ ათენის მფარველი ღვთაება.

პერმესი — ოლაშოს ღჩირთა მალუმსარბოლი.

კალენე — მთა, სადაც პერმესი იშვა ელინური მითის თანახმად.

გვ. 31. ბაქი ასული — ბახუსური ღვინის მონაწილე ქალი, ბაქოსი მევენახეობის ღმერთის ღვინის ზედწოდებაა.

პიტაქე — ლესბოსის ტირანი.

გვ. 32. „ზევისსა და ლედას ნაშიერნო...“ ლაპარაკია ოლიმპიელი ზევისსა და ლედას ტყუპ გაყვებზე — დიოსკურებზე.

## ს ა ფ ო

ელინი პოეტი ქალი, მცხოვრები ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში, დაბადებული ლესბოსის ქალაქ ერესოში. მოღვაწეობდა იმავე ლესბოსის მეორე ქალაქ მიტილენში, რომელიც ამ მხარის კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. სამოქალაქო ომების დროს გადაიხვეწა სიცილიაში (ალბათ, მეუღლესთან ერთად). საფო ირიცხებოდა აფროდიტეს (სიყვარულის უზენაესი ქალღმერთის) კულტის თაყვანისმცემელთა დასში და თხზადა ჰიმნებს ამ დასის დობილებისადმი. ამას გამო გვიან ეპოქაში იგი შერაცხეს გარყვნილ ქალად, რომელიც თითქოსდა მრული სექსუალური კავშირით თანაცხოვრობდა გოგონებთან. სინამდვილეში ეს ჰიმნები განასახიერებენ ადამიანურ და რელიგიურ გრძნობათა მშვენიერებას, უზენაესობას, წმინდა სიყვარულში რეალიზებულს. საფომ უმაღლესი პოეტურა ძალისხმევით წარმოაჩინა ადამიანის ინდივიდუალური სამყაროს მომხიბვლელობა, უმღერა მას ჰიმნი.

ძველი ბერძნები საფოს სასწაულებრივ და ღვთაებრივ პოეტად იხსენიებენ.

გვ. 25. პერსა — ზევისა მღვდლე. ქორწინებისა და ოჯახის ღვთაება.

სკამანდროსი — მდინარე ტროაში.

გვ. 43. „სპორწილი“. ლექსში გადმოცემულია მიოზური ტროელი უფლისწულის ჰექტორის ქორწინება ანდრომაქეზე; პლაკია — მთა მკარი აზიაში, რომლის ძირას მდებარეობდა თებე, ანდრომაქეს დაბადების ადგილი.

## ანაკრეონტი

ანაკრეონტი (ძვ. წ. 559—478 წწ) იყო იონიის კუნძულ ტეოსის მკვიდრი. როცა იონიას სპარსელები დაესხნენ თავს პარპაგის საზღვრობით,

ანაკრეონტი გადასახლდა თრაკიის ქალაქ აბდერანში. აქ მძიმე პირობებში იბრძოლა არსტობოზისათვის, როგორც პოეტი და მღვდარი. იგი სხვადასხვა დროს თავის კარზე მიიწვიეს ტირანებმა: სამოსელმა პოლიკრატემ, ათენელმა ჰიპარქემ და თესალიელმა ექვეკრატემ. ტირანთა კარიდან კარზე სეპტიმიანო თავისებური კვალი დაამინია ანაკრეონტის ლარაკას. მას მიიჩნევენ მსუბუქი, ეროტიული გრძნობების მგოსნად, მაგრამ ეს პოეტის ლალი ბედით როდია გამოწვეული; აქ თავს იჩენს ანაკრეონტის თავისებური სული, რომელიც თავდადწევას ლამობს. ტირანული კარის სულთახუთისაგან და თავშესაფარს ეძებს ღვინოში, ქალსა და საყვარულში. შესაძლოა ამიტომაც ხიბლავდა ანაკრეონტი რომანტიკოსებს, პუშკინი მას თავის მოძღვრადაც კი იხსენიებდა.

მომდევნო საუკუნეებში ანაკრეონტული თემატიკის მოტივებზე შეიქმნა ლექსები, „ანაკრეონტად“ სახელდებული.

ანაკრეონტი, საფოსა და ალკეოსთან ერთად, მელიკური პოეზიის წარმომადგენელია.

გვ. 45. „არტემიდეს“. არტემიდე—ზევსისა და ლეტოს ასული. ცხოველთა მფარველი ღვთაება.

„არც ამალთეია...“. ამალთეა — ყრმა ზევსას გამომზრდელი თხის სახელი.

გვ. 49. „მინაწერი შირონის „ბბონე““. შირონი — ძვ. წ. V საუკუნის მოქანდაკე, ცნობილი იყო მისი სკულპტურული „ზბო“.

## ა ლ კ მ ა ნ ი

ალკმანა ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევრის პოეტი. მოღვაწეობდა სპარტაში, წარმოშობით კი სარდედან უნდა იყოს. წარმომადგენელია დორიული საგუნდო ლირიკისა. წერდა სიმღერებს როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა გუნდებისათვის.

## ს ტ ე ს ი ქ ო რ ე

სტესიქორე ცხოვრობდა ძვ. წ. VII—VI საუკუნეთა მიჯნაზე (დაახლ. 640—555 წლებში). დაიბადა სამხრეთ იტალიის ქალაქ მატავრაში, მოღვაწეობდა სიცილიაში (სამხრეთი იტალია ამ დროისათვის ბერძნულ ქვეყანას წარმოადგენდა). სტესიქორეს 26 წიგნიდან შეარჩევი რამ შემორჩა ჩვენამდე.

გვ. 52. „ღმერთებს შიავო ტინდარევსმა“. ტინდარევსი — დევნილი მეფე სპარტისა, კიპრიდასაგან (იგივე აფროდიტე) წყველათ შერისხული.

## ი ბ ი კ ო ს ი

იბიკოსი ცხოვრობდა ძვ. წ. VI საუკუნეში. ქორიკული (საგუნდო) ლირიკის წარმომადგენელია. ცნობილი იყო, როგორც ეროტიულ გრძნობათა დიდი მომღერალი. იბიკოსის ლექსებიდან ჩვენამდე ორიოდ ფრაგმენტმა მოაღწია.

გვ. 53. „რიერაზე ჰყვავის კიდონის ქალის ვაშლები...“ კიდონია — ქალაქი კრეტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სანაპიროზე.



## ს ი მ ო ნ ი დ ე კ ე ო ს ე ლ ი

სიმონიდე კეოსელი ძვ. წ. VI საუკუნის მგოსანია, საგუნდო ლირიკის დიდოსტატი, კუნძულ კეოსას მკვდარ, მოღვაწეობდა თესალიასა და ათენში. ჰიპარქეს კარზე იგი გასცნობია ანაკრეონტს. სიცოცხლის ბოლო წლები სიცილიაში გაუტარებია. გარდაიცვალა დაახლ. ძვ. წ. 478 წელს. სიმონიდე წერდა შესანაშნავ თარეებსა (საგლოვო სიმღერებს) და ეპიკეებს (გამარჯვების სიმღერებს). მისი ლექსები ჩვენამდე ფრავმენტულადაა მოღწეული.

გვ. 54. „ქიოსელმა ვაეკაცმა“... იგულისხმება პომეროსი, რამდენადაც შეიღ ქვეყანას შორის ქიოსიც ჩემულობდა პომეროსს.

გვ. 55. ქართვები — მხიარულებისა და მშვენების ქალღვთაებანი.

ბარბიტონი — საკრავი ინსტრუმენტი.

„თერმოპილებთან დაცემულთა...“ თერმოპილები — ადგილი, სადაც მკობრეაოვანი ბერძნული რაზმი გმირულად იგერიებდა სპარსელთა მრავალრიცხოვან ჯარებს; ბერძნებს სპარტელი მეფე ლეონიდე მეთაურობდა.

გვ. 56. „დანაეს ტირილა“. ლექსში გამოყენებულია მითი პერსევსისა. პერსევსი ზევსს შეეძინა არგოსის მეფის აკრისიოსის ასულისაგან, დანაესაგან. მითის მიხედვით, აკრისიოსის მიერ კილობნით ზღვაში გადაგდებული დედაშვილი, დანაე და პერსევსი იხსნა კუნძულ სერიფოსის მეფის ძმამ დიქტისმა (მეთევზემ).

## პ ი ნ დ ა რ ე

პინდარე საზეიმო ქორიკული (საგუნდო) ლირიკის დიდოსტატი, ცხოვრობდა ძვ. წ. 521—441 წწ. წერდა ცალკეულ პირთა ან ამა თუ იმ საზოგადოებათა დაკვეთით. მის ქებებში ისტორიულ პირებს ხშირად მოსავეს მითიური საბურველი.

პინდარეს ოდების დიდი უმრავლესობა სადღეისოდ ძნელად გასაგებია მითიური სახეებისა და სახელთა სიჭარბის გამო.

გვ. 57. ოებე — ბეოციის მთავარი ქალაქი;

დელოსი — კუნძული, სადაც იდგა აპოლონის ტაძარი (აპოლონი — სინათლისა და ხელოვნების ღმერთი);

ღირკე — წყარო თებეს მახლობლად;

ვეროტი — მთავარი მდინარე ლაკედემონში;

ონქესტოსი — ქალაქი ბეოტიაში, სადაც იდგა პოსეიდონის (ზღვის ღმერთი) ტაძარი; ელევსინი — ქალაქი ატიკაში, სადაც იდგა დემეტრეს (ნაყოფიერების ქალღმერთი) ტაძარი;

ეებეა — კუნძული, სადაც ეწყობოდა დემეტრესა და პოსეიდონის პატესაცემი თამაშობები.

პინდარეს ამ ოდამდე უამრავი მითიური სახელია ნახსენები, რომელთა დაწვრილებით განმარტებებს აქ აღარ ვიძლევი.

## თეოგნიდე

თეოგნიდე ძვ. წ. VI საუკუნის პოეტია. მისი ავტობიოგრაფიული ხაზითის ელეგიებიდან ირკვევა, რომ იგი წარმოშობით მეგარელი არისტოკრატი უნდა იყოს. როცა ქალაქი მისთვის არასასურველმა მმართველებმა ჩაიგდეს ხელში, მან მიატოვა მშობლიური ქალაქი. კირნე (პლიპეს ძე), რომელსაც თეოგნიდე თავის ლექსებში ესაუბრება, ჩვენთვის უცნობი პირია. სხვა სახელებიც (სიმონიდე, კლვარისტე...) ჩვენამდე ძალზედ დარბულად შემორჩენილ მის ბიოგრაფიას ფაქტიურად ვერაფრით ამდიდრებენ.

გვ. 80. „თუნდაც ტმოლოსმა მომინდომოს მხრებზე შედგომა...“  
ტმოლოსი — ერთ-ერთი მთის სახელწოდება.

## კორინა

კორინა (ძვ. წ. VI—V სს) პოეტი ქალი იყო, დაბადებით ბეოტიელი. თავის ლექსებში გადმოსცემდა ადგილობრივ ბეოტიურ თქმულებებსა და მითებს. იგი ძალზედ პოპულარული ყოფილა ხალხში და პინდარესაც კი ეკიბრებოდა, რომელთანაც არაერთხელ გაუმარჯვნია პოეტურ პაექრობაში.

„ჰელიკონისა და კითერონის გაჯიბრება“. მითის მიხედვით, ჰელიკონი და კითერონი ორი ნოახუბი ძმა იყო, რომლებიც მათვე საბუნების მთებად იქცნენ. ამ მთებზე იმართებოდა მუზათა შეჯიბრებანი, სადაც მსაჯებად ღმერთები იყვნენ მოწვეულნი.

გვ. 83. კურეტები — ოლიმპიელ ღმერთთა ღიღის — რეიას (რეას) თანმხლებნი. რეიამ კურეტებს მიაბარა ჩვილი ზევსი, რათა ეხსნა კრონოსისაგან, რომელიც თავის შვილებს ქამდა.

გვ. 84. „ორაკულის სიტყვები ასოპოსისადმი“. ასოპოსა — მდინარე ასოპოსის ღმერთი, ოკეანოსისა და თეტიდას შვილია, ოცი მშვენიერი ასულის მამა. მისანი აკრავია, ორიონის ძე, ასოპოსს აუწყებს, რომ მისი ცხრა ქალიშვილი ღმერთებმა მოითაცეს, რაც კორინას ამ ლექსშია გადმოცემული.

გვ. 85. „მე ვსაყვედურობ ხმამღერ მირტიდეს...“ მირტიდე — კორინას თანამედროვე ბეოტიელი პოეტი ქალი.

## პრაქსილა

პრაქსილა თავისი დროის სახელგანთქმული პოეტი ქალი იყო (ძვ. წ. V ს.). ჩვენამდე მისი ლექსების მცირეოდენმა ნაწილმა მოაღწია. ცნობილი იყო სასუფრო და საპიმნო პოეზიით.

გვ. 86. „...პომოდინოსს რომ ეპირა და არისტოგიტონს...“ პარმოდინოსი და არისტოგიტონი — ტირანის ცნობილი მკვლელები; მათ მოკლეს ტირანი პიპარქე (ძვ. წ. 514 წ.).

„ადმეტეს თქმული“. ადმეტე — თესალიელი გმირი, არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე.

გვ. 88. „აღონისისთვის“. აღონისი — მოკვდავი და კვლავ აღორძინებადი ღმერთი. იგი ერთდროულად უყვართ სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს და მუზისქვეშეთის ღვთაებას პერსეფონეს, რომლას ნებათაც

აღონისი გარკვეული დროით სტოვებს სააქაოს და მაწისქვეშეთში უხდება გადასახლება.

## ბ ა კ ქ ი ლ ი დ ე

ბაკილიდუ ძე. წ. V საუკუნის პოეტია, პინდარეს მიმდევარი. მიხ თხზულებათა ძირითადი ნაწილი XIX საუკუნის ბოლო წლებში იპოვნეს ეგვიპტის პაპირუსებში.

გვ. 89. „ნიკევ, ასულო პალანტისა...“ ნიკე — გამარჯვების ქალღმერთი, ტიტან პალანტის ერთ-ერთი ასულთაგანი. პალანტი ითვლებოდა აგრეონე სელენეს (მთვარის) მამად.

კრანა — ქალაქი კენჭულ კეოსზე, რომელიც პოეტის სამშობლო მხარე იყო.

## პ ლ ა ტ ო ნ ი

დადი ფილოსოფოსი პლატონი (მისი ნამდვილი სახელია არისტოკლე — ძე. წ. 427-347 წწ) ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელთაგანი იყო ელანური პოეზიისა და არა მარტო პოეზიისა, — პლატონის მთელი ფილოსოფიური მოძღვრება გადმოცემულია მხატვრულ-ლიტერატურული ფორმით და, შეიძლება ითქვას, რომ იგი ბერძნული პროზის დიდებული წარმომადგენელიცაა.

გვ. 90. „როცა აგათონს ვეამბორე...“ კარგად ცნობილი არ არის, რომელ აგათონზეა ლაპარაკი. შესაძლებელია, იგულისხმებოდეს პლატონის დიალოგ „ნაღიმში“ წარმოდგენილი ტრაგიკოსი პოეტი აგათონი.

ასტერი — სახელია ვაქისა. ეს სიტყვა ბერძნულად ვარსკვლავს აღნიშნავს. თარგმანში შევეცადეთ, ეს კომენტარების გარეშე ყოფილიყო მისახვედრი მკითხველისათვის.

გვ. 91. „დიონ სირაკუზელისადმი“. ლექსი მიძღვნილია სირაკუზელ ტირანის — დიონისადმი; პლატონი მისი ახლო მეგობარი იყო.

„რა ლამაზია ალექსისი...“ ალექსისი, ქსანთიზე, არქეანასა — ჩვენთვის უცნობი სახელება.

გვ. 92. „სპარსეთში დაღუპული ერეტრაელებისადმი“. ერეტრია — ეგების ქალაქი.

სუზა — სპარსეთის ერთ-ერთი ქალაქთაგანი, დროდადრო — დედაქალაქი.

„კიპრისი და მუზები“. კიპრისი (კიპრიდა, კითერეა, პათეა — სიყვარულის ქალღმერთის — აფროდიტის (აფროდიტეს) ზედსახელება; ეროსი — სიყვარულის მარადყმაწვილი ღმერთი — მისი ვაჟი.

„წარუდგეს მინოსს...“ მინოსი — ზევსისა და ეეროპეს ძე, კრეტის უზუცესი მეფე, საიჭიოს სამსჯავროს მსაჯული.

გვ. 93. „მე ლაიდა ვარ...“ ლაიდა (ან ლაისა) — უმშვენიერესი ქალი — პეტერა („კალთამადლიანი“ დიაც). მის განუმეორებელ სიტურფებს უამრავი ეპიგრამა უძღვნეს როგორც ბერძენმა, ასევე რომაელმა ავტორებმა.

გვ. 94. „პანი“ — ტყეებისა და ქალ-წყლების ღვთაება. ღრიაღები — ხე-ტყეთა მფარველი ნიმფები, ფერიები.

გვ. 95. „ოსკატის ხელმა ბრომიოსის სატირი შექმნა“. ბრომიოსი — ღვინისა და ვენახის ღმერთის — დიონისეს ეპითეტია, სატირი — მისი მხიარული მსახურთავანი.

გვ. 96. „პრაქსიატელს „აფროდიტე კიპრიტაჰაიუს“ — აფროდიტეს ქანდაკება ქალაქ კნიდოსას მცხოვრებლებმა დაუკვეთეს ათენელ მოქანდაკეს — პრაქსატელს.

„როგორმაც არეს მისი ტრფობა ასურებინა...“ იგულისხმება აფროდიტესა და ომის ღმერთის — არესის მათეური სამოყურთო ურთაერთობა.

„ტურჯა კიპრიდამ“... აქ ბოლო ორი სტრიქონი იმეორებს ლექსის დასაწყისს და ბერძნულ დედანში იგი თათქოს ცალკე დგას. შეიძლება, იგი წინა სტრიქონების ვარიაცია იყოს. რუსულ და გერმანულ თარგმანებში ეს ორი სტრიქონი თარგმნილი არ არის. მე სამჯობაოდ მივიჩნიე მეთარგმნა იგი და შინაარსობრივად წინა სტრიქონებთან გამეერთიანებინა პოეტური განმეორების წესის კვალობაზე.

„შენ ბრალდების პასუხად დგახარ“ — იგულისხმება სამსჯავრო, როცა პარისმა განხეთქილების ვაშლი ესროლა აფროდიტეს. მათეური ოქროს ვაშლი უნდა რგებოდა უმშვენიერესს ჰერას, ათენასა და აფროდიტეს შორას. დავის გადასაწყვეტად მიმართეს ტროის უფლისწულს — პარასს. აფროდიტემ ფარულად პარისს აღუთქვა, რომ უტურფეს ელენეს მოატაცებინებდა და ცოლად შეართვევინებდა, თუ პარველობას მას მაკუთვნებდა. პარისმა თხოვნა შეუსრულა ქალღმერთს. აფროდიტემაც მოატაცებინა მას სპარტის მეფის — მენელაოსის ულამაზესი მეუღლე ელენე, რაც გახდა ბერძენთა და ტროელთა სისხლისმღვრელი ომის მიზეზი.

## პ ა რ ა ს ი ო ს ი

პარასიოსი (ძვ. წ. V—IV სს) ერთ-ერთი უჩინებულესი წარმომადგენელი იყო ძველბერძნული ფერწერული ხელოვნებისა. მისი ეპიგრამები საკუთარი ნახატებისადმი მიძღვნილი და ეს მკვებარობით როდია გამოწვეული; დიდი ხელოვანი, ეტყობა, გულწრფელად იყო დარწმუნებული თავის სიღიაღვში. გაიხსენოთ გალაკტიონის „რომ მეფე ვარ და პოეტი...“

## ღ ე მ ო ლ ო კ ე

ღემოლოკე ძვ. წ. IV საუკუნის პოეტი. ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ შემონახულა.

## ე რ ი ნ ა

გადმოგვეცემენ, თითქოს ერინა საფოს მეგობარი პოეტი ქალი იყო. მაგრამ როგორც მეცნიერნი ფიქრობენ, იგი ცხოვრობდა გაცილებით გვიან (ძვ. წ. IV საუკუნეში). ერინა დაბადებულა კუნძულ ტენოსზე.

გვ. 100. „გვედრებ, პომპილე...“ პომპილე — თევზი-მეგზური.

„ეპიტაფიები ბავკიდასათვის“. ბევკიდა ერინას დობილი უნდა ყოფილიყო, როგორც ეპიტაფიაში მოხსენებული.

ზოგი ამ ეპიგრამებს თებელ სიმიას მიაწერს, ზოგიც როფოსელ პოეტს (ასევე სიმიას), რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ. წ. III საუკუნეში.

გვ. 102. „სოფოკლესადმი“. იგულისხმება დიდი ტრაგიკოსი სოფოკლე (ძვ. წ. 496—406 წწ).

„პლატონისადმი“. პლატონის ნამდვილი სახელი იყო არისტოკლე, პლატონი შერქმეული სახელია და „ფართოს“ ნიშნავს, რადგან პლატონი დიდი, მხარბეჭიანი და მკერდფართო ყოფილა.

### პ ე რ ო დ ო ს ი

პეროდოსი ძვ. წ. III საუკუნის პოეტი. მისი ერთაქტიანი დრამატული მიმები აღმოაჩინეს XIX საუკუნის ბოლოს ეგვიპტის პაპირუსებში. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ პეროდოსის მიმამებებს (სალექსო მეტრის სახეა) მოქმედი პირნი კოსის კუნძულზე მოქმედებენ და მხოლოდ კოსელები არიან უკლებლივ, უნდა ვიფიქროთ, აატორი კოსიდან უნდა იყოს წარმომავლობით.

გვ. 103. „მაქნაკალი“. „თითქოს ღმერთი მოსულხარ ხალხთან“. ირონიული გამოთქმის ანარკლია მოულოდნელობის გამოსახატავად (შდრ. ქართული: „რა ქარბა გადმოგადო“ ან „ცამ ხომ არ გამოგზავნა“ და მასთ.).

„გვიცავ მოირებს...“ — მოირები (ზედისწერის ქალღმერთი) კუნძულ კოსთან დაკავშირებულია როგორც ფიციის სიმბოლო.

„ვისაც გინდა, მიახრჩობ...“ იგულისხმება ალერსით „აახრჩობ“.

გვ. 105. „პალესტრა“ — გიმნასტიკური სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულება.

„მუსეიონი“ — პოეტთა საკრებულო.

გვ. 106. „კითერეს ხილი“. კითერე — სიყვარულის ქალღმერთი როდიტე. იგულისხმება: ქალი ჯერ არ უგემნია.

გვ. 108. „ეჰვიანი ქალი“. „...და წაათრიე წისქვილის ქვა ახლავ ჰერმონთან“. მონებს დასჯის მიზნით ხშირად წისქვილის ქვას ატრიალებინებდნენ, ჩვეულებრივ კი ამ საქმეს ვირებს ასრულებინებდნენ. ჰერმონი — დამსჯელი.

გვ. 110. „...და საფიხვნოზე არ გამოჩნდეს შიშველ-ტიალი“. ჩვენ თარგმანში ვცადეთ ბერძნული აგორას ქართულ შესატყვისად გვეხმარა საფიხვნო; სიტყვა „აგორა“ აღნიშნავს საკრებულო ადგილს ან ბაზარს.

გვ. 111. „გერენიის დღე ახლოვდება“... გერენია — ახლობელ გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი დღეობა.

გვ. 113. „მეხამლე“. „აგრემც პათოსის ქალმბრძანებელმა“ — იგულისხმება აფროდიტე.

„სამი სტატერი მივაშავე“. სტატერი — ოქროს ან ვერცხლის მონეტა.

„თვით მიკიონის სანთლებს არ ძალუძთ“ — თაფლის (ცვილის) სანთლები, რომლებიც საბერძნეთში ძვ. წ. V საუკუნიდან შემოვიდა ხმარე-

ბაში, თუმცა ზეთის სანთლებს ასევე იყენებდნენ. მიკრონი სანთლის მწარმოებელი ცნობილი ეფესელი უნდა იყოს.

გვ. 113. „ღ. ზეო მრავალფერ ამ ფეხსაცმელებს...“ შემდეგ ჩამოთვლილა იმ დროს გავრცელებული ფეხსაცმლის ფორმები: „სიკიონია“, „ნოსიდება“ და სხვ.

გვ. 114. „როცა დადგება ოცი რიცხვი ტავრეონისა“ — ტავრეონის თვე იონური კალენდრით აღინიშნებოდა. რომელ დროს შეესატყვისებრდა იგი კალენდარში — უცნობია.

გვ. 115. „ოთხი დარიკი რომ მიბოძოს...“ დარიკი — ოქროს მონეტა.

## მ ე ი ლ ი ნ ო

პოეტი ქალი მეილინო ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ. წ. III—II საუკუნეში. იგი უნდა იყოს ლესბოსელი. მისა პიმნი ქალაქ რომისაშია გაწყობილია ლესბოსური საღეჭო მეტრიკით. პოეტი-ქალის ბიოგრაფია არ შემონახულა.

გვ. 117. „რომ, ასულო არესისა...“ ქალაქები ძველბერძნულ ენაში მდებარეობითი სქესათ აღინიშნებოდა. ასეა უმეტესწილად ევროპულ ენებში და ქართულადაც ქვეყნის მთავარ-ქალაქი „დედაქალაქად“ იწოდება. საბერძნეთ-რომში კი მთავარ-ქალაქები ხშირად რომელიმე პერსონიფიცირებული ქალღვთაების სახელით აღინიშნებოდა (მაგალითად, ქალაქი ათენი ქალღმერთ ათენას სახელობისა).

## კ ა ტ უ ლ უ ს ი

გაიუს ვალერიუს კატულუსი (ძვ. წ. 87—54 წწ) უდიდესი რომაელი ლირიკოსი იყო. ლექსებს ნაწილში ოგი ხშირად ახსენებს საყვარელ ქალს ლესბიას, სინამდვილეში კი ქალს ერქვა კლოდია და იყო დაი ცნობილი რომაელი ტრაბუნის კლოდიუს პულსერისა.

გვ. 118. „კის ეუსახსოვრებ ჩემს ახალ წიგნაკს, პირგადატყენილს პემზის ქვისაგან?“ იმ დროს წიგნად შეკრულ პაპირუსების გრაფილს პემზით ხევენდნენ.

„შენ, კორნელიუს...“ კორნელიუსი — კორნელიუს ნეპოტი, მწერალი და ისტორიკოსი, რომელმაც თავის უზარმაზარ ნაშრომში („ქრონიკა“) სცადა გადმოეცა მსოფლიო ისტორია.

გვ. 119. „ეპ, ძმის კასტორის ტყუპის ცალო...“ ტყუპი ძმები — კასტორი და პოლუქსი იფელეობდნენ ზღვაოსნობის მფარველ ღვთაებებად.

„რამდენიც არის კირენეში ლიბიის სილა...“ კირენე — ქალაქი აფრიკის სანაპიროზე (ლიბიაში).

„სადაც ამონის ორაკული...“ ამონი — ეგვიპტური ღვთაება, რომელიც აქ გაოგავებულია რომაულ იუპიტერთან.

ბატონი — ქალაქ კირენეს დამაარსებელი (ლეგენდის მიხედვით).

გვ. 120. „მარტუციანლო ასინიუს...“ კატულუსის ლექსებში მოხსენიებული საკუთარი სახელეა პოეტის მეგობრებისა თუ მტრებისა უმეტესად ისტორიულად რეალური პიროვნებანი არიან. მარტუცინი წარმოადგენდა

მიყრუებულ ადგილს შუა იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ასინიუსი იქაური იყო წარმოშობით.

### პორაციუსი

კენტიუს პორაციუს ფლავუსი (ძვ. წ. 65—8 წწ) ოქტავიანე ავგუსტუსს ხანის ერთ-ერთი უღირსი პოეტია, იგი ავტორია „ოლებას“, „პოდების“, „სატურებისა“ და პოეტური „წერილებისა“. ბევრა ლექსი უძღვნა პოეტმა საყვარელ ქალს — ლიდიას.

გვ. 132. „მეცენატისადმი“, „აღალი იყოს შენზე. იშპო. ცეკუბია ცეინჲ... ცეკუბი, კალესი, ფალერნუმი, ფორმია — ძვირფასი ლვინის დამზადების ადგილებია.

„ნურც იმას მკითხაე, ლეკონოე“... ლეკონოე — ქალის საკუთარი (ბერძნული) სახელი.

„ბაბილონის დაფები“ — ძველთაგანი აღმოსავლური სამკითხაო რაცხვითი ნიშნებით.

„მშფოთვარე ტაღებს ტირენიისა...“ ზამთრობით იტალიაში აღმოსავლეთით ადრიატიკის ზღვა ბობოქრობს, ხოლო დასავლეთით — ტირენიისა.

გვ. 133. „ძეგლი“. „...ვერც აკვილონის გრიგალი დასცემს...“ აკვილონი — ჩრდილოეთის ქარიშხალი.

ლიბიტინა — დაკრძალვათა ქალღმერთი.

„კაპიტოლიუმს ქალწულთან ერთად ზეაყვება ვიდრე ქურუმი“. რომის კაპიტოლიუმზე ყოველწლიურად აღიოდა უზენაესი ქურუმი ქალწულთან ერთად და ეს საღმრთო-აღსასრულებლო წესი მარადიულად წარმოედგინა პოეტს.

აუფიღუსი — მდინარე აპულეაში (პოეტის სამშობლო მხარეში); აპულეა უწყლო, „წყალარები“ კუთხენ, სადაც მეფობდა ლეგენდარული დავნუსი.

მელპომენე — ლირიკული პოეზიას ქალღმერთი, ცხრა მუზათაგანი.

გვ. 135. „ლუციუსს მურენასადმი“. ლ. მურენა ერთ-ერთი ახლო მეგობართაგანი იყო პოეტისა.

გვ. 136. „პოეტური ხელოვნება“ (ფრაგმენტული ვარიანტი). პიზონები — უნდა იგულისხმებოდნენ რომაელი სახელმწიფო მოღვაწე ლუციუს კალპურნიუს პიზონი და მისი ორი ვაჟიშვილი.

ღიანა — ცხოველთა და ველ-მინდორთა რომაული ქალ-ღვთაება.

ემილიუსის სკოლა — საგლადიატორო სკოლა, სადაც ბრინჯაოს ხაჩამომსხმელო სახელოსნოც იყო შეთავსებული.

ცეთეგები (ცეთეგუსები) — ერთ-ერთი მრავალმხრივი მოღვაწის გვარი — ცეთეგუსი აღებული მრავლობითში, უნივერსალურ პიროვნებათა წარმოსახავად.

ნეპტუნუსი — ზღვის ღმერთი; სიმბოლური ზედწოდება მეზღვაურისა. არქილოქე (ლათ. არქილოქუსი) — ძვ. წ. VII საუკუნის ცნობილი ბერძენი ლირიკოსი.

ქრემესი — კომედიის ცნობილი პერსონაჟი.

ტელეფონი და ჰელეკსი — უბედურ მეფეთა სახეები ტრაგედიაში.  
 აქილევსი, იო, ორესტე და სხვ. — ტრაგედიის მითური გმირები.  
 კიკლოური მწერალი — იგულისხმება ჰომეროსის მიმბაძველთაგანი, რომელიც თავის გადანამღერში აფართოებდა და ავრცობდა ჰომეროსისეულ მითოსურ თემატიკას (ბერძ. „კიკლოს“).  
 გინიუსი — მფარველი ანგელოზი (ღვთაება).  
 მესალა — რომაელი ორატორი.  
 კასცელიუს ავლუსი — რომაელი იურისტი.  
 მინერვა — ხელოვნების მფარველი ქალღმერთი.  
 ემპედოკლე — ბერძენი პოეტი და ფილოსოფოსი (ძვ. წ. V ს).

## ტი ბ უ ლ უ ს ი

ალბიუს ტიბულუსი — რომაელი ლირიკოსი პირველი საუკუნისა (ძვ. წ. 60—19 წწ). მისი ბიოგრაფიული ცნობები მეტად მწირია. პოეტის პირადი ცხოვრების შესახებ მეტს ვიგებთ მისივე ნახევრად ავტობიოგრაფიული პოეტური თხზულებებიდან. ლირიკოსის ლექსთა დიდი ნაწილი მიძღვნილია საყვარელი ქალის — დელიასადმი, რომელიც, ეტყობა, ადრეულ პერიოდში უყვარდა, მერმე კი — ნემესიდასადმი.

ჩვენამდე მოაღწია პოეტის ორმა წიგნმა. ამას გარდა, არის კიდევ ორი წიგნი, რომელიც საეჭვოდ მიეწერება მას და იქიდან მხოლოდ რამდენიმე ლექსია ტიბულუსისეული.

თავის ელეგიებში პოეტი უმდერის სოფლურ იდილიას და სიყვარულს, რასაც უპირისპირებს დიდი ქალაქის (რომის) უაზრო ფუსფუსსა და მხვეკვლობას.

გვ. 146. „ოქროს ცერერავ...“ ცერერა — მიწათმოქმედებისა და ხორბლეულის მფარველი ქალღმერთი.

„სირთ საფრთხობელა პრიაპუსი...“ პრიაპუსი (ბერძ. პრიაპოსი) — მევენახეობისა და ბაღების ღვთაება, რომლის ხის ქანდაკს, გრძელ წვერებიანს, დგამდნენ ზვრებში.

გვ. 147. „...რძეს რომ აკურებს პალესს...“ პალესი — მწყემსთა და ნახორთა მფარველი რომაული (იტალიური) ღვთაება. ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები იმართებოდა გაზაფხულზე (აპრილში).

„როცა ცივ წყალს აქცევს ავსტერი...“ ავსტერი — სამხრეთის ქარი, საადრო ღრუბლებს რომ ერეკება.

„მესალა, შენ ხარ მეომარი...“ მესალა — ვალერიუს მესალა იყო ტიბულუსის მეგობარი და მფარველი, ორატორი, პოეტი და მხედართმთავარი.

## პ რ ო პ ე რ ც ი უ ს ი

სექსტუს პროპერციუსი პირველი საუკუნის პოეტია. დაიბადა დაახლოებით 50 წელს და გარდაიცვალა 16 წელს (ძვ. წ.). როგორც კატულუსისა და ტიბულუსის, ასევე პროპერციუსის ბიოგრაფიული ცნობები ჩვენამდე ძუნწადაა მოღწეული. პოეტის როგორც პირადი, ასევე პოეტური გატაცების ობიექტი იყო ულამაზესი რომაელი ქალი — კინთია,



რომელსაც მრავალი მშვენიერი ლექსი მიუძღვნა პროპერციუსმა. პროპერციუსი ძირითადად ტიბულუსის ლირიკის თანამოზარეა თემატურად, მაგრამ მისგან მითოლოგიურობითა და მეცნიერულობით გამოირჩევა, რაც ხშირად დაბლა სწევს მისი ექსპრესიული პოეზიის ტონუსს.

გვ. 149. „...ნაკეცებით კოსური კაბის...“ კოსი — ქუნძული კარიის სანაპიროზე.

„ორონტულ მირით...“ ორონტი — სირიის მთავარი მდინარე.

„ლევკიებს ასულს — ფებეს...“ ლევკიე — მინიასის ერთ-ერთი ქალიშვილი ან ტროის მეფის ლომედონტის ასული. ერთ-ერთი მითით მისი ასულია ფებე.

„...არც პოლუქსი დას — ჰილაირას...“ ჰილაირა — ლევკიებს მეორე ასული, გაიტაცა პოლუქსმა.

„...არც ფებოსი და იდა (იდასი)...“ ფებოსი — აპოლონის ერთ-ერთი ეპითეტი; იდასი — ერთ-ერთი მითიური გმირი.

„...არ მოუხიბლავს ფრიგიელიც... ჰიპოდამიას...“ ფრიგიელი — იგულისხმება პელოპი მითიდან ევენუსის ქალაშვილების მარპესისა და ჰაიოდამიას შესახებ.

აქელესი — სახელგანთქმული ბერძენი მხატვარი (ძვ. წ. IV ს.).

#### ო ვ ი დ ი უ ს ი

პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი დაიბადა ძვ. წ. 43 წელს და გარდაიცვალა ახ. წ. 17 წელს. იგი იყო ოქტავიანე ავგუსტუსის ხანის უდიდესი რომაელი პოეტი. ჩვენთვის დღემდე გაუგებარი მიზეზების გამო ავგუსტუსმა პოეტი ღუნაისპირეთში გადაასახლა, სადაც განლია სიცოცხლის ბოლო წლები და მიიწვალა მარტობაში.

ოვიდიუსის ძირითადი თხზულებებია: „ტრფობანი“, „სიყვარულის ხელოვნება“, „სიყვარულის წამალი“ და ვრცელი, 16 წიგნისაგან შემდგარი პოემა „მეტამორფოზები“.

გვ. 151. „...ან რად სძვრება ტახტს პალიუმო?“ პალიუმო — ტანოწამოსასხამი ან ზეწარი.

„...და ჰა, კუპიდონ...“ კუპიდონი — სიყვარულის ღმერთი, სიყვარულის ქალღმერთის — ვენერას ვაჟი.

გიგლა სარიშვილი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ანტიკური ლირის სიმები (გიგლა სარიშვილი)	3
კალინე	9
ტირტეოსი	10
არქილოქე	15
მიმნერმე კოლოფონელი	19
სოლონი	21
სიმონიდე ამორგოსელი	25
ალკეოსი	29
საფო	35
ანაკრეონტი	45
ალკმანი	50
სტესიქორე	51
იბიკოსი	53
სიმონიდე კეოსელი	54
პინდარე	57
თეოგნიდე	61
კორინა	83
პრაქსილა	86
ბაკქილიდე	89
პლატონი	90
პარასიოსი	98
დემოდოქე	99
ერიჩა	100
სიშია	102
პეროდოსი	103
მეილინო	117
კატელუსი	118
ჰორაციუსი	132
ტიბულუსი	146
პროპერციუსი	149
ოვიდიუსი	151
მცირე შენიშვნები (გიგლა სარიშვილი)	153

რედაქტორი ლ. იმერლიშვილი.  
მხატვარი ა. თევზაძე.  
მხატვრული რედაქტორი ლ. ლვინჯილია.  
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი.  
კორექტორი ნ. ვებრაღიძე.  
გამომშვები ნ. თათარაშვილი

გადაეცა წარმოებას 22.08.87. ხელმოწერილია დასა-  
ბეჭდად 21.03.88. საბეჭდი ქაღალდი № 2. 84×109<sup>1</sup>/<sub>2</sub>.  
გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი შალალი. პირობითი  
ნაბეჭდი თაბახი 8,82. პირობითი საღებავგატარება 9,24.  
საალრ.-საგამომც. თაბახი 6,12. ტირაჟი 7000, შე.ქ. 69/16.

ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.  
თბილისი მარჭანდშილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის.

ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის

პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутахское полиграфическое производственное объединени-  
Государственного комитета по делам издательств, полиграфии  
и книжной торговли Грузинской ССР  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.